პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

მეოთხე წელიწადი

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. არ. და მატრ
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24
ტელეფონი 10—49.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე [illegible]—1 მან. 60 კ. [illegible] 90 კ.; ქალაქს გარეშე მცხოვრებ[illegible]ათვის 1 მან. განცხადება 20 კ. [illegible] ნომპარელის სტრიქონი. სამ [illegible] განცხადება 5 მან. [illegible] მეორე ნომერში მიიღება მხოლოდ 2 [illegible]

№ 55 (910) პარასკევი, 7 მარტი 1924 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 6 კაპ. ჩერვონცებით. № 55 (9 0)

დღიური

მთელ საბჭოთა ფედერაციაში საქონელს ფასები დაუკლეს.

გერმანიის სოციალ დემოკრატიულ პარტიაში მოელიან განხეთქილებას.

ოსმალეთის დიდი ეროვნული საბჭოს მიერ გადაყენებულმა ხალიფამ დასტოვა ოსმალეთი.

ოსმალეთში სასულიერო სასწავლებლები შეუერთეს სამოქალაქო სასწავლებლებს.

ვენაში (ავსტრია) მოხდა [illegible] მუშა-მოსამსახურეთა დემონსტრაცია, [illegible]

იაპონიაში გაფიცულია 5 ათასი მუშა.

დღევანდელი გაზეთის №-რი შეიცავს 6 გვერდს

ჩვენი გაზეთის დღევანდელ №-თან ერთად ხელისმომწერთ უფასოდ ურიგდებათ „ჩირაღდნი"-ს მე-6 №

საქ. ახკომკავშირის ცეკა
8 მარტს
იწვევს გაფართოებულ პლენუმს
სამაზრო და, საოლქო კომიტეტების მდივნების თანადასწრებით.

1. მოხსენება შინაპარტიულ მდგომარეობის შესახებ.
2. პრეზიდიუმის მოხსენება.
3. სააგიტ. საპროპაგანდო მუშაობის შესახებ.
4. ს. ა. კ. კ. სამაზრო კონფერენციების შესახებ.
5. კომკავშირის სამხედრო მუშაობა.
6. კომკავშირში მუშა ახალგაზრდობის მიღებისა და კომპარტიაში კომკავშირის წევრების გადარიცხვის შესახებ.
7. სხვადასხვა.

საქ. ახკომკავშირის ცეკას მდივანი: **დევდარიანი.**

ოსმალეთში

ოსმალეთის შინაგან ცხოვრებაში მოხდა ამ დღეებში ფრიად მნიშვნელოვანი ამბები. ოსმალეთის პარლამენტმა, მეჯლისმა მიიღო სახალხო პარტიის მიერ წარმოდგენილი შემდეგი კანონპროექტები: ხალიფატის გაუქმება, ხალიფის ჩამოგდება და მისი დინასტიის ყველა წევრების განდევნა ქვეყნიდან; რელიგიის კომისარიატის გაუქმება და ყველა საეკლესიო ადგილ-მამულების გადაცემა ხალხისათვის; საეკლესიო სკოლების გაერთიანება სამოქალაქოებთან და ყველა ტიპის სასწავლებლების თავმოყრა განათლების კომისარიატის ხელში. ეს მთელი რევოლიუციაა ოსმალეთის შინაურ წყობილებაში.

სულთანობის გაუქმების შემდეგ ოსმალეთში მაინც დარჩა ხალიფატი, ე. ი. მთელი მუსულმანობის უმაღლესი დამოუკიდებელი საეკლესიო მმართველობა. სულთანი იყო იმავე დროს ხალიფა. ხალიფის უფლებები და ფუნქციები ძალიან ფართო იყვნენ და არ განისაზღვრებოდნენ მარტო სარწმუნოებრივ-საეკლესიო საქმეებით. ხალიფს დიდი გავლენა ჰქონდა მუსულმანობის და კერძოდ ოსმალეთის პოლიტიკურ, კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მის გამგებლობასა და განკარგულებაში იყო აგრეთვე დიდ-ძალი ქონება, საეკლესიო მიწების და სიმდიდრის სახით, რაც მატერიალურად ფუძეს წარმოადგენდა მისი ბატონობისას.

ამგვარად, ფაქტიურად იქმნებოდა ორმაგი ხელისუფლება: ოსმალეთის მეჯლისი და მისი მთავრობა—ერთი მხრით, ხალიფატი—მეორე მხრით. ეს გარემოება ასუსტებდა მთავრობის ძალას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის საგარეო დამოკიდებულებაში სხვა სახელმწიფოებთან.

ამასთან ხალიფის არსებობა წარმოადგენდა საფრთხეს თვითმპყრობელობის რესტავრაციისას.

ხალიფატის გაუქმება, ხალიფის და მთელი დინასტიის წევრების განდევნა ოსმალეთიდან,—ესაა ერთი დიდი ნაბიჯი მონარქიულ რესტავრაციის საფრთხის და ფეოდალური ელემენტების წინააღმდეგ.

ფრიად მნიშვნელოვანია დანარჩენი რეფორმებიც.

ყველამ ვიცით, თუ როგორი რელიგიური ცრუმორწმუნეობის და ფანატიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა ოსმალეთის ხალხი და საერთოდ მუსულმანობა. ხალიფი და მოლები საუკუნეთა განმავლობაში აბნელებდნენ ხალხის გონებას და გასაქანს არ აძლევდნენ მის ლტოლვას გათვითცნობიერებისაკენ, სინათლისაკენ, პროგრესისაკენ. ყველგან, კერძოდ სკოლებში გამეფებული იყო რელიგიური ფანატიზმის სული, ცრუმორწმუნოება. მიღებული რეფორმა დასაწყისია ხალხის განთავისუფლებისა რელიგიის სულიერ ტყვეობისაგან.

მთელი ამ რეფორმების ინიციატორია სახალხო პარტია, რომელიც აერთიანებს ოსმალეთის ახალგაზრდა ბურჟუაზიულ და წვრილბურჟუაზიულ ჯგუფებს. სოციალური სარჩული ამ ღონისძიებათა თავისთავად ცხადია. აქ ჩვენ ვხედავთ ბურჟუაზიის ბრძოლას მონარქიის და ფეოდალიზმის ნაშთებთან, რომელთაც ჯერ კიდევ ბლომად აქვთ ადგილი ოსმალეთის ცხოვრების ყოველ დარგში.

ამ ღონისძიებათ დიდი პროგრესიული მნიშვნელობა აქვთ მშრომელი ხალხისათვის, რომლის გავლენაც ამ შემთხვევაში უდავოა.

მაგრამ ცხადია, რომ ოსმალეთის სახალხო პარტია ამ რეფორმებს ახდენს ბურჟუაზიისათვის განვითარების ხელსაყრელ პირობების შესაქმნელად და არა მუშათა კლასის, მშრომელ მასსების განთავისუფლებისათვის.

ოსმალეთის მშრომელი ხალხი ამ რეფორმებს გამოიყენებს, რასაკვირველია, თავისი საბოლოო ინტერესების თვალსაზრისით, გააღრმავებს, გააფართოვებს მათ და მოამზადებს ნიადაგს თავისი კლასობრივი იდეალების განსახორციელებლად.

საფინანსო კითხვები

11. ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების ვადები *)

რწმუნებულის მიერ სამაზრო ბიუჯეტების სახალხო კომისართა საბჭოში წარმოდგენის, მათი დამტკიცების და უარყოფის ვადები ზოგიერთ ისეთს პრაქტიკულ კითხვებს ჰბადებს, რომელნიც დაუყონებლივ უნდა იქნეს გამოკვლეული.

„დროებით დებულებაში" არაა განსაზღვრული ვადა, რომლის განმავლობაში სამაზრო ბიუჯეტები რწმუნებულის სამმართველომ უნდა განიხილოს და სახალხო კომისართა საბჭოს წარუდგინოს. მხოლოდ ა.-კ. ინსტრუქციის პირველ მუხლში არის ნათქვამი, რომ რწმუნებული „საბიუჯეტო კომისიაში ერთი კვირის განმავლობაში დღიდან მიღებისა განიხილავს მას (ბიუჯეტს), რის შემდეგ ბიუჯეტის პროექტი წარედგინება რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს". ასეთი დავალების შესრულება სამ[illegible]ლომ შეიძლება ვერ მოახერხოს [illegible] და რა მიზეზით. სამმართველომ არა ნაკლები თვრამეტი ბიუჯეტი უნდა განიხილოს და თითოეულის [illegible] მოხსენება შეადგინოს. [illegible] ბიუჯეტების განხილვა [illegible] ორ თვემდე, მაგრამ, [illegible] ყველა ბიუჯეტები, სამმართველოში ერთი თვის განმავლობაში დაგროვდეს, რომელიმე კვირაში ან ერთს დღეშიც მაზრებიდან მრავალი ბიუჯეტი მოგვივიდეს. სამაზრო ბიუჯეტი თავის დანართებით რაიონების და შტატ-გარეშე მყოფ ქალაქების ბიუჯეტებით მეტად რთულ მასალას წარმოადგენს, რომლის განხილვა, მაზრის ფინანსიურ მდგომარეობის აწონ-დაწონვა, მისაცემ დოტაციის რაოდენობის (როდესაც ბიუჯეტი დეფიციტიანია და რესპუბლიკის სადოტაციო ფონდიდან დახმარებაა საჭირო) განსაზღვრა, ბიუჯეტის კანონიერების და მიზანშეწონილობის თვალსაზრისებით განხილვა ძნელია და საპასუხისმგებლო. მით უმეტეს მრავალი ბიუჯეტის შესწავლა, საჭირო ციფრების ბიუჯეტში შეტანა, მათი დასაბუთება და საერთო განმარტების მიცემა ერთ კვირის განმავლობაში, სამმართველოს ადგილობრივ ფინანსთა განყოფილების არსებულ შტატით, რასაკვირველია, შეუძლებელია.

ბიუჯეტების განმხილველებს ერთი გარემოება განსაკუთრებით უბოჭავს ხელფეხს. ეს არის დოტაციის საკითხი. სანამ ყველა სამაზრო ბიუჯეტები განხილული და შესწავლილი არ იქნება, სადოტაციო თანხის მაზრებ შორის მიზანშეწონილად განაწილება ხომ შეუძლებელია. მაზრების შორის სადოტაციო თანხის მიზანშეწონილად განაწილება მხოლოდ მაშინ მოხერხდება, როდესაც ყველა ბიუჯეტები აწონ-დაწონილი იქნება და მათი ერთი მეორესთან შედარების საშუალებით გათვალისწინებული, თუ რომელ მათგანს სადოტაციო ფონდიდან სახელმწიფომ რამდენი ფული უნდა მისცეს.

კანონით ამ საკითხის გამოკვლევა სახალხო კომისართა საბჭოს და არა რწმუნებულის სამმართველოს ევალება, მაგრამ თავისთავად ცხადია, რომ არც სახალხო კომისართა საბჭოს შეუძლია დოტაციის საკითხის გადაჭრა, სანამ ყველა ბიუჯეტების მდგომარეობას არ გაითვალისწინებს.

მაშასადამე, თუ რწმუნებულის სამმართველოს ევალება მხოლოდ იმის განხილვა, თუ რამდენად კანონიერად არის ბიუჯეტი შემდგარი, მაშინ სახალხო კომისართა კომისია, როდესაც სადოტაციო თანხის საკითხი დაისმება, იძულებული გახდება ხელახლა თითოეული ბიუჯეტის თითოეული პარაგრაფი მიზანშეწონილობის და მათი მეტ-ნაკლებ მნიშვნელობის თვალსაზრისით შეისწავლოს და შემდეგ სადოტაციო თანხის განაწილების საკითხის გამოკვლევას შეუდგეს. ბიუჯეტის განხილვის კითხვის ამნაირად დაყენება მიზანშეწონილი არ იქნება, ყოველ შემთხვევაში, ამ წესით კითხვის გამოკვლევა მუშაობას არ გაადვილებს და არ დააჩქარებს. სახალხო კომისართა საბჭოც ასეთ პირობებში „დებულების" მე-142-ე მუხლის მოთხოვნილებას ვერ შეასრულებს. ეს მუხლი, როგორც ვიცით, მოითხოვს, რომ დღიდან მიღებისა და არა უგვიანეს ორი კვირისა, სახალხო კომისართა საბჭომ და ცაკმა ბიუჯეტები მაზრებს შესასრულებლად უნდა დაუბრუნონ. ამავე მუხლის პირველი შენიშვნა განმარტავს, რომ თუ ორი კვირის განმავლობაში ბიუჯეტების განხილვა არ დამთავრდა, ან ისინი ამავე ვადაში არ იქნა „შეჩერებული", ბიუჯეტები დამტკიცებულად ითვლებიან და ავტომატიურად ძალაში შედიან იმ სახით, რა სახითაც ისინი სამაზრო აღმასკომებმა წარმოადგინეს და, ამნაირად ძალაში შესულ ბიუჯეტების მიმართ ცენტრალური მთავრობა ვალდებულია შეასრულოს ის, რასაც საერთოდ დამტკიცებულ ბიუჯეტების მიმართ მას კანონი ავალებს.

ასეთია კანონის კატეგორიული მოთხოვნილება. ამიტომ ბიუჯეტის განხილვისათვის ისეთი პირობები უნდა შეიქმნას, რომ ვადების დარღვევამ მძიმე უხერხულობა არ დაბადოს. ამისათვის საჭიროა, რათა რწმუნებულის სამმართველოში ყველა ადგილობრივი ბიუჯეტები ყოველ მხრივ და დროზე შესწავლილ იქნეს: რომ სადოტაციო თანხის რაოდენობის შესახებ რწმუნებულის სამმართველოს წინასწარ ჰქონდეს საჭირო ცნობები, რომ სამმართველოში თითოეული მაზრისათვის საჭირო დოტაციის რაოდენობა გამოირკვეს და, ბოლოს, რომ სამმართველომ ყველა ადგილობრივ ბიუჯეტებისაგან სათანადო განმარტების თანდართვით ერთი მთლიანი ადგილობრივი ბიუჯეტი შეადგინოს.

ასეთია ის აუცილებელი მუშაობა, რომელიც სრულიად ბუნებრივად რწმუნებულის სამმართველოში უნდა ხდებოდეს. მაგრამ ამნაირი მუშაობა რწმუნებულის სამმართველოს მიერ ბიუჯეტების განხილვისათვის მეტ დროს მოითხოვს, ვინემ „დებულება" იძლევა და აი რატომ. ბიუჯეტების განხილვა-დამუშავებისათვის საჭირო დროს საზომად უნდა იქნეს მიღებული ადგილობრივ ფინანსთა ნორმამდე გაძლიერებული შტატის ნორმალურ საჭირო შრომის რაოდენობა. აშკარაა, რომ ერთ კვირაში თვრამეტ ბიუჯეტს განყოფილება ვერ შეისწავლის, ვერ გადაამუშავებს და რესპუბლიკის მასშტაბით ერთ მთლიან ადგილობრივ ბიუჯეტს ვერ შეადგენს. ერთ მთლიან ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენა კი დოტაციის საკითხის გადაწყვეტას აუცილებლათ წინ უნდა მიუძღოდეს; ამ უდავო დებულებიდან გამომდინარეობს მეორე დებულება: ყველა ადგილობრივ ბიუჯეტებიდან წინასწარ ერთ მთლიან ადგილობრივ ბიუჯეტის შედგენა ერთ კვირაში შეუძლებელია.

აქ უხერხულობათა მთელი ნასკვია, რომელიც უნდა გაიხსნას, რომ ადგილობრივ ბიუჯეტების განხილვა-დამტკიცება ნორმალურ პირობებში ჩადგეს. ბიუჯეტების განხილვის ვადის საზომათ დავასახელეთ იმ ნორმალურ შრომის რაოდენობა, რომელიც ბიუჯეტების განხილვაში ადგილობრივ ფინანსთა განყოფილებამ თავის გაძლიერებულ შტატით შეიძლება გასწიოს. განყოფილება თითო ბიუჯეტს სამ დღეში დაამთავრებს. ამნაირად თვრამეტ ბიუჯეტის განხილვას და საჭირო ცხრილების და განმარტებების შედგენას არა ნაკლებ ექვსი კვირისა დასჭირდება. სახალხო კომისართა საბჭოში და ცაკში ბიუჯეტების გადასინჯვასა და დამტკიცებას დასჭირდება დაახლოვებით ორი კვირა. ამნაირად ცენტრალურ დაწესებულებაში ყველა ადგილობრივ ბიუჯეტების განხილვა-დამტკიცებისათვის საჭიროა არა ნაკლები ორი თვისა.

ასეთია ის აუცილებელი ცვლილებები, რომლებიც ადგილობრივ ბიუჯეტების გნხილვის და დამტკიცების ვადებში უნდა იქნეს შეტანილი.

აქ ერთი წესი კიდევ უნდა იქნეს შემოღებული და დაცული: რწმუნებულის სამმართველოში ყველა ბიუჯეტები განსაზღვრულ ვადებში და ერთგვარ თანდათანობით უნდა იქნეს წარმოდგენილი, რომ სამმართველომ ყველა ბიუჯეტების განხილვა-განსაზღვრულ ვადაში მოასწროს და მათი განხილვის და დამტკიცების ვადები მიზანშეწონილად იქნეს დაცული. ამ მიზანშეწონილობის დასაცავად საჭირო ინსტრუქციების დამუშავება აუცილებელი და სასწრაფო საქმეა, ისე, როგორც ადგილობრივ ფინანსთა განყოფილების აპარატის სათანადო დონეზე დაყენება.

დ. თ.

ფულის რეფორმა და ბაზრის ფასების მოწესრიგება

(ჩვენი მოსკოველი კორესპონდენტისაგან)

ფულის რეფორმის უმტკივნეულოდ გატარებისათვის მთავრობის მიერ მიღებულია მთელი რიგი ზომები. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საბაზრო ფასების მოწესრიგება და გაძვირებასთან ბრძოლა.

ამ ბოლო დროს შემჩნეული იყო სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების ფასების არაჩვეულებრივი ზრდა, განსაკუთრებით პურის ფასების. ეს გარემოება და აგრეთვე საბითუმო და სანაჭრო ფასების განსხვავება ხელს უწყობდა საქონლის მანეთის ინდექსის გაზრდას. ჩერვონეცის და საქონლის მანეთი ერთმანეთს საგრძნობლათ დაცილდნენ.

სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოების ფასების შემდეგი ზრდის შეჩერება და საერთოდ სიძვირის წინააღმდეგ ბრძოლა დასახულ ფულის რეფორმის გატარების გამო ფრიად მნიშვნელოვნად იქნა ცნობილი. რეფორმის გატარება მოითხოვს საქონლის ფასების სიმტკიცეს (არამერყეობას) ბაზარზე ამიტომ შინაური ვაჭრობის კომიტეტმა გადასწყვიტა ბაზრის ფასების მოწესრიგება. დასახულია მთელ რიგ საქონელზე მტკიცე ფასების დაწესება, განსაკუთრებით იმ საქონელზე, რომელიც წარმოადგენს მუშის ბიუჯეტის უმთავრეს ნაწილს, როგორც პური, შაქარი, კარაქი, ხორცი, ჩითი და სხვა. მტკიცე ფასები დაწესებული იქნება აგრეთვე ზოგიერთ იმ საქონელზეც, რომელნიც არ შედიან საბიუჯეტო შენაწყობში (бюджетный набор). ფასების ნორმიროვკა არ გავრცელდება კერძო მოვაჭრეებზე, მაგრამ ისინი იძულებული იქნებიან უკან მიყვენ სახელმწიფო სავაჭროებს. რომ ზოგიერთ საქონელზე ფასების ფიქსაცია არ იქნეს დეკლარაციული და შესაძლებელი იქნეს მისი ცხოვრებაში გატარება, მიღებულია ზომები სახელმწიფო სავაჭრო ორგანოების ამ საქონლით საკმაო მომარაგებისათვის.

ბაზრის ფასების მოწესრიგება და მაქსიმუმის ფიქსაცია გატარებული იქნება მხოლოდ მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, როგორც მოსკოვი, ლენინგრადი, ხარკოვი, ბაქო და სხვა. სამრეწველო ქალაქებში ბაზრის სიმტკიცე უზრუნველყოფს სრულიად ფულის რეფორმის ჩატარებას.

მოსკოვის და ლენინგრადისათვის დანიშნულია სპეციალური რწმუნებული სიძვირესთან საბრძოლველათ ამხ. სმილგა. მოსკოვში უკვე გამოცხადებულია მტკიცე ფასები გამომცხვარ პურზე და სხვა საქონელზე. ამ ფასების დაცვა სავალდებულოა მხოლოდ სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭროებისათვის. კერძო ვაჭრებს წინადადება მიეცათ დასანახ ადგილზე გამოაკრან ფასები ჩერვონეცის მანეთებში და კაპეიკებში შემდეგ საქონელზე: პურის ფქვილზე, ზეთზე და კარაქზე, შაქარზე, მარილზე, ჩაიზე, საპონზე, სპიჩკაზე, ხორცზე სელიოდკაზე და ნავთზე.

25 თებერვალს მოსკოვში მოწვეული იყო მოსკოვის მსხვილი ბაზრების კერძო ვაჭრების წარმომადგენლების თათბირი, სადაც გაკეთებულ იქნა მოხსენება ფულის რეფორმის შესახებ. თათბირმა საჭიროდ სცნო ფასების მტკიცე პრეისკურანტზე გადასვლა და საბჭოთა ნიშნის მთავრობის მიერ ჩქარა გამოყიდვა.

ლან—ძე.

მოსკოვი, 27 თებერვალი,—24 წ.

---

*) [illegible]

რადიო-ტელეგრამები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები)

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ინგლისი

მაკდონალდი და რუსეთის კრედიტორები.

ლონდონი, 4 მარტი. თემთა პალატაში ლორდ გრიმი შეეკითხა მაკდონალდს, მოითხოვს თუ არა ის საბჭოთა კავშირთან მოლაპარაკების დროს კომპენსაციას ბრიტანეთის მოქალაქეთა იმ ქონებისათვის, რომელიც ჩამორთმეული იყო რუსეთში. მაკდონალდმა უპასუხა, რომ მას არ შეუძლია რაიმე დაპირებები გასცეს მომავალი შეთანხმების რომელიმე საკითხის შესახებ.

ჩინეთი

თავდასხმა რუსეთის მოსაზღვრე სოფელზე.

მოსკოვი. 6 მარტი. 20 თებერვალს ჩინეთის საზღვარზე გამოჩნდა 80 ჩინელისაგან შემდგარი ბანდა, რომელიც თავს დაესხა სოფელ კომისაროვკას, ცეცხლი წაუკიდა მას ყოველის მხრიდან და დაიწყო ძარცვა; ამასთანავე ის ხვრეტდა გლეხებს და აუპატიურებდა ქალებს. მხოლოდ მთავარ პოლიტიკურ სამმართველოს სადარაჯოს გმირობის წყალობით შესაძლებელი გახდა სოფლის სრული დანგრევისაგან გადარჩენა; სადარაჯომ ძლიერი წინააღმდეგობა გაუწია ბანდიტებს. ბანდიტები გადავიდენ ჩინეთის ტერიტორიაზე, მათ დასტოვეს რამდენიმე მოკლული; ბანდიტებმა თან წაიღეს ნაძარცვი საქონელი და წაიყვანეს გლეხების ცხენები.

ბანდა თავს დაესხა აგრეთვე სოფ. ქარიკოვოს და ნესტეროვკას.

სარწმუნო ცნობების მიხედვით, ბანდიტები შეადგენენ ჩინეთის გარნიზონის ნაწილს. მათ მეთაურობდა ჩინეთის ჯარების ოფიცერი, ისინი შეიარაღებული არიან შაშხანებით, ამასთანავე მათ განკარგულებაში იყო 4 ზარბაზანი, სასანიტარო რაზმი და კანცელიარია.

იაპონია

საფოსტო კავშირის შეწყვეტა საბჭოთა კავშირთან.

ვლადივოსტოკი. 5 მარტი. საფოსტო კავშირის შეწყვეტის გამო იაპონიასა და საბჭოთა კავშირს შორის, იაპონიის ფოსტა-ტელეგრაფის სამინისტრო იღებს საჩქარო ზომებს ფოსტის გადასაგზავნად ვლადივოსტოკში ხარბინზე გატარებით.

ჩეხო-სლოვაკია.

საფრანგეთის კარნახით.

პრაგა, 4 მარტი. „რუდე პრავო" ილაშქრებს ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ და ჩეხო-სლოვაკიის მთავრობის დამოკიდებულებას საბჭოთა კავშირისადმი ხსნის იმით, რომ ჩეხო-სლოვაკიის მთავრობა ამ საკითხში მოქმედობს საფრანგეთის ელჩის კარნახით.

რუმინეთი

რუმინეთის დელეგაციის შემადგენლობა.

ვენა. 4 მარტი. ბუქარესტის პრესის შეუმოწმებელ ცნობების თანახმად, რუმინეთის დელეგაციაში, რომელმაც მოლაპარაკება უნდა აწარმოოს საბჭოთა კავშირთან, შედიან შემდეგი პირები: თავმჯდომარე—რუმინეთის ელჩი სოფიაში როსტანუ, დელეგაციის წევრები—სენატორი გრადიჩესკუ და დეპუტატი ჯუვანო; ბესარაბიის საქმეთა ექსპერტები—კიშინევის პალატის თავმჯდომარე დანკესი და კრიზანი; ისინი მთავრობის პარტიის წევრებია.

გაზ. „ადევერულ"-ის აზრით, როსტანუ არ იცნობს ბესარაბიის საკითხს და ამიტომ მისი კანდიდატურა გაზეთს მიუღებლად მიაჩნია.

რუსეთ-რუმინეთის კომისია.

ვენა. 4 მარტი. გაზ. „ადევერულ"-ის წარმომადგენელთან საუბრის დროს, ბესარაბიის საქმეთა მინისტრმა ინკულესმა განაცხადა, რომ რუმინეთის ზოგიერთ ქალაქებში დაარსდა რუსეთ-რუმინეთის კომისიები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ მშვიდობიანობა საზღვრებზე და გამოარკვიონ ბანდების შემოჭრით მიყენებული ზარალი.

ბელგია

პრემიერის კანდიდატი საბჭოთა კავშირის დაუყონებლივი ცნობის მომხრეა.

პარიზი. 4 მარტი. მთავრობის კრიზისი ბელგიაში დღემდე გადაუჭრელია. სოციალისტები აცხადებენ, რომ კრიზისის გადაჭრა შეიძლება მხოლოდ პალატის გაშვების გზით. **ბურჟუაზიული პრესის ნაწილი დაჟინებით მოითხოვს, რომ პრემიერად დანიშნული იქნეს კლერიკალი რენკონი, რომელიც შეურიგებელი მოწინააღმდეგეა სოციალისტების, მაგრამ მომხრეა საბჭოთა კავშირის დაუყონებლივ ცნობის.** პრესის მეორე ნაწილი მოითხოვს, რომ ტეუნისი კვლავ ჩაუდგეს სათავეში ხელისუფლებას.

მეფემ მიიღო ტეუნისი და წინადადება მისცა მას დარჩეს პრემიერის თანამდებობაზე არჩევნებამდე.

ავღანისტანი

ავღანისტანის ახალი ელჩი.

მოსკოვი. 6 მარტი. ავღანისტანის წინანდელმა ელჩმა გულმარამ-ხანმა გადასცა ამხ. კალინინს გაწვევის სიგელი, ხოლო ახლად დანიშნულმა ელჩმა მუხამედ-ჰამიდ-ხანმა ჩააბარა თავისი რწმუნების სიგელი.

ამერიკა

ამერიკელ სენატორის ფრანსის სამშობლოში დაბრუნება.

მოსკოვი. 6 მარტი. ამერიკელ მრეწველების წარმომადგენელი, ამერიკის ყოფილი სენატორი ფრანსი, რომელიც ერთი თვის განმავლობაში იმყოფებოდა მოსკოვში გაემგზავრა ნიუ-იორკს.

ურთიერთობა აღმოსავლეთთან

აღმოსავლეთის ქვეყნების მოწვევა ნიჟეგოროდის ბაზრობაზე.

მოსკოვი, 6 მარტი. შინაური ვაჭრობის კომისია საგარეო ვაჭრობის სახალხო კომისარიატთან და რუსეთ-აღმოსავლეთის პალატასთან ერთად შეუდგა იმ ღონისძიებათა გამომუშავებას, რომლის მიხედვითაც მოწვეულნი უნდა იქნენ ნიჟეგოროდის ბაზრობაზე სპარსეთი და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნები.

ოსმალეთის ამბები

ხალიფის გამგზავრება.

სტამბოლი. 4 მარტი. გუბერნატორმა ადნან ბეიმ აცნობა ხალიფს ანგორის მთავრობის გადაწყვეტილება მისი გადაყენების შესახებ. ხალიფმა თავისი ოჯახით დასტოვა სტამბოლი და გაემგზავრა სპეციალური მატარებლით შვეიცარიაში.

ოსმალეთი და ინგლისი.

ლონდონი. 4 მარტი. ლონდონის გაზეთები უარყოფითად უცქერიან ანგორის მიერ ხალიფატის გაუქმებას. ისინი წინასწარმეტყველებენ სასტიკ პროტესტს ოსმალეთის წინააღმდეგ ინდოელ მუსლიმანების მხრივ და ფიქრობენ, რომ რომელიმე სხვა მუსლიმანური სახელმწიფო ჩაუდგება სათავეში ისლამს და გამოაცხადებს ახალ ხალიფს.

ოსმალეთის კომპარტიის მუშაობა.

მოსკოვი. 6. მარტი. კომინტერნის წევრი ახმედ-ჯებარი აგზავნის ცნობას ოსმალეთის კომპარტიის მუშაობის შესახებ. 1922 წ. 17 კომუნისტური ორგანიზაცია გაერთიანდენ ერთიან კომპარტიაში. ოსმალეთის პროლეტარიატის სისუსტე და სიმცირე აყენებს კომუნისტურ ორგანიზაციების წინაშე ამოცანას დაიპყრონ მუშურ-გლეხური მოძრაობა. უკანასკნელ ხანებში შეიქმნა სასურველი პირობები ამოცანის გადასაწყვეტად. სტამბოლში არსებული 32 პროფკავშირი გაერთიანდენ პროფკავშირთა საერთო ფედერაციაში, რომელშიაც შედიან აგრეთვე ანატოლიის ორგანიზაციები.

მდგომარეობა იაპონიაში

დიდი ხანძარი.

ტოკიო. 4 მარტი. ქალაქ ნუმაცუში მოხდა დიდი ხანძარი. დაიწვა 200 სახლი. ზარალი უდრის ნახევარ მილ. იენს.

5.000 მუშის გაფიცვა.

ტოკიო. 4 მარტი. მოტორიან ნავების დამამზადებელმა 150 კომპანიამ ოსაკაში გამოაცხადა გაფიცვა და მოითხოვა შრომის ხელფასის გადიდება. სოლიდარობის ნიშნად გაფიცვა გამოაცხადეს აგრეთვე გუმერაბიკის დამამზადებელ ოსაკის სავაჭრო-სამრეწველო კომპანიის მუშებმა. სულ გაფიცულია 5.000 მუშა.

ოსაკაში ჩამოსულმა შრომის საერთაშორისო ფედერაციის წევრებმა ქალაქში გამართეს დიდი დემონსტრაცია, ქალაქს გარეთ მათ მოაწყვეს მიტინგი.

საფრანგეთის „მშვიდობიანობის" პოლიტიკა

პუანკარეს წერილი მაკდონალდისადმი.

ლონდონი. 4 მარტი. მაკდონალდის წერილის საპასუხოთ პუანკარე თავის წერილში სწერს: „როდესაც საფრანგეთი მოითხოვს გერმანიისაგან კონტრიბუციას, ამ შემთხვევაში მას ასულდგმულებს არა ვიწრო ეგოისტური გრძნობა, არამედ სურვილი უზრუნველყოს მტკიცე მშვიდობიანობა ევროპაში. საფრანგეთი, როგორც გერმანიის კრედიტორი, არც ისე სულელია, რომ მოინდომოს თავის მოვალის განადგურება; პირიქით, საფრანგეთის ინტერესები მოითხოვენ გერმანიის ნაყოფიერ მუშაობას."

პუანკარე უარყოფს საფრანგეთის იმპერიალისტურ მიზნებს და აღნიშნავს, რომ არც ერთ გონიერ ფრანგს არასოდეს არ უფიქრია გერმანიის ტერიტორიის მცირე ნაწილის დაპყრობაც კი. ელზასის გარდა, საფრანგეთს არასოდეს არ მოუნდომებია საზღვრების გაფართოება რეინის მიმართულებით და მოითხოვდა მხოლოდ, რომ გერმანიამ მომავალში აღარ ისარგებლოს რეინით ახალ გალაშქრებისათვის საფრანგეთის წინააღმდეგ.

პუანკარე აღნიშნავს, რომ მას საზავო ხელშეკრულების საბოლოო შესრულებამდე სრულიად მიზანშეწონილად მიაჩნდა რეინის მარცხენა ნაპირის ოკუპაცია, რადგან ეს საუკეთესო საშუალებაა იმისათვის, რომ გერმანიამ დაჩქარებით გადაიხადოს კონტრიბუცია.

ეხება რა საფრანგეთის და მცირე ანტანტის დამოკიდებულებას, პუანკარე აცხადებს, რომ საფრანგეთი ცდილობდა დაეცვა კონტაქტი ყველა იმ სახელმწიფოებთან, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ ვერსალის ხელშეკრულების კეთილსინდისიერ შესრულებაში.

„მე არ შემიძლია ინგლისი და საფრანგეთი წარმოვიდგინო განცალკევებული, სწერს პუანკარე. ეს ძვირათ დაუჯდებოდა არა მარტო ინგლისს და საფრანგეთს, არამედ მთელ ევროპას და მთელ კაცობრიობას. ცივილიზაციის ინტერესებისათვის, ჩვენ უნდა დავრჩეთ მჭიდრო კავშირში".

ინგლისი და საფრანგეთი

ინგლისის მუშათა მთავრობა—საფრანგეთის იმპერიალიზმის თანაშემწე.

ბერლინი. 4 მარტი. გერმანიის მემარჯვენე და დემოკრატიული წრეები ილაშქრებენ მაკდონალდის წინადადების წინააღმდეგ უზრუნველჰყოს საფრანგეთის უშიშროება რეინის და რურის ოლქების დემილიტარიზაციის საშუალებით ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ. გაზეთები ხაზს უსვამენ, რომ ერთა ლიგის კონტროლი საარის ოლქის მაგალითის მიხედვით ნიშნავს ფაქტიურად საფრანგეთის ბატონობას.

„როტე ფანე" ამტკიცებს, რომ ინგლისის მუშათა მთავრობამ გამოამჟღავნა თავისი თავი, როგორც საფრანგეთის იმპერიალიზმის თანაშემწე. „ფორვერტსი" ესალმება მაკდონალდს როგორც გერმანიის მხსნელს.

თანაგრძნობით უცქერიან.

ლონდონი. 4 მარტი. ინგლისის პრესა საერთოდ თანაგრძნობით შეხვდა მაკდონალდის და პუანკარეს მიწერ-მოწერას. „დეილი ნიუზ"-ი ხაზს უსვამს მაკდონალდის გამოსვლის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. „დეილი კრონიკლ"-ი პუანკარეს პასუხს მეგობრულ, ტაქტიკურ გამოსვლათ სთვლის.

საფრანგეთის პრესის აზრი.

პარიზი. 4 მარტი. ბურჟუაზიული პრესა, ეხება რა მაკდონალდის და პუანკარეს მიწერ-მოწერას, აღნიშნავს, რომ ორივე პრემიერი ფიქრობენ, რომ საკითხი მოკავშირეთა ურთიერთ ვალების შესახებ არ შეიძლება განხილული იქნეს რეპარაციებისაგან დამოუკიდებლათ. პრემიერები ფიქრობენ აგრეთვე, რომ ამ საკითხების გადაწყვეტა არ შეიძლება, თუ ინგლისისა და საფრანგეთს შორის არ მოხდა წინასწარი შეთანხმება, ამრიგად კი დაეხმარება მხოლოდ გაერთიანებულ ევროპას, რომელიც მოინდომებს მშვიდობიანობის და ეკონომიურ წონასწორობის აღდგენას. ამ სამ საკითხებზე პრემიერებს შორის არ არის აზრთა სხვადასხვაობა. **ყველაზე უფრო დიდი საკითხი—რურის ოკუპაცია მაინც გადაუწყვეტელი რჩება, რადგან საფრანგეთის პოლიტიკური ხაზი არ ეთანხმება ინგლისის ეკონომიურ ხაზს.** მაგრამ, მიუხედავათ ამისა, შეთანხმება მაინც შესაძლებელია.

უკიდურესი მემარცხენე და უკიდურესი მემარჯვენე პრესა დიდ იმედებს არ ამყარებს წერილების გაცვლა-გამოცვლის შედეგებზე. „იუმანიტე" აცხადებს, რომ ასეთი მიწერ-მოწერა ვერ დააჩქარებს კონფლიქტის გადაწყვეტას.

გერმანიის პრესის აზრი.

ბერლინი. 4 მარტი. გერმანიის პრესა ფიქრობს, რომ მაკდონალდის წერილის მიზანია დემილიტარიზაცია მოხდეს რეინის და რურის ოლქების და დაყენებული იქნენ ისინი ერთა ლიგის კონტროლის ქვეშ, იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილი იქნეს საფრანგეთის უშიშროება.

ფულის რეფორმა

არ არის საჭირო მეფის დროის ფულები

პოლტავა. 5 მარტი. გლეხებმა როგორც კი შეიტყვეს, რომ ხმარებაში გამოვიდა ოქროს ახალი ფული, გამოიტანეს ბაზარზე ომის დროს გადამალული ვერცხლის ფულის დიდი რაოდენობა.

ვერცხლის ფული მუშების და მოსამსახურეებისათვის

საუბარი ამხ. ტუგარინოვთან

მოსკოვი. 5 მარტი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს, ფინანსთა სახ. კომისარიატის ფულის ნიშნების ტრიალის განყოფილების მმართველმა ამხ. ტუგარინოვმა განაცხადა, რომ 3 მარტს ფინანსთა სახალხო კომისარიატმა რადიოს საშუალებით წინადადება მისცა სახელმწიფო ბანკის ყველა დიდ განყოფილებებს და კანტორებს გამოუშვან ხმარებაში ვერცხლის ფული. უკანასკნელი დიდი რაოდენობით იყო მომარაგებული ადგილებზე. საბჭოთა ფულის ნიშნები გამოსყიდული იქნება 25 მარტამდე. გამოსასყიდი კურსის გამოქვეყნების შემდეგ, საბჭოთა ფულის ნიშნები განსაზღვრულ დროის განმავლობაში მიიღება ფინანსთა სახალხო კომისარიატის სალაროში ვერცხლის ფულზე გადასაცვლელად. ფინანსთა სახ. კომისარიატი ამზადებს ერთ მანეთიან და ათ შაურიან ვერცხლის ფულის გამოშვებას, რომელიც მიეცემა პირველ ყოვლისა მუშა-მოსამსახურეებს მარტის ხელფასის ანგარიშში.

ადგილებიდან მიღებულ ცნობების თანახმად ფულის რეფორმა სასურველად ტარდება.

გამოცოცხლება საბირჟო ვაჭრობაში

მოსკოვი. 5 მარტი. შინაურ ვაჭრობის კომისიის სხდომაზე მოსკოვის საქონლის ბირჟის თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. კაგანოვიჩმა განაცხადა, რომ საქონლის გასაღების კრიზისი თავიდანაა აშორებული. საბირჟო ვაჭრობის ყველა დარგებში შემჩნეულია გამოცოცხლება.

ჩერვონცების გადაგზავნა საზღვარ-გარეთ

მოსკოვი. 5 მარტი. ფინანსთა სახ. კომისარიატის განმარტებით, საზღვარგარეთ ჩერვონცების გადაგზავნა არ არის შეზღუდული.

ხელფასის მინიმუმი მარტში

მოსკოვი. 5 მარტი. საბჭოთა კავშირის შრომის სახ. კომისარიატმა დააწესა მარტის ხელფასის მინიმუმი: პირველი სარტყელისათვის—6 მ. ჩერვონცით, მეორესათვის—4 მ. 80 კაპ. და მესამესათვის 4 მ. კაპ.

ფასების დაკლება

მოსკოვი. 6 მარტი. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბრის დროს სიძვირესთან ბრძოლის საქმის რწმუნებულმა მოსკოვის და ლენინგრადის რაიონებში ამხანაგმა სმილგამ განაცხადა: ჩვენ სავსებით დავიპყარით პურის ბაზარი. სწარმოებს პურის მასიური დატვირთვა და მომხმარებელ ცენტრებში გადაგზავნა. მომავალში გათვალისწინებულია პურის ფასების დაწევა, ამასთანავე კერძო ვაჭრობა მთლიანად და სავსებით მისდევს დაწესებულ ფასებს. შემჩნეულია ტენდენცია ფასების დაწევისა სხვა საქონელზედაც. საფეიქრო და ტყავის საქონლის ფასებმა უკვე დაიკლო 20-30 პროცენტით. ყველგან ადგილობრივ შემჩნეულია ფასების დაწევის ტენ-

დენცია. კერძო ვაჭრობა იძულებულია მისდიოს ჩვენ მიერ დაწესებულ ფასებს. დღემდის ჩვენ არ მიგვიმართავს რეპრესიულ ზომებისთვის, მაგრამ, თუ გარემოება გვაიძულებს, ჩვენ მის წინაშე არ შევჩერდებით.

გლეხები ესალმებიან ფულის რეფორმას

ხმოლენსკი. 5 მარტი. უპარტიო გლეხთა კონფერენციებს გამოაქვთ დადგენილებები, რომლებშიაც ესალმებიან ფულის რეფორმას.

წარმატებითი ბრძოლა სიძვირესთან

მოსკოვი, 6 მარტი. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენლის ამხ. ლოვეცკის ცნობით, სიძვირესთან ბრძოლას ცენტრისა ადგილებში უკვე მოჰყვა რეალური შედეგები. გამოშვებულია ხმარებაში რამდენიმე მილიონი მანეთი ვერცხლის ფული და მისი გამოშვება სწარმოებს გეგმაშეწონილად საჭიროების მიხედვით.

საფეიქრო სინდიკატმა შეამცირა ზედდართული ხარჯები

მოსკოვი. 6 მარტი. სრულიად რუსეთის საფეიქრო სინდიკატმა მნიშვნელოვნად შეამცირა ზედდართული ხარჯები. საშუალოდ გასავალი შეადგენს მთელი ბრუნვის 2 პრო.-ს.

ნავთის ფასები

მოსკოვი. 7 მარტი. ნავთის სინდიკატმა დასწია ნავთის ფასი 17 პროცენტით.

ჩაის ფასები.

მოსკოვი. 6 მარტი. ჩაის ფასი შემცირებულია 10 პროცენტით.

ლენინის ხსოვნისათვის

უნდა ილტვოდენ გაერთიანებისაკენ. სამძიმრის დეპეშა.

მოსკოვი. 6 მარტი. რიკოვმა და კრასინმა მიიღეს სამძიმრის დეპეშა ლენინის გარდაცვალების შესახებ ჩეხიის კოლონისტების დელეგატთა ყრილობისაგან, ყუბანის ოლქიდან და გერმანიის მემარცხენე კოოპერატორთა კონფერენციისაგან.

პარტიული ცხოვრება

პარტიაში მოდიან

არსენალის რაიკომი იტყობინება, რომ ქვე ოდ ჩამოთვლილ ამხანაგების (ყველა არსენალის მუშებია) შემოტანილია რაიკომში განცხადებები კომუნისტურ პარტიაში შემოსვლის სურვილის შესახებ.

არსენალის რაიკომი სთხოვს ყველა იმ ამხანაგებს და პირებს, რომელთაც აქვთ მამხილებელი საბუთები ამ ამხანაგების წინააღმდეგ, წარმოადგინონ მასალები რაიკომში (პლეხანოვის პრ. № 96) სამი დღის ვადაში:

1) გიორგი ბუგაძე, 2) ვასილ ზომკოვი, 3) ნიკოლოზ გერმისაშვილი, 4) ემელიან კლიმენკო, 5) შალვა კოდალაევი, 6) ივანე მამაკაშვილი, 7) სერგო დავიდოვა, 8) ანტონ გელიაზაროვი, 9) ივანე მაკლაიკინი, 10) მიხეილ მოგილჩენკო, 11) გიორგი შენქიკაშვილი, 12) ალბერტ ცეები, 13) გოტლიბ გრიგი, 14) კონსტანტინე ნოჟენკო, 15) ალექსანდრე გაგნიძე, 16) მიხეილ ბალდასაროვი, 17) მელიქ ყაზაროვი, 18) სუმბატ სტეფანოვი, 19) ილიკო ადგელიშვილი, 20) ალექსი ნაიდენოვი, 21) გარეგინ იოანესიანი, 22) ივანე ალექსეევი.

მდივანი: **ნაზაროვი.**

შინდისის თემი

შინდისის თემში არსებობს კომკავშირის შემდეგი უჯრედები: ს. ახალდაბის, რომელშიაც 7 ამხ. ითვლება, 2. ვარიანის—6 ამხ. 3. შინდისის—11 ამხ. 4. საქმეთის უჯრედში—6 ამხ. 5. ზემო-ნიქოზის—11 ამხ. დანარჩენ ხუთ სოფელში უჯრედები არ არსებობენ. კავშირის წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი უდრის 20. ქალთა ორგანიზაციის მოსაწყობათ დანიშნულია ინსტრუქტორი. არსებობს კლუბი, სადაც სისტემატიური მუშაობა სწარმოებს.

არსებობს აგრეთვე ქოხ-სამკითხველო, რომელიც სამწუხაროთ ვერ არის რიგიანად მოწყობილი, ცოტა მოიპოება მასში პოლიტიკური შინაარსის წიგნები, რომლითაც შეეძლოთ ისარგებლონ როგორც კომკავშირელების ისე უპარტიო მასამ. საერთოთ შინდისი კულტურულ-ეკონომიურათ ჩამორჩენილია, სოფლის შეფათ ითვლება საფაბრიკო-საქარხნო სკოლა, რომელმაც ამას წინედ გამოგზავნა ფანქრები, რვეულები, ჟურნალ-გაზეთები და სხვა. სოფლად არსებობს წერა-კითხვის სალიკვიდაციო კურსები, სამწუხაროდ სასწავლო ნივთების უქონლობა ხელს უშლის მის ნაყოფიერ მუშაობას.

შინდისელი.

ეკონომიური ცხოვრება

ვალუტის კურსი ტფილისში
(7 მარტი)

ჩერვონცები	— —	5.600 მილ.
გირვ. სტერლინგ. ფუნტ.		5.100 „
„ ჩეკები	—	4.700 „
დოლარი ეფექ.	—	1195 „
„ ჩეკები	—	1110 „
ოსმ. ქაღ. ლირა	—	737 „
იტალიური ლირა	—	51 „
ფრანგული ფრანკი	—	49 „
საბჭ. ფულის ნიშნები	—	14 „

ბიულეტენი

ა. კ. სახ. ფინკომთან არსებული კურსის დამწესებელი საგანგებო კომისიისა.

(7 მარტი)

1 ოქროს მანეთი 560.000 ათ.

სურსათის ფასები.
(7 მარტი)

პური 1 ხარ.—48000 ათასი, პური 2 ხარ.—38,000 ათასი, ძროხის ხორცი—168,000 ათასი, ღორის ხორცი 168,000 ათ. შაქარი რაფინადი 210.000 ათ., ფხვნილი შაქარი—153,000 ათ., კარტოფილი—135,000

ტფილისის ბაზრის ფასები.
(7 მარტი)

პური 1 ხ.—70000 ათ., პური 2 ხარ.—50000, ძროხის ხორცი 200.000 ათ. ღორის ხორცი 200.000 ათ., შაქარი რაფინ. 225.000 ათ., შაქარი ფხვნილი 175,000 ათ., კარტოფილი 20 ათ.

ბირჟის მიწოდება.

კალა ინგლის. „ბანკა“, სამუშაო ფეხსაცმელები, ტომრები, „ურალმეტ“-ის პროდუქცია, მავთული, კონიაკი ძველი, სასწორები და მეტრიული გირები, „ცენტროსოიუზ“-ის ჩაი; ცეილონის და ჩინეთის ჩაი, ყავა „მოკკო“, განჯის შაბი, იტალიური გოგირდი, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, „სახაროტრესტ“-ის პროდუქცია, შვეიცარიული ყველი, კაუსტიური სოდა, რუს. მანუფაქტურა, კვებრახის ექსტრაქტი, ხორბალი და პურეული, ტყავის ლეღდები, ქიმიური ნაწარმოები, საშენებელი ლურსმნები, ფანჯრის მინა, ასანთი რუსული, სახ. მეურნ. საბჭ. ტრესტის პროდუქცია, (საპონი, ნართავი, ოლიფას ზეთი და სხვ.), ცემენტი და ეტერნიტი, ერევნის მარილი (გარეცხილი), გიგროსკოპიული ბამბა, ქინაქინა, გაზეთის ქაღალდი, შაბიამანი, კარტოფილი, ფქვილი, ძირტკბილა, კარტონი, ადგილობრივი ხორბალი, განჯის წითელი ღვინო.

ბირჟის მოთხოვნილება.

რუს. მანუფაქტურა, შაბიამანი, შაქარი რაფინადი და ფხვნილი, ქვამარილი ნახიჩევანის, „კოჟსინდიკატ“-ის პროდუქცია, სალომასი, მზესუმზირას ზეთი, ყუბანის ფქვილი, ასანთი რუს., გოგირდი, ნედლი ტყავეულობა, პორტლანდიის ცემენტი, თუჯის და რკინის ხატები.

ოფიციალური ტარიფები.

ცხვრის ნაწლავები—50 კ. კონაში, ფრანკო-მყიდველის საწყობი.

პორტლანდიის ცემენტი—6 მ. 50 კ. ბოჭკაში, სამუშაო ფეხსაცმელები (ინგლ.) 22 მ. წყვილში, ფრანკო-მყიდველის საწყობი ტფილისში.

აგური—5 კ ცალი, ფრანკო ვაგონი სადგ. ქსანი.

საქონლის ბაზრის განწყობილება.

საქონლის ბაზრის განწყობილება უცვლელია.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების, სტერლინგების და დოლარის კურსი კვლავ მტკიცდება (?) —

ჩერვონცების, სტერლინგების და დოლარის კურსი კვლავ მატულობს; საფრანგეთის ფრანკი იტალიურ ლირაზე დაბლა დგას; საბჭოთა ფულის ნიშნებს ეტყობა დაცემა.

ა.-კ. საგარეო ვაჭრობის სამმართველოში

ძირტკბილის რეალიზაცია.

სააქც. საზოგადოებამ „ბიან“-მა დაამზადა 100,000 ფუთამდე ძირტკბილა. საგარეო ვაჭრობის კომისარიატის რწმუნებულის სამმართველომ ამიერ კავკასიაში წინადადება მისცა სავაჭრო სამმართველოს დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება ძირტკბილას რეალიზაციის შესახებ. ფასები იმ მანუფაქტურაზე, რომელიც ეძლევა მოსახლეობას ძირტკბილას მაგიერ, დაწესებული უნდა იქნეს შინა ვაჭრობის კომისიის მიერ.

კერძო პირების მონაწილეობა საექსპორტო ოპერაციებში.

კერძო პირებს შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა საექსპორტო ოპერაციებში შემდეგი საგნების გატანაში: ხილი, თხილი, შვეიცარიული ყველი, თევზეულობა, კონიაკი, სპირტი (ქაჰის), ღვინო, ძვლები, რქა და ჩლიქები, მინერალური წყლები, ბუმბული, ბარიტი და ხიზილალა.

საიმპორტო გეგმა 1924 წლისათვის.

შემუშავებულია ა.-კ. საიმპორტო გეგმა 1924 წლისათვის. გეგმა მოწონებულია ა.-კ. რწმუნებულის სამმართველოს კოლეგიის მიერ. გეგმა გადაეცა სამმართველოს ეკონომიურ განყოფილებას გეგმის სხვადასხვა მუხლების დეტალურად განსახილველად.

ჩერვონცების და ა.-კავკასიის ბონების შეფარდება
(7 მარტი)

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით.
1 ჩ.—	5.600.000	56 ჩ.—	313.600.000
2 ჩ.—	11.200.000	57 ჩ.—	319.200.000
3 ჩ.—	16.800.000	58 ჩ.—	324.800.000
4 ჩ.—	22.400.000	59 ჩ.—	330.400.000
5 ჩ.—	28.000.000	60 ჩ.—	336.000.000
6 ჩ.—	33.600.000	61 ჩ.—	341.600.000
7 ჩ.—	39.200.000	62 ჩ.—	347.200.000
8 ჩ.—	44.800.000	63 ჩ.—	352.800.000
9 ჩ.—	50.400.000	64 ჩ.—	358.400.000
10 ჩ.—	56.000.000	65 ჩ.—	364.000.000
11 ჩ.—	61.600.000	66 ჩ.—	369.600.000
12 ჩ.—	67.200.000	67 ჩ.—	375.200.000
13 ჩ.—	72.800.000	68 ჩ.—	380.800.000
14 ჩ.—	78.400.000	69 ჩ.—	386.400.000
15 ჩ.—	84.000.000	70 ჩ.—	392.000.000
16 ჩ.—	89.600.000	71 ჩ.—	397.600.000
17 ჩ.—	95.200.000	72 ჩ.—	403.200.000
18 ჩ.—	100.800.000	73 ჩ.—	408.800.000
19 ჩ.—	106.400.000	74 ჩ.—	414.400.000
20 ჩ.—	112.000.000	75 ჩ.—	420.000.000
21 ჩ.—	117.600.000	76 ჩ.—	425.600.000
22 ჩ.—	123.200.000	77 ჩ.—	431.200.000
23 ჩ.—	128.800.000	78 ჩ.—	436.800.000
24 ჩ.—	134.400.000	79 ჩ.—	442.400.000
25 ჩ.—	140.000.000	80 ჩ.—	448.000.000
26 ჩ.—	145.600.000	81 ჩ.—	453.600.000
27 ჩ.—	151.200.000	82 ჩ.—	459.200.000
28 ჩ.—	156.800.000	83 ჩ.—	464.800.000
29 ჩ.—	162.400.000	84 ჩ.—	470.400.000
30 ჩ.—	168.000.000	85 ჩ.—	476.000.000
31 ჩ.—	175.600.000	86 ჩ.—	481.600.000
32 ჩ.—	179.200.000	87 ჩ.—	487.200.000
33 ჩ.—	184.800.000	88 ჩ.—	492.800.000
34 ჩ.—	190.400.000	89 ჩ.—	498.400.000
35 ჩ.—	196.000.000	90 ჩ.—	504.000.000
36 ჩ.—	201.600.000	91 ჩ.—	509.600.000
37 ჩ.—	207.200.000	92 ჩ.—	515.200.000
38 ჩ.—	212.800.000	93 ჩ.—	520.800.000
39 ჩ.—	218.400.000	94 ჩ.—	526.400.000
40 ჩ.—	224.000.000	95 ჩ.—	532.000.000
41 ჩ.—	229.600.000	96 ჩ.—	537.600.000
42 ჩ.—	235.200.000	97 ჩ.—	543.200.000
43 ჩ.—	240.800.000	98 ჩ.—	548.800.000
44 ჩ.—	246.400.000	99 ჩ.—	554.400.000
45 ჩ.—	252.000.000	1 მ.—	560.000.000
46 ჩ.—	257.600.000	2 მ.—	1.120.000.000
47 ჩ.—	263.200.000	3 მ.—	1.680.000.000
48 ჩ.—	268.800.000	4 მ.—	2.240.000.000
49 ჩ.—	274.400.000	5 მ.—	2.800.000.000
50 ჩ.—	280.000.000	6 მ.—	3.360.000.000
51 ჩ.—	285.600.000	7 მ.—	3.920.000.000
52 ჩ.—	291.200.000	8 მ.—	4.480.000.000
53 ჩ.—	296.800.000	9 მ.—	5.040.000.000
54 ჩ.—	302.400.000	1 ჩერვ.	5.600.000.000
55 ჩ.—	308.000.000		

✓ საქონლის ჭირი ნავთლუღში

ნავთლუღში მძვინვარებს საქონლის ჭირი, კოშკელაშვილისა და გალუსტოვის ბინებში. ბინები მდებარეობს მაზრაში ნავთის ქალის სიახლოვეს, რომელიც სოფლიდან დაშორებული არის 3-4 ვერსით. არ აკმარეს ხსენებულმა პირებმა, რომ იმათ ბინებში იყო საქონლის ეს საშინელი სენი: ავადმყოფი საქონელი ამოურეკიათ სოფელში, სადაც ყველა მოსახლეს თითო-ოროლა საწველი ან სამუშაო საქონელი ჰყავთ. თუ ფესვები გაიდგა ამ სენმა, მთელი გლეხკაცობა ნავთლუღისა უბედურებაში ჩავარდება. საიდან უნდა გაჩენილიყო ეს სენი,—ან თვითონ უყიდნიათ ხსენებულ პირთ სასაკლაოს ბაზარზე და გაუყვანიათ მინდორში ავადმყოფი საქონელი შეუმჩნევლათ, ან არა და იმ საქონლიდანაა, რომელიც სათადარიგოთ ჰყავთ ნაყიდი ყასპებს და ინახება ნავთლუღში მამუკას სოფელში სხვადასხვა ალებშიდა გომებში. ამის წინააღმდეგ ორი წელიწადი იქნება იბრძვიან ნავთლუღელები, რომ მოაშორონ ნავთლუღს ეს საქონელი, რომელიც არა ერთხელ გამხდარა მიზეზი აქაურ გლეხების საქონლის განადგურებისა. ნავთლუღის წარმომადგენელებმა თავი მოაბეზრეს ქალაქის უფროს, ბეითალს ამხ. შენგელიას თხოვნით და ამ უკანასკნელმა თავის მხრივ მილიციის უფროსს. ყველას ვისაც შეეხებოდა, მილიციის უფროსმა ამაზე სათანადო განკარგულება, დაუგზავნა, მაგრამ აქედან არაფერი გამოვიდა.

სხვა-სხვა მხრიდან შემოსულმა უცხო საქონელმა კი ჭირი მოგვიტანა, რომელმაც რამოდენიმე სული საქონელი იმსხვერპლა. დროა ეხლა მაინც იქნას მიღებული გადაჭრილი ზომები იმათ მიერ, ვის მოვალეობასაც ეს შეადგენს.

ჰ.—ლი.

კომინტერნის ხუთი წლის თავი

კომინტერნი—საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ცენტრია

ამხ. კამენევის მისალმების სიტყვა.

მოსკოვი, 6 მარტი. კავშირების სახლის „კოლონი“ დარბაზში შედგა კომინტერნის აღმასკომის, რუსეთის კომპარტიის მოსკოვის კომიტეტის, მოსკოვის საბჭოს პლენუმის და წითელარმიელთა და მუშათა წარმომადგენლების გაერთიანებული სხდომა, რომელიც მიძღვნილი იყო კომინტერნის 5 წლის თავისათვის. სხდომა გახსნა ამხ. კამენევმა, რომელმაც სთქვა: „კომინტერნის 5 წლის ბრძოლა ნიშნავს მუშათა კლასის 5 წლის წინსვლას საბოლოო მიზნისაკენ—წინსვლას კაპიტალიზმის დანგრეულ ქვეყნიდან კომუნიზმის ქვეყნის შექმნისაკენ“. აღნიშნა რა საერთაშორისო პროლეტარიატის დანაკლისი და მსხვერპლი, რომელიც გაღებული იყო მისი განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლაში და ხაზი გაუსვა რა კომინტერნის ორგანიზატორის და შემქმნელის ამხ. ლენინის დაკარგვას, ამხ. კამენევმა სთქვა: „ვიგონებთ რა დაღუპულთ, ჩვენ ფიცი უნდა დავსდოთ, რომ მტკიცეთ გვეჭირება ჩვენს პროლეტარულ ხელში წითელი დროშა, რომელიც ჩვენ მათ ჩაგვაბარეს. პატივს ვცეთ დაღუპულთა ხსოვნას“. (ყველა ფეხზე სდგება, ორკესტრი უკრავს სამგლოვიარო ჰიმნს).

ამხ. კამენევი წინადადებას იძლევა მოიგონონ აგრეთვე ის ამხანაგები, რომელნიც ბურჟუაზიულ ციხეებში იტანჯებიან. „დღე მათდამი მიაღწიოს იმ სალამმა, რომელსაც პროლეტარიატის პირველ სახელმწიფოს წითელ დედაქალაქიდან უგზავნით ჩვენ ყველას, ვინც იბრძვის მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის. ჩვენ მტკიცეთ დარწმუნებული ვართ, რომ ინტერნაციონალის წითელი დროშის ქვეშ მუშათა კლასის საქმე გაიმარჯვებს საბოლოოთ მთელს მსოფლიოში“.

მოხსენება კომინტერნის 5 წლის მუშაობის შესახებ.

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

მოხსენებას კომინტერნის 5 წლის მუშაობის შესახებ აკეთებს ამხ. **ზინოვიევი**, რომელსაც სხდომაზე დამსწრეები მხურვალე ოვაციებით შეხვდენ. ამხ. ზინოვიევი თავის მოხსენებაში შეჩერდა, უმთავრესად, ამხ. ლენინის როლზე ინტერნაციონალში. აღნიშნა რა ამხ. ლენინის დამოკიდებულება პირველ ინტერნაციონალისადმი და მისი მოღვაწეობის კულმინაციურ წერტილის—პარიზის კომუნის აჯანყებისადმი, ამხ. ზინოვიევმა სთქვა: „ლენინი გვასწავლიდა ჩვენ უდიდესი პატივისცემით მოვპყრობოდით პირველი ინტერნაციონალის მუშაობას, განსაკუთრებით იმას, რაც ასულდგმულებდა პარიზის კომუნარებს.

მეორე ინტერნაციონალის მოღვაწეობაში ლენინი უკვე უშუალო მონაწილეობას იღებდა. მაგრამ, თუ თავის მოღვაწეობის პირველ წლებში ლენინი დიდის პატივისცემით ეპყრობოდა მეორე ინტერნაციონალს და დიდ მნიშვნელობას აძლევდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის როლს,—ბრძოლის თანდათანობითი განვითარებაში ამხ. ლენინს აზრათ მოუვიდა შეექმნა მეორე ინტერნაციონალის მემარცხენე ფრთა, შემდეგ კი ის დარწმუნდა იმაში, რომ შეუძლებელია პროლეტარიატის განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმოება, თუ დაშლილი არ იქნა მეორე ინტერნაციონალი.

ამხ. ზინოვიევი დაწვრილებით აშუქებს ლენინის მოღვაწეობას, რამდენადაც ის შეეხებოდა მის დამოკიდებულებას მეორე ინტერნაციონალის კონგრესებისადმი; ამხ. ზინოვიევი ახასიათებს აგრეთვე ლენინის შემდეგ ბრძოლას, რომელიც მიმართული იყო მესამე ინტერნაციონალის შექმნისაკენ. ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ კომინტერნი მეტად ნელა მუშაობს და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობაც აგრეთვე ნელა ვითარდება. თანამედროვე თაობის სუბიექტიურ მიდგომის თვალსაზრისით ასეთი განწყობილება გასაგებია, მაგრამ სულ სხვანაირი შეფასება გამოვა, თუ კომინტერნის მოღვაწეობას განვიხილავთ ისტორიული მასშტაბით. ამ თვალსაზრისით, კომინტერნის მიერ მიღწეულ შედეგებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ. თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მესამე ინტერნაციონალის ეპოქაში. ეს ეპოქა მიგვიყვანს ჩვენ საბოლოო გამარჯვებამდი. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთაშორისო რევოლიუციის საქმე უფრო ჩქარა წავა, ვიდრე აქამდის იყო, მაგრამ განვლილ ხუთ წელს მაინც ტყვილად არ ჩაუვლია“.

კლარა ცეტკინის სიტყვა.

კლარა ცეტკინ თავის სიტყვაში აღნიშნავს, რომ დღეს ამ კრებაზე სულით თავმოყრილია მთელი მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი. მთელ მსოფლიო პროლეტარიატისათვის ლენინის მოძღვრება გზის მანათობელი ვარსკვლავია.

ამხ. გამბერის სიტყვა.

პროფინტერნის აღმასრულებელი ბიუროს წევრმა ამხ. გამბერმა ხაზი გაუსვა რუსეთის მუშების დამსახურებას და ღვაწლს მუშათა მსოფლიო რევოლიუციონური მოძრაობის წინაშე.

რეზოლიუცია.

ახალგაზრდობის კომინტერნის მუშათა და წითელ-არმიელთა წარმომადგენლების მისალმების შემდეგ კრება ერთხმად იღებს შემდეგ რეზოლიუციას: „კომინტერნის არსებობის 5 წლის თავზე, მოისმინეს რა ამხ. ზინოვიევის მოხსენება, წითელი მოსკოვის მუშები და მუშა-ქალები კომინტერნის აღმასკომის, პარტიული, საბჭოთა და პროფესიული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად ძმურ სალამს [illegible] მთელი ქვეყნის პროლეტარებს და დაჩაგრულ ერებს. 5 წ. ბრძოლის პერიოდში კომინტერნი გადაიქცა საერთაშორისო მუშათა მოძრაობის მძლავრ ცენტრად. ის ეყრდნობოდა არა მარტო საბჭოთა კავშირის მშრომელ მასებს, არამედ მრავალი ასეული მუშებისა და გლეხების დახმარებას.

კომინტერნის დროშა, დროშა მარქსის და ლენინისა აკავშირებს ყველა - რევოლიუციონურ ძალებს, აჭედებს მათ ძველ სამყაროსთან გადამწყვეტ ბრძოლებში.

მეცნიერული სოციალიზმის მამათმთავართა—მარქსის და ენგელსის გზით, კომინტერნის დამაარსებლის და ბელადის გენიალური ხელმძღვანელობით, მსოფლიო რევოლიუციონური პროლეტარიატი ამსხვრევს კაპიტალისტური მონობის ბორკილებს. ამხ. ლენინის სიკვდილის შემდეგ კომინტერნისა, საერთაშორისო მუშათა კლასისა და მთელი დაჩაგრული კაცობრიობისათვის იწყება ბრძოლის ახალი ხანა, ხანა კომინტერნის ახალი ცოცხალი ძალებით შევსებისა. ჩვენი თვალუწვდენელი კავშირის ათეული ათასი მუშები დგებიან ლენინის—რ. კ. პ. დროშის ქვეშ. რუსეთში პროლეტარული რევოლიუციის გამოცდილების წყალობით, უკანასკნელი წლების მკაცრი ბრძოლის გამოცდილების წყალობით მილიონი პროლეტარები და მშრომელთა თვით ჩამორჩენილი ფენები ხდებიან რევოლიუციონური მარქსიზმის შეგნებული მომხრეები, კომუნიზმის გამარჯვებისათვის თავდადებული მუშაკები.

ოპორტუნისტები, სოციალიზმის მოღალატეები, მეორე ინტერნაციონალის ყვითელი ბელადები ყოველ წამს კარგავენ ყოველგვარ ნდობას მუშათა თვალში. ეს უზადრუკი სოციალისტები, თავისი ჩანჩალით ბურჟუაზიის კუდში, თავისი მოღალატური ტაქტიკით ხელს უწყობენ კომინტერნის გამარჯვებას დასავლეთში და აღმოსავლეთში.

კაპიტალისტურ ციხეებში და ბნელ სარდაფებში ჯერ კიდევ იტანჯებიან მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლები და დამცველები—ჩვენი მხურვალე კომუნისტური სალამი კომინტერნის გამარჯვებისათვის თავდადებულ მებრძოლებს! ახლოა განკითხვის დღე. კომინტერნის ხელმძღვანელობით, ილიჩის გზით, საერთაშორისო პროლეტარიატი, პასუხს აგებინებს ჯალათების მათ მიერ დაყენებულ სისხლის ზღვისათვის, დაამხობს კაპიტალის ბატონობას და მთელ მსოფლიოში აღმართავს შრომის დროშას.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

გაუმარჯოს კომუნიზმს.

გაუმარჯოს ლენინიზმს!

კომინტერნი, როგორც მსოფლიო რევოლიუციის მებრძოლი ავანგარდი *)

კომინტერნი—ეს არის კომუნისტური ინტერნაციონალი, ისტორიულად მესამე ანგარიშით.

პირველი იყო წარსული საუკუნის მესამოცე—სამოცდაათიანი წლებში—ეს იყო მარქსის ინტერნაციონალი, უმნიშვნელო წევრებისა და სექციების რაოდენობით, მაგრამ ის დაარსების დღიდან დაშლამდი მუდამ ქამს რევოლიუციონურ ბრძოლის ტაქტიკას აწარმოებდა და „**კომუნისტური მანიფესტი**“-ს მიხედვით მოუწოდებდა „ყველა ქვეყნის პროლეტარებს“ შეერთებისაკენ კომუნისტური რევოლიუციის მოსახდენად.

მეორე ინტერნაციონალი არსებობდა 1889 წლიდან 1914 წლის ივლისამდი, გაცილებით მდიდარი იყო წევრებისა და სექციების რაოდენობის მხრივ. ის, განსაკუთრებით თავისი არსებობის მეორე ნახევარში (1900 წლიდან)—უკვე განვითარებული იმპერიალიზმის და ფინანსიური კაპიტალის ბატონობის პერიოდში, როცა საერთაშორისო პროლეტარიატისათვის განსაკუთრებით საჭირო იყო მჭიდრო შეკავშირებული და ცენტრალისტურ საფუძვლებზე მოწყობილი მებრძოლი შტაბი (პირველი იმპერიალისტური მხეცური ომის დროს), აღმოჩნდა უილაჯო, ის გადაიქცა „ცნობების ბიუროთ“, მას აღარ აღმოაჩნდა მარქსის ინტერნაციონალის რევოლიუციონური ტაქტიკა და რევოლიუციონური სული აი რატომ დამარცხდა ის სამარცხვინოთ და დაეცა მსოფლიო ომის პირველსავე დღეს—1914 წლის აგვისტოში; ის თავისი ბელადების სახით ბურჟუაზიის ბანაკში გადაბარგდა და ამით უღალატა დიდ სამოქალაქო ომში ჯერ კიდევ გამოუცდელ მუშათა კლასს.

მესამე ინტერნაციონალი, რომელიც ცნობილია **კომინტერნის**, ე. ი. კომუნისტური ინტერნაციონალის სახელწოდებით—პროლეტარული რევოლიუციის ამ დიდ მებრძოლ ავანგარდს, თამამად შეიძლება ეწოდოს ლენინის, ბოლშევიკური ინტერნაციონალი. რატომ—ამაზე ვიტყვით ქვევით.

ის არსებობს 5 წელი. დაარსდა პირველ ყრილობაზე 1919 წლის 2—6 მარტს მოსკოვში, **პროლეტარული დიქტატურის** პირველ ქვეყანაში—რ. ს. ფ. ს. რ.

მაგრამ მას აქვს თავისი წინასწარი ისტორია. დავიწყოთ მისგან...

პირველი ინტერნაციონალის არსებობის პერიოდში იყო პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების დიდი ცდა—„**პარიზის კომუნა**“ 1871 წელს“.

ის დამარცხდა და დაიღრჩო ბურჟუაზიის ვერსალელ „გმირების“ **გალიფეს, ტიერის** და საერთაშორისო რეაქციის სხვა ამგვარ საძაგელ მხეცების მიერ დაყენებულ სისხლის ზღვაში... მაგრამ მან, მარქსის გამოთქმით, ახალი გზები უჩვენა სოციალურ (კომუნისტურ) რევოლიუციას...

და მისი დიდი გაკვეთილები გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო მუშათა კლასის პარტიების და მისი ინტერნაციონალის მიერ...

მაგრამ არც მეორე ინტერნაციონალის ხელმძღვანელი პარტია—გერმანიის სოციალ-დემოკრატია კაუცკის და კომპანიის მეთაურობით, არც მეორე ინტერნაციონალი მთლიანად ამ გაკვეთილებს არ ითვალისწინებდენ და არ აყენებდენ საკითხს **პროლეტარიატის დიქტატურის** შესახებ, ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ... ისინი, ე. ი. მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატები, მსოფლიო ომის წინ გადაიქცენ თითქმის მთლიანად აშკარა თუ ფარული რევიზიონისტებათ, რეფორმისტებათ, თუმცა ფორმალურად მათი უმრავლესობა ებრძოდა სიტყვით მას, გამოჰქონდა ყოველთვის ბუნდოვანი, „კაუცკისებური“ რეზოლიუციები.

რასაკვირველია, იყვენ ცალკე პირები, თვით ჯგუფები, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა „მამებთან“, როგორც მაგალითად კარლ ლიბკნეხტი და როზა ლიუქსემბურგი გერმანიის პარტიაში... ამხ. ლიუქსემბურგს ეკუთვნის გერმანიის სოციალ-დემოკრატიის (მაშასადამე, მთელი მეორე ინტერნაციონალის) ცნობილი დახასიათება, როგორც „**აშმორებული ლეშის**“, როგორც რევოლიუციონური მარქსიზმის მოღალატის...

მეორე ინტერნაციონალის ამ მემარცხენე ფრთას უსათუოდ ეკუთვნის რუსეთის ს.-დ. (ბოლშევიკების) 1905 წლის რუსეთის რევოლიუციის შემდეგ ამხ. ლენინის მეთაურობით...

ბოლშევიზმის შემომქმედი,—დაუვიწყარი ამხ. ლენინი იყო ის, რომელმაც მეორე ინტერნაციონალის სხვა მემარცხენეების დახმარებით (როზა ლიუქსემბურგ, კარლ ლიბკნეხტი და სხვები) მეორე ინტერნაციონალის შტუტგარდტის კონგრესზე 1907 წ. მოახერხა „კაუცკიანიზმის“ და „რევიზიონიზმის“ კედლის გარღვევა—მან აიძულა მეორე ინტერნაციონალის კონგრესი მიეღო რუსეთის დელეგაციის შესწორება საერთო პრინციპიალურ რეზოლიუციისადმი... სახელდობრ: **ომი ომს და ყველა საშუალებების ხმარების შესახებ ომის კრიტიკული და კატასტროფიული მომენტების გამოსაყენებლათ** (როცა ომი დაიწყებოდა, მიუხედავათ წინააღმდეგობისა პროპაგანდით და მანიფესტაციით) **ომის წინააღმდეგ**... რასაკვირველია, თავისი პირვანდელი სახით „შესწორება“ გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ, თვით განსვენებული ბებელის სახით,—არ მიიღო. მაგრამ ამ სახითაც, შეკვეცილი და ბუნდოვანი სახითაც—რეზოლიუცია ასეთის შესწორებით მნიშვნელოვანი მოვლენა იყო მეორე ინტერნაციონალისათვის. თავისთავად ცხადია, რომ ამ შესწორებებითაც შეუძლებელი იყო განკურნება მეორე ინტერნაციონალის სოციალ-დემოკრატიისა, რომელიც „აშმორებულ ლეშათ“ გადაიქცა მსოფლიო ომის წინ.

არ მოხერხდა განკურნება ოპორტუნიზმისაგან მთლიანად დამპალი მეორე ინტერნაციონალისაც...

სოციალ-დემოკრატია სამარცხვინოდ დაეცა ომის კარებთან, დაივიწყა ყველა თავისი ფიცი და ბრწყინვალე რეზოლიუციები თავისი არსებობის 25 წლის განმავლობაში.

* *

ერთად-ერთი—როზა ლიუქსემბურგი და კარლ ლიბკნეხტი ახალგაზრდათა ჯგუფით ილაშქრებდენ ომის წინააღმდეგ, რისთვისაც მათ ატუსაღებდნენ, ან გზავნიდენ ომის იმპერიალისტურ ფრონტებზე, სასიკვდილოდ...

და მხოლოდ ჩვენმა ილიჩმა და ბოლშევიკმა ემიგრანტებმა მეორე ინტერნაციონალის ცალკე ინტერნაციონალისტურ ელემენტებთან ერთად შესძლეს 1915—1916 წლის საშინელ პერიოდში ორ მცირერიცხოვან ინტერნაციონალურ კონფერენციის მოწვევა არალეგალურად—ციმმერვალდში და კიენტალში (შვეიცარია), რომლებმაც გაილაშქრეს ომის წინააღმდეგ მოწოდებებით მრავალ ენებზე ჯერ კიდევ ფრთხილად,—არა სავსებით რევოლიუციონერად, არ იყო ძალიან დიდი განსხვავება მეორე ინტერნაციონალის სულისაგან... მაგრამ „ციმმერვალდს“ ჰყავდა თავისი მემარცხენე ფრთა ამხ. ლენინის და ბოლშევიკების სახით საერთოდ. „ციმმერვალდის“ „მემარცხენემ“ შეითვისა ლენინის იდეები და ქადაგებდა დაუყოვნებლივი ომის გამოცხადებას ომისათვის, იმპერიალისტური ომის გადაქცევას სამოქალაქო ომათ. ერთი სიტყვით, ის აყენებდა სოციალური რევოლიუციის ლოზუნგს, როგორც რეალურ, კონკრეტულ საკითხს პირველი იმპერიალისტური ომის პერიოდის „დღის წესრიგში“. ამიტომ, უსათუოდ, „ციმმერვალდის“ „მემარცხენე“ არის კომინტერნის წინამორბედი, როგორც ბოლშევიზმლენინიზმი მთლიანად.

* *

მაგრამ თებერვლის რევოლიუციის შემდეგ, როცა ილიჩი ბრუნდებოდა უცხოეთიდან, ციმმერვალდი მთლიანად უკვე მას არ აკმაყოფილებდა. ის მიზნად ისახავდა პირველყოვლისა სახელის შეცვლას პარტიისათვის—სოციალ-დემოკრატიულ პარტიისათვის კომპარტიის დარქმევას, და მეორეთ, ამისდამიხედვით თავის დროზე **ახალი, მესამე ინტერნაციონალის**, ე. ი. კომუნისტური ინტერნაციონალის დაარსებას.

მე მახსოვს მრავალრიცხოვან შემთხვევებიდან ერთი საუბარი ილიჩთან ე. წ. „დაპლომბილ ვაგონში“, როცა მან წამიკითხა შავათ შედგენილი თავისი ცნობილი მომავალი თეზისები. მე მას უთხარი, რომ პირველყოვლისა საჭიროა პარტიის სახელწოდების შეცვლა, რომ მე, ომის დაწყების დღიდანვე (ჯერ კიდევ ციმმერვალდამდე) ამ აზრისა ვარ... სახელდობრ: „უკან, კომუნისტური მანიფესტისაკენ“, „მარქსისაკენ“. პასუხათ ის წამოიჭრა ფეხზე, ორივე ხელი ჩამომართვა და ნელა მითხრა:

— თქვენც, ამხანაგო მიხა?! და დაუმატა: ჩვენ ჯერ კიდევ არ დაგვეთანხმებიან ახლობელი ამხანაგები და მეგობრები,—შესაძლოა დაგვეჭირდება ცოტაოდენი დაცდა...

* *

მე მახსოვს მეორე შემთხვევაც. ლენინგრადში აპრილის კონფერენციაზე 1917 წ., მის ბოლოში, დახურვის წინ, იყო ამხ. ზინოვიევის ინფორმაციული ცნობა „ციმმერვალდის“ შესახებ. მან განაცხადა: ძვირფას მასწავლებელს და მეგობარს, ამხ. ლენინს, ის არ ეთანხმება იმაში, რომ „ციმმერვალდმა“ ამოსწურა თავისი თავი, რომ სოციალ-დემოკრატებისაგან მეტი არაფერის მიღება არ შეიძლება და სხვა...

ილიჩმა უპასუხა: „ეს მართალია, მაგრამ ვნახოთ მომავალში,—ჩვენ უამისოთაც ბევრი სამუშაო გვაქვს „სახლში“,—რუსეთში... სწორედ ამ დღეებში საბოლოოდ დაეცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიაც (მენშევიკები), როცა წერეთელს ნება მისცა შესულიყო კოალიციონურ მთავრობაში კერენსკის მეთაურობით...

ჩვენმა ლოზუნგმა—„მთელი ძალაუფლება საბჭოებს“ საბოლოოდ დაიპყრო მასები და მოხდა ოქტომბრის დიდი გადატრიალება.

შინაური კონტრ-რევოლიუცია თავიდანვე ადვილათ იქნა დამარცხებული ყოველგან (ლენინგრადში, მოსკოვში და სხვაგან).

მაგრამ (1918—1919 წ.წ.) შემდეგ ის შეკავშირებულად გამოდის ანტანტის მეთაურობით... და აი, მრავალ ფრონტებზე შინაურ და საზღვარგარეთელ კონტრ-რევოლიუციონერების ყოველი მხრიდან მოწოლის ერთ ერთი კრიტიკულ მომენტში, სახელდობრ კი 1919 წ. მარტში ხორციელდება ილიჩის დიდი ხნის სურვილი **კომინტერნის პირველი ყრილობის მოწვევა**... ამის წინ რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) შეცვალა სახელი, ეწოდა რუსეთის კომუნისტური პარტია (პარტიის მეშვიდე ყრილობაზე).

* *

თუ ახალი ინტერნაციონალის პირველი ყრილობა იყო მხოლოდ კომუნიზმის მანიფესტაცია, დემონსტრაცია, მაშინ კომინტერნის მეორე კონგრესი 1920 წ. ზაფხულზე, წითელი არმიის ვარშავაზე გალაშქრების დროს, უსათუოდ იყო საერთაშორისო მუშათა მოძრაობის იდეურად დარაზმული ცენტრი, რომლის მიზანი იყო **ამ მოძრაობის გადაქცევა მოძრაობის უმაღლეს ფორმად ე. ი. მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციად**... კომინტერნი და მისი აღმასკომი გადაიქცა რევოლიუციის დიდ მებრძოლ შტაბად, მის წინამძღოლათ და ხელმძღვანელად... მაგრამ პირველმა ყრილობამ მაინც იმ საერთაშორისო პირობებში, როგორიც იყო 1919—1920 წ. გააკეთა თავისი საქმე: მიიზიდა თავის რიგებში მსოფლიო მუშათა მოძრაობის ყველა ჯანსაღი ელემენტები. ბევრი სოციალისტური პარტიები და ჯგუფები გამოეხმაურენ მას... მათ შორის იყვენ, რა თქმა უნდა, არა ჯანსაღი ელემენტებიც—თავიანთი მემარჯვენეობით, რომლებიც მოგვაგონებდენ მე-2-ე ინტერნაციონალის წინამძღოლებს, ან საეჭვო „მემარცხენე“ ელემენტები, რომლებიც მოგვაგონებდენ ანარქო-სინდიკალისტურ ჯგუფებს, რომლებიც რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიის ქვეშ მალავდენ აღვირახსნილ ოპორტუნიზმს.

აი ამიტომ, კომინტერნის მეორე კონგრესმა, დაუშვა რა თავის სხდომებზე ყველა მსურველები—„მემარჯვენეებიც“ და „მემარცხენეებიც“, დაიტოვა უფლება ჩაეთვალა კომინტერნის სექციად მხოლოდ ის პარტიები და ჯგუფები, რომლებიც ულაპარაკოდ მიიღებდენ 21 პირობას; ეს პირობები სავსებით მისაღები და აქსიომატიური იყო ნამდვილ გულწრფელ რევოლიუციონერ - პროლეტარებისათვის, და აგრეთვე თვით კომუნისტურად განწყობილთათვისაც კი... მაგრამ ყალბ ჯგუფებისა და პირებისათვის, რომელთაც სურდათ კომუნიზმის დროშის ქვეშ გაესაღებიათ თავიანთი სოც.-დემ. მე-2-ე ინტერნაციონალის დახავსებული აზრები და ამით დეზორგანიზაცია შეეტანათ ახალ ინტერნაციონალში თავიანთი „ავტონომიით“ და „დამოუკიდებლობით“ კომინტერნის აღმასკომისაგან,—21 პირობა იყო გამოცდა.

* *

ამნაირად კომინტერნმა მოახერხა ჩაეკეტა კარები ევროპის სოციალ-დემოკრატიის ბატონ „დამოუკიდებელთა“ და „ავტონომისტებისათვის“ კომინტერნის 2, 3 და 4 კონგრესებზე ჩამოყალიბდა ჭეშმარიტად მებრძოლი ავანგარდი—კომინტერნი, რომელმაც აირჩია თავის ლოზუნგათ—„**მასებისაკენ**“ და შეათვისება **საერთაშორისო პროლეტარიატს მუშურ-გლეხური მთავრობის** და „**ერთიანი ფრონტის**“ **იდეები**, არა მარტო ყველა პროლეტარების, არამედ საზოგადოთ ქალაქის და სოფლის ყველა მშრომელთა „ერთიანი ფრონტის“ იდეები რუსეთის კომპარტიის და მუშურ-გლეხურ კავშირის ყაიდაზე პროლეტარიატის დიქტატურის ქვეშ...

ეხლა, 4 კონგრესის შემდეგ, კომინტერნი არის მსოფლიოს ერთიანი კომუნისტური პარტია თავისი მებრძოლი შტაბით ყრილობიდან ყრილობამდე—კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასკომით.

კომინტერნს დედა-მიწის თითქმის ყველა კუთხეში ჰყავს თავისი იაჩეიკები,—სექციები, ე. ი. ჯგუფები და პარტიები.

* *

კომინტერნის, როგორც მსოფლიოს რევოლიუციის ავანგარდის ყველაზე დიდი დამსახურება არის მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში აზიის, აფრიკისა და მთელი მსოფლიოს ჩაგრულ კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების ჩაბმა...

ილიჩის ცნობილმა თეზისებმა კოლონიალურ და ნაციონალურ საკითხების შესახებ კომინტერნის მეორე კონგრესზე ინტერნაციონალური ხასიათი მისცეს რუსეთის კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების ტაქტიკას...

გაიღვიძა ოსმალეთმა და ბრძოლით მოიპოვა თავისი ეროვნული დამოუკიდებლობა... იბრძვიან აგრეთვე აღმოსავლეთის სხვა ერებიც და აგრეთვე მიაღწევენ განთავისუფლებას იმპერიალიზმის ჩაგვრისაგან...

ამგვარად 5 წლის არსებობის მანძილზე კომინტერნმა გააკეთა ის, რაც 50 წლის განმავლობაში მის დაარსებამდე არ იყო გაკეთებული და სახელდობრ:

1) მსოფლიო პროლეტარიატის მოქმედების შეთანხმება კოლონიალურ ქვეყნების ჩაგრულ ხალხთა ბრძოლასთან.

2) ყველგან—ინდუსტრიალურ ქვეყნებში და სხვაგანაც წარმოიშვენ კომპარტიები, რომელთათვისაც ევროპის და ამერიკის კაპიტალთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე ჩვენთვის 17 წლის დამლევს...

3) ლოზუნგი „მასებისაკენ“, რომელიც გადაიქცა „ერთიანი ფრონტის და მუშურ-გლეხურ მთავრობის“ ლოზუნგათ, გამართლდა. მასები, თავიანთ პარტიების და კავშირების წინამძღოლების საშუალებით თავს იყრიან კომინტერნის დროშის ქვეშ...

4) „ერთიანი ფრონტის“ ლოზუნგი ხორციელდება არა მარტო ყველა პარტიების პროლეტარებს შორის, არამედ ქალაქის პროლეტარიატის და გლეხებს შორისაც.

აქედან გამომდინარეობს ის უდიდესი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა მოსკოვში მოწვეულ მთელი მსოფლიოს გაყვლეფილ გლეხთა მასების წარმომადგენელთა პირველ კონფერენციას... აქ მსოფლიო ისტორიაში გათვალისწინებულია მსხვილ კაპიტალის—იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ გლეხთა მასების და საერთოდ მცხოვრებთა ყველა წვრილ და საშუალო ფენების რევოლიუციონური მნიშვნელობა.

* *

უნდა დაუმატოთ, რომ მეოთხე კონგრესის შემდეგ მსოფლიო რევოლიუციის შანსები იზრდებიან... მაგრამ იზრდება დაბრკოლებაც ფაშიზმის—კაპიტალისტურ რეაქციის ამ უკანასკნელ მებრძოლი რაზმის სახით. მეორე ინტერნაციონალი და საერთოდ სოციალისტური პარტიები იხრწნებიან, ხოლო კომპარტიები იზრდებიან. მაგრამ გაიზარდა ფაშიზმიც.—„ბობოქრობს“ რეაქცია გერმანიაში, ბულგარეთში და სხვაგან.

მაგრამ კაპიტალის შემოტევა და უმუშევრობა აღვიძებს მასებს და რაზმავს მათ კომპარტიების ირგვლივ... ფაშიზმიც შიგნიდან იწყებს გახრწნას... მაგრამ შავბნელი რეაქცია მაინც ძალაშია ევროპაში, ამერიკაში და იაპონიაში, მისი მსხვერპლი აურაცხელია... კომინტერნმა დააარსა **რევოლიუციონერთა დახმარების საერთაშორისო საზოგადოება**, რომელიც უწევს მათ მატერიალურ დახმარებას და ამით ანვითარებს მთელი მსოფლიოს ხალხთა სოლიდარობას.

* *

ამას წინად ჩვენგან განშორებული, მხოლოდ ფიზიკურად, ჩვენი ძვირფასი ილიჩი, ამხ. ლენინი არის არა მარტო რუსეთის კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების შემოქმედი, არამედ კომინტერნის დამაარსებელიც, მაშასადამე, პროლეტარულ რევოლიუციის უდიდესი წინამძღოლი.

ამის წყალობით კომინტერნი 5 წლის განმავლობაში გადაიქცა მსოფლიო რევოლიუციის ნამდვილ მებრძოლ ავანგარდათ, არა სიტყვით, არამედ საქმით.

უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ კომინტერნი, წავა რა ამხ. ლენინის ნაჩვენებ გზით და გამოიყენებს ლენინიზმის მეთოდებს—გამარჯვებით დაამთავრებს თავის მისიას, ყველა ქვეყნის პროლეტარების, იმპერიალიზმის მიერ ყვლეფილ ხალხთა მასების და მის მიერვე აღმოსავლეთის ჩაგრულ და კოლონიალურ მონების—ხალხთა განთავისუფლების დიად მისიას.

გაუმარჯოს მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას!

გაუმარჯოს მის მებრძოლ ავანგარდს—კომინტერნს!

გაუმარჯოს მსოფლიო რევოლიუციის დიდ შტაბს—კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელ კომიტეტს!

გაუმარჯოს კომუნიზმს—ლენინიზმს, როგორც ერთად-ერთ ჭეშმარიტ რევოლიუციონურ მარქსიზმს!

ძირს საერთაშორისო კაპიტალი!

ძირს იმპერიალიზმი!

გაუმარჯოს იმპერიალიზმის მიერ ჩაგრულ, აღმოსავლეთის მებრძოლ ხალხებს!

გაუმარჯოს ხანგრძლივან—მძლავრ და დიდ კომინტერნს თავისი არსებობის 5 წლის თავზე!

მიხა ცხაკაია.

ტფილისი, 1924 წ. 4 მარტი.

---

*) ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზის გამო ეს წერილი ვერ დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის 5 მარტის ნომერში. რ ე დ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დისკუსია

ცეკავშირისა და წარმოკავშირის ურთიერთ დამოკიდებულების გარშემო

ისევ ცეკავშირის და წარმოკავშირის ურთიერთობის შესახებ

დისკუსია ცეკავშირის და წარმოკავშირის ურთიერთ დამოკიდებულების შესახებ კვლავ გრძელდება.

სამწუხაროა, რომ ამ საკითხში ზოგიერთ ამხანაგებს ვერ დაუძლევიათ ვიწრო უწყებრივი თვალსაზრისი. არაფერს ჰგავს ისეთი მდგომარეობა, როცა, მაგალითად, თუ ცეკავშირში მუშაობ, ხოტბას ასხამ ამ ორგანიზაციას და მის სასარგებლოდ იცავ კოოპერაციის მთლიანობას, ხოლო თუ რაიმე მიზეზით მოგიხდა გუდა-ნაბადით გადაბარგება, ვთქვათ წარმოკავშირში, მყისვე ხდები უკანასკნელის დამოუკიდებელი არსებობის მომხრე, და ცეკავშირის „გამანადგურებელი“, მაშინ, როცა ობიექტიურ სინამდვილეში არაფერი მომხდარა ისეთი, რასაც შეეძლოს წინანდელი „შეხედულების“ ამგვარი „ცვლილების“ ლოღიკური გამართლება.

თუ კი ჩვენ მოვახერხებთ საკუთარი ქოხის პოლიტიკაზე ამაღლებას, საკითხი ცეკავშირის და წარმოკავშირის ურთიერთი დამოკიდებულების შესახებ ნათელი გახდება და ადვილად გადასაჭრელი.

კოოპერატიული მშენებლობის სისტემა ჩვენში განისაზღვრება ეკონომიური, ორგანიზაციული და პოლიტიკური მომენტებით.

ყველამ იცის,—და კიდეც აღვნიშნეთ პირველ წერილში (იხ. „კომუნისტი“ № 50), რომ ჩვენი გლეხი მეტ წილად ეწევა მრავალი სახის მეურნეობას წვრილ-წვრილად; გამონაკლისია ისეთი კუთხეები, სადაც მასიურად მარტო ერთ მეურნეობას მისდევდნენ. და როცა ასეთია მდგომარეობა, კოოპერაციის ტიპი ჩვენში უნდა იყოს ისეთი, რომ მან ერთ და იმავე დროს დააკმაყოფილოს მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილებანი, მიაწოდოს მას მრეწველობის საგნები, ამასთან შეიძინოს გლეხისაგან მისი ნაწარმოები და ის გაასაღოს.

ასეც არის. მომხმარებელი კოოპერაცია ორივე ამ ფუნქციას ასრულებს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. გლეხს როგორ შეუძლია სამომხმარებლო საგნების შეძენა კოოპერატივიდან, თუ უკანასკნელმა სამაგიეროდ არ მიიღო მისგან სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოები!

მაგრამ ამბობენ ზოგიერთები: უნდა არსებობდეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, გლეხმა იქ მიიტანოს, გაჰყიდოს თავისი ნაწრომი, აღებული ფულით შემდეგ წავიდეს სამომხმარებლო კოოპერატივში და იქ შეიძინოს რაც ესაჭიროება.

ვთქვათ, რომელიმე რაიონში არსებობს ორივე სახის კოოპერატივი, როგორც სამომხმარებლო, ისე სასოფლო-სამეურნეო. ერთი არის მოსახლეობისათვის მხოლოდ მიმწოდებელი საჭირო საგნების, მეორე კი მარტო გამსაღებელი გლეხის ნაწარმოების.

გლეხმა საწევრო გამოსაღები უნდა შეიტანოს ორივე კოოპერატივში, შემდეგ: ორ კოოპერატივს ესაჭიროება: ორი გამგეობა, ორი სარევიზიო კომისია, ორი მომუშავე აპარატი, ორი შენობა და მრავალი სხვა. განა ამდენ ხარჯებს აიტანს ან გლეხი, ან კოოპერატივი! ეს ხომ იქნებოდა საქონლის ხელოვნური გაძვირება და გლეხის ზედმეტი დაბეგვრა! გარდა ამისა, ჩვენ სად გვყავს ამოდენა კოოპერატიული და საერთოდ კულტურული ძალები პროვინციაში!

ტექნიკურადაც მიზანშეუწონელია გლეხობისათვის თავის ნაწარმოების გასაღების მხრივ იყოს დაკავშირებული ერთ დაწესებულებასთან, ხოლო საქონლის შეძენის საქმეში—მეორესთან. ეს იწვევს ფულის ზედმეტ და უსარგებლო ტრიალს, ზედმეტი დროის და ენერგიის დაკარგვას.

მდგომარეობა ერთობ მარტივდება ყოველმხრივ, თუ მივიღებთ ორგანიზაციულად მთლიან, ინტეგრალურ კოოპერაციას.

კოოპერატიულ მშენებლობის ამა თუ იმ სისტემის შემოღებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს იმ გარემოებასაც, თუ რომელი ფორმა უფრო მიზანშეწონილია მუშათა კლასის და მისი ხელისუფლების ბატონობის პოლიტიკური და ეკონომიური განმტკიცებისათვის.

ფაქტია, რომ სამომხმარებლო კოოპერაციაში სოფლად თავს იყრის ღარიბი და საშუალო გლეხობა. საიდუმლოებას არ წარმოადგენს ისიც, რომ სასოფლო-სამეურნეო-საწარმოვო კოოპერაცია მეტ წილად შეძლებულ და კულაკურ ელემენტების ორგანიზაციაა (მაგ., საზ. „ქართლი“, რომელიც წარმოკავშირის მფარველობის ქვეშ იმყოფება). დარაზმვა ყველგან სოფლის შეძლებულ ელემენტებისა ცალკე ორგანიზაციებში, რაც თავის თავად წარმოშობს მათ დაპირდაპირებას ღარიბ გლეხებისა და მათი კოოპერატიულ ორგანოების მიმართ, არ შეიძლება შეადგენდეს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას.

გლეხობა უნდა იყოს გაერთიანებული ერთ მთლიან კოოპერატიულ ორგანიზაციაში, სადაც არა მარტო ფორმალურად, არამედ ნამდვილად, ფაქტიურად დაცული იქნება მშრომელთა ხელმძღვანელობა და კოოპერატიული საქმიანობის წარმართვა მათი ინტერესების მიხედვით. ამას ვამბობდით ჩვენ პირველ წერილში უფრო ზოგადად: „წარმოკავშირის დამოუკიდებელი არსებობა... დაარღვევს წონასწორობას მოსახლეობის სამომხმარებლო ინტერესებსა და მეურნეობის ცალკე დარგების განვითარების შორის“.

ამაში მდგომარეობს აგრეთვე წმინდა ეკონომიური ხასიათის მოსაზრება ორი კოოპერატიული ცენტრის წინააღმდეგ. მოსახლეობის როგორც სამომხმარებლო, ისე სამეურნეო ინტერესების მთლიანად და თანაბრად გათვალისწინება და დაცვა, ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის წონასწორი განვითარება ჰგულისხმობს ერთიან კოოპერატიულ პოლიტიკას,—რამდენადაც ჩვენ აქ კოოპერაციაზე გვაქვს ლაპარაკი,—ასეთი პოლიტიკის წარმოება კი შეუძლია მხოლოდ ერთ კოოპერატიულ ცენტრს.

ასეთ ცენტრად ჩვენ მიგვაჩნია ცეკავშირი.

მისი ორგანიზაციებით მოფენილია მთელი ჩვენი რესპუბლიკა, მას აქვს აპარატები, როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში. ზოგიერთი ამხანაგები, დაბრმავებულნი უწყებრივი პატრიოტიზმით, ვერ ხედავენ სინამდვილეს, და ამბობენ, რომ ცეკავშირის ორგანიზაციები მხოლოდ ეხლა ეწყობიან, იმყოფებიან ორგანიზაციის სტადიაში. მართალია ის, რომ, ცხოვრების ახალ მოთხოვნების მიხედვით, საჭიროა სამომხმარებლო კოოპერატივების რეორგანიზაცია და არა ის, რომ ასეთი კოოპერატივები ნამდვილად თითქო არ არსებობდნენ.

ამასთან ჩვენ ვამბობდით, რომ ცეკავშირის „აპარატს ბევრი ნაკლი აქვს, რომ ცეკავშირი სავსებით ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ამოცანებს“-თქო. ამ სიტყვების ხელზე დახვევა ცეკავშირის „გასანადგურებლად“, როგორც ამას სჩადის ერთი ამხანაგი (იხ. „კომუნისტი“ № 52), მხოლოდ იაფფასიანი პოლემიკური ფანდია. მართლაც, რომელ დაწესებულებას არა აქვს ესა თუ ის ნაკლი; რომელ ორგანიზაციაზე ითქმის, რომ ის სავსებით ანხორციელებს თავის ამოცანებს? ყოველ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად ითქმის ეს წარმოკავშირზე, რომლის „დიდი“ საქმიანობა ამ ბოლო დროს იმაში გამოიხატება, რომ დაარსოს სადმე თავისი განყოფილება, გასთიშოს ადგილობრივად კოოპერაციაში თავმოყრილი ხალხი, რათა ჰქონდეს „საფუძველი“ ილაპარაკოს, მეც ვარსებობ და საქმეს ვაკეთებო.

ვიმეორებთ, მომხმარებელ კოოპერაციას ესაჭიროება რეორგანიზაცია და გაჯანსაღება, რასაც კიდეც შევსძლებთ. ამისათვის მომხმარებელი მოსახლეობა მომზადებულია, ძალებიც მოგვეპოვება და საშუალებანიც. წარმოკავშირის დამოუკიდებელი „მოღვაწეობა“ კი მხოლოდ შეაფერხებს ამ მუშაობას.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დამოუკიდებელი ცენტრის დასაცავად ზოგიერთი ამხანაგები გვითითებენ რუსეთის მაგალითზე, სადაც „ცენტროსოიუზიც“ არსებობს და „სელსკოსოიუზიც“.

რუსეთში სულ სხვა მდგომარეობა იყო დღემდე შექმნილი. იქ ბევრი ხანია არსებობენ გაერთიანებული და ღონიერი სასოფლო-სამეურნეო, ამხანაგობები, რასაც ჩვენში ადგილი არ ჰქონია. ჩვენში მხოლოდ ამ ბოლო დროს ცდილობენ ასეთი ორგანიზაციების მოწყობას ფართე მასშტაბით და მათ გაერთიანებას ერთ ცენტრში.

შემდეგ: მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, რუსეთში უკანასკნელ ხანებში საერთო მიმდინარეობა ისეთია, რომ უნდა მოხდეს ამ ორი სახის კოოპერაციის გაერთიანება, „სელსკოსოიუზი“-ს დაქვემდებარება „ცენტროსოიუზი“-სათვის. ეს, ვიმეორებთ, მძლავრი მიმდინარეობაა, და არა „Экономическая жизнь“-ში გამოქვეყნებული ორი ცნობა“ გაერთიანების შესახებ, როგორც ცდილობს მოგვაჩვენოს წარმოკავშირის ერთი დამცველთაგანი (იხ. „კომუნისტი“, № 52).

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ როცა წამოიჭრება ჩვენში საკითხები დაწესებულებათა რეორგანიზაციის, ამა თუ იმ დაწესებულების გაუქმების, ან მეორესთან შეერთების, ამ საკითხების გარშემო დადგება ერთი ენებათა ღლვა, იქმნება არაჯანსაღი ატმოსფერა.

და ეს ხშირად იმიტომ ხდება, რომ ბევრი ჩვენგანი, თუ ის „ქოხის“ იქით ვერ იხედება, დაავადმყოფებულია ვიწრო უწყებრივი პატრიოტიზმით.

ორგანიზაციული საკითხები, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მათი სწორი გადაჭრა აუცილებელი, მაგრამ ამას შევსძლებთ მხოლოდ მაშინ, როცა ყოველი ჩვენთაგანი გამოვა თავის ვიწრო ნაჭუჭიდან და საკითხს მიუდგება მთლიანად მუშათა კლასის და ჩვენი მეურნეობის საერთო აღორძინების თვალსაზრისით.

№.

დავა ცეკავშირის და წარმოკავშირის შორის

ის საკითხი, რომელმაც ამჟამად ამ ორ ორგანიზაციათა შორის დავა გამოიწვია, ახალი არ არის და რუსეთში, მაგალითად, მას რამოდენიმე წლის ისტორია აქვს. ამას აქვს თავისი ღრმა სხვადასხვა გამომწვევი მიზეზები და ეს გარემოება მით უფრო გასაგებია იმისათვის, ვინც კოოპერაციას პოლიტიკის გარეშე არ აყენებს. საქმე იმაშია, რომ კოოპერაციის საკითხების ასე თუ ისე გადაწყვეტაში იბრძვის ორი სტიქია. სტიქია პროლეტარული და წვრილ-ბურჟუაზიული და სწორედ ამ დროს ჩვენ ეს უკანასკნელი მოვლენანი უნდა ვიქონიოთ მხედველობაში და არა ის, რომ ცეკავშირმა უფრო მეტი გააკეთა სასოფლო-სამეურნეო დარგში თუ წარმოკავშირმა ან ცეკავშირი მარტო სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი უნდა იყოს თუ არა. ამერიკაში, ბელგიაში, დანიაში სასოფლო-სამეურნეო-საწარმოვო ცენტრები არსებობენ და საქართველოშიც საჭიროა ასეთი ცენტრიო, ამბობენ ზოგიერთები.

ჩვენთვის ამ შემთხვევაში რუსეთის სინამდვილეს აქვს დიდი მნიშვნელობა, ვინაიდან ეს ქვეყანა როგორც პოლიტიკურად, ისე ეკონომიურადაც თითქმის არაფრით არ განარჩევა საქართველოსაგან და კოოპერატიული მშენებლობაც იქიდან გვაქვს გადმოტანილი.

რუსეთში კი ასე იდგა საკითხი: როგორი უნდა იყოს პირველდაწყებითი კოოპერატივის ტიპი? ინტეგრალური თუ სპეციალური? გაიმარჯვა ინტეგრალურმა სისტემამ, ვინაიდან სპეციალური ტიპის კოოპერატივები რუსეთის სინამდვილემ უარყო და ისინიც, რომელნიც არსებობდენ, მაგალითად, შესანიშნავი ციმბირის მერძევეთა არტელი, შეუერთდა ცენტროსოიუზს და შევიდა როგორც სექცია, კუსტარულ წარმოებათა ამხანაგობა—„სელსოიუზს“ და სხვ. ასე რომ, ეხლა სანთლითაა რუსეთში მოსაძებნი სპეციალური ტიპის კოოპერატივები. ეს კი ეხლაც არ გაუგია წარმოკავშირს და ან არ უნდა გაიგოს.

მაშ დღეს ჩვენ რუსეთში ვხედავთ მხოლოდ შერეული ან უნივერსალური ტიპის კოოპერატივებს იმ განსხვავებით, რომ ერთ მათგანში სამომხმარებლო კოოპერაციის ჰეგემონიაა და მეორეში სასოფლო-სამეურნეო. ავიღოთ სამაგალითოდ „ცენტრო-სოიუზი“ და „სელსოიუზი“. ორივეს საწყობებში თქვენ დაინახავთ: ფართლეულობას, შაბიამანს, ლურსმანს, შაქარს, გუთანს, ხერხს, წუმწუმას და სხვა. ე. ი. ინტეგრალი იქაც და აქაც. ამის შემდეგ ლაპარაკი იმაზე, როგორც ამას სჩადის წარმოკავშირი, რომ ჩვენ სამომხმარებლო ფუნქციებზე უარს ვლაპარაკობთ და თუ ამჟამად ფართლეულობას, შეკერილ ტანისამოსს ან სხვა სამომხმარებლო საგნებს ვეტანებით, ეს შემთხვევითია ჩვენს მუშაობაში,—არასფერს არა ჰგავს. თვით კარბელაშვილმა კერძო ლაპარაკის დროს განმიცხადა წარმოკავშირის სულისჩამდგმელ ერასტი წიჭწივაძეზე: „წიჭწივაძე ინტეგრალისტია“-ო და ეს ასეც არის. წარმოკავშირს სურს მოსპოს ინტეგრალი სამომხმარებლო კოოპერაციის ჰეგემონიით და შექმნას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის გარშემო. აი, სწორედ, აქაა ძაღლის თავი დამარხული.

რუსეთში ეს სამომხმარებლო კოოპერაციის სასარგებლოდ გადაწყდა და ამის შესახებ გამოცემული იქნა სათანადო დეკრეტიც. ამ აქტს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

რა იყო ამის მიზეზი?

1) ჯერ ის, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია ავრცელებს და იპყრობს თავის მუშაობით როგორც მუშას, ისე გლეხს;

2) ის მუშურ სულს და მის პოზიციას ამაგრებს კოოპერაციაში;

3) ის უფრო გარმონიას ჰქმნის მუშა და გლეხში, არ უპირდაპირებს ინტერესებს, არ აღრმავებს წინააღმდეგობას და სხვადასხვა, მაშინ როდესაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ეყრდნობა მხოლოდ გლეხობას და ისიც არამშრომელ გლეხობას, არამედ შეძლებულს, **ვინაიდან ღარიბ და ღატაკ გლეხობას თავის მეურნეობაში არა აქვს შექმნილი სპეციალური კულტურა**, რომელზედაც შეიძლებოდეს მისი დაყრდნობა. ამით კოოპერაციაში ბატონდება ბურჟუაზიული სული როგორიცაა ამერიკაში, დანიაში და სხვა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ამის გაღრმავება იქნებოდა მავნებელი საბჭოთა ხელისუფლებისთვის.

ამის მიხედვით უნდა გადაწყდეს საქართველოშიც კოოპერატიულ მშენებლობის საქმე.

ხ. ადამაია.

ცენტრებზედ დავა კი არა, ჩვენ კოოპერაციის გაჯანსაღება გვაინტერესებს

დისკუსია საქართველოს კოოპერატიულ მშენებლობის შესახებ უკვე დაიწყო და უნდა ვიფიქროთ, რომ მის გაფართოებით ნათლად გადიშლება ის სადავო საკითხი, რომელსაც ინტეგრაცია-გაერთიანება და ერთი ცენტრის შექმნა ეწოდება. ინტეგრაციის მიმდევრებს რატომღაც ჰგონიათ, რომ სიტყვა „ერთი ცენტრი“, „გაერთიანება“ ისეთი რამაა, რასაც შეუძლია მიიმხროს თავის მხარეზე საზოგადოება. მაგრამ შევეკითხოთ ჩვენ მათ—განა ყოველივე გაერთიანება ხელსაყრელია? მე ვიტყოდი, რომ არა. ზოგი ორგანიზაციათა გაერთიანება ხელსაყრელია და ზოგის კი დამღუპველი. მაგალითისათვის ვიტყოდი ამხ. ერქომაიშვილს (რომელიც „ინტეგრაციას“ იცავს და ამ საკითხზე მოთავსებული აქვს წერილი გაზეთ „კომუნისტი“-ს № 52-ში), რომ საქართველოს სასურსათო კომისარიატის მოსპობა საჭირო იყო, რის დაშლის შემდეგ შეიქნა მთლიანი მიზანშეწონილი ორგანიზაცია „საქართველოს სახელმწიფო ვაჭრობის“ სახელწოდებით—Грузгосторг შეიძლება ამის წინააღმდეგ ყოფილიყო ამხ. ერქომაიშვილი, მაგრამ რას იზამ—მიზანშეწონილობას თავისი გააქვს. ზევით აღნიშნულ ორგანიზაციის დაარსება გადაჭრით ვიცით, რომ სასარგებლოა. მაგრამ ასე წინდაწინ გაბედულად თქმა შეუძლია რომელიმე „ინტეგრალისტს“, რომ წარმოკავშირის და ცეკავშირის გაერთიანება სასარგებლო იქნება? განა შეუძლია რომელიმე მათგანს, რომ ეს სითამამე და პასუხისმგებლობა აიღოს თავის თავზე? მე მგონია, არა. და თუ ვინმე ამას მოითხოვს,—ვეტყოდი, რომ მას დღევანდელი ჩვენი სოფლის მეურნეობის მდგომარეობა სრულიად არ გაეგება.

ნუ თუ ჩვენს მიზანს მხოლოდ აპარატის მშენებლობა უნდა შეადგენდეს. არა, **ჩვენი მიზანია კოოპერაციის გაჯანსაღება და გლეხის მდგომარეობის გაუმჯობესება**, შემეკითხებიან, როგორ წარმოგიდგენიათ ისეთი მშენებლობა, თუ აპარატი არ იქნა სათანადოთ მოწყობილი. მე ვიტყოდი, რომ ჩვენ ჰაერში კი არ დავფრინავთ, ჩვენ პრაქტიკოსები ვართ და რეალური თვალსაზრისით უდგებით საკითხის განხილვას. ჩვენ ვიცით, რომ იმ ცენტრის აპარატი, რომელსაც ფიქრობენ ჩააბარონ საქართველოს სოფლის მეურნეობის ბედი, არ არის იმდენად ძლიერი, რომ შეეძლოს ამ საქმის გაძღოლა. ამას მოწმობს თვით „ინტეგრალისტის“ სიტყვები მოყვანილი გაზეთ „კომუნისტი“-ს 50 №-ში. ცეკავშირის აპარატს „ბევრი ნაკლი აქვს, რომ ცეკავშირი სავსებით ვერ ართმევს თავს მასზე დაკისრებულ ამოცანებს“-ო. ეს ციტატა აშკარათ გვეუბნება ჩვენ, რომ ცეკავშირის აპარატი ვერ გამოდგება ისეთი ახალი დიდი ფუნქციების შესასრულებლათ, როგორიცაა საქართველოს სასოფლო-საწარმოო კოოპერაციის ადგენა. თუ იტყვიან, რომ ამისათვის შევკრებთ სათანადო თანამშრომლებსო, მაშინ საკითხი „ზედნადები ხარჯებისა“ ხომ თვითონ იშლება. ე. ი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის წარმოებას, სადაც არ უნდა იყოს ის, იქნება „ცეკავშირთან“, თუ „წარმოკავშირთან“, უნდა სათანადო შტატი სპეციალისტ თანამშრომელთა. მას სჭირდება აგრონომები-სპეციალისტები მეურნეობის სხვადასხვა დარგში. აგრეთვე საჭირო იქნება სათანადო რიცხვი ტეხნიკური თანამშრომლებისა და სხვა, ასე რომ ამ მხრივ ჩვენ ვერაფერ „ეკონომიას“ ვერ გავსწევთ. მხოლოდ ეხლა ჩვენ გვრჩება საკითხი მმართველ ორგანოსი, ე. ი. კოოპერაციის იდეურ ხელმძღვანელთა. ესსაკითხი არც ისე მეორეხარისხოვანია და ამაზედ ჩვენ მოგვიხდება ცოტათ შეჩერება. საბჭოთა მუშურ-გლეხურ ხელისუფლების არსებობის დროს მუშათა გავლენა უნდა იყოს ყველა ორგანიზაციებში და თუ ეს არ იქნა, ისე მუშათა საქმე არ გაკეთდება. ვინაიდან მუშებზე და გლეხებზე გული მხოლოდ მუშებს და გლეხებს შესტკივა და მათ დამცველ კომუნისტურ პარტიას, მე აქ მოვიყვან ამხ. ერქომაიშვილის სიტყვებს: „**სამომხმარებლო ფუნქციების შესრულების დარგში ჩვენი კოოპერაცია იმყოფება მომხმარებელთა, უმთავრესად მუშათა გავლენის ქვეშ. მწარმოებელთა ორგანიზაცია „წარმოკავშირის“ სახით თავს აღწევს მუშათა კლასის გავლენას, რაიც საბჭოთა ხელისუფლების ინტერესებს არ შეადგენს**“ (ხაზგასმულია ჩემ მიერ. ვ. ც.). ამ საკითხში სავსებით ვეთანხმები ამხ. ერქომაიშვილს. ის ორგანიზაცია, რომელიც დღევანდელ მომენტში მუშათა კლასის გავლენას თავს აღწევს, ის მუშების და გლეხების დამცველი ვერასოდეს ვერ იქნება. და ჩვენ ვიცით—მუშათა და გლეხთა სიმტკიცე ისე ძლიერია, რომ თავიანთ მტრებს და ორგულ მუშაკებს ის არ ითმენს. და თუ ასეთები სადმე შეამჩნია, მათ არც „წარმოკავშირში“ და არც „ცეკავშირში“ არ დასტოვებს. მე კი ვიცი, რომ არც ერთი აღნიშნული ორგანიზაციათაგანი არ არის თავისუფალი ასეთი ნაკლისაგან. მშრომელი მომხმარებლები თანდათან განთავისუფლდებიან ასეთი „გულშემატკივარ“ დამცველებისაგან. ასე რომ ეს საკითხი ინტეგრაციას არ ეხება, ვერც შეიძლება გამოვიყენოთ ჩვენ მის დასაცავ არგუმენტათ.

ეხლა გადავიდეთ სხვა კონკრეტიულ ფაქტებზე, რომლითაც ამხ. ერქომაიშვილი ამტკიცებს სასოფლო-სამეურნეო-საწარმოვო კოოპერაციის ცენტრის მოსპობას და მისი ცეკავშირის ქვეგანყოფილებად გადაქცევას. ამხ. ერქომაიშვილი სწერს, რომ ცეკავშირი არასოდეს არ ასრულებდა მარტო სამომხმარებლო ფუნქციებს. მაგრამ შევეკითხები მას, რამდენი ხანია, რომ ცეკავშირმა დააარსა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სათანადო აპარატი? მე კი ვიცი, რომ დაარსებულია სულ 6 თვეა. და სად იყო მანამდე ცეკავშირი, თუ ის ყოველთვის ინტეგრალურ მუშაობას აწარმოებდა. რატომ არ ჰქონდა სათანადო აპარატი? ეწეოდა ცეკავშირი აგრონომიული კულტურის გავრცელებას საქართველოს მეურნეობაში? საქმე სურვილში მარტო კი არ არის. აი, რას სწერდა ამხ. მალაქია ტოროშელიძე ერთი წლის წინად გაზ. „კომუნისტ“-ში. „ყოველ რაიონში, რომელიც ეკონომიურად საკმაოდ ძლიერია, რომ კოოპერატიული სავაჭრო დაწესებულების არსებობა გაამართლოს, არსდება ერთი კოოპერატივი—მთლიანი სამომხმარებლო საზოგადოება „ეპო“—Единое Потребительское О-во ქვევით: „**ეპო“-ს უმთავრესი ფუნქცია—ეს საქონლის მიწოდება თავის წევრებისათვის**“ (ხაზგასმულია ჩემ მიერ ვ. ც.). რას ნიშნავს, „ეპო“-ს ფუნქცია საქონლის მიწოდებაა მომხმარებელთათვისო. ცეკავშირი ხომ ამ „ეპოებიდან“ შესდგება, ამხ. ტოროშელიძის სიტყვით, და თუ ეს „ეპოები“ მხოლოდ საქონლის მიწოდებას ეწეოდენ მომხმარებელთათვის, სადაა აქ ინტეგრაცია. მაგრამ მაშინ ერთი წლის წინედ ეს საკითხი ცეკავშირში დასმული არ ყოფილა. ეს დაისვა მას შემდეგ, რაც წარმოკავშირმა ყური გამოიფხიზა და მუშაობა დაიწყო. მაშინ იყო, რომ ცეკავშირმა გადასწყვიტა სასოფლო-სამეურნეო განყოფილების დაარსება.

მეორე მოტივი, რომლითაც ამხ. ერქომაიშვილი სცდილობს ინტეგრაციის აუცილებლობის დამტკიცებას, არის წარმოკავშირიდან მეცხვარეთა ამხანაგობა „მწყემსი“-ს გამოსვლა, რომელიც მოხდა სამი-ოთხი თვის წინად. ჩვენ იმის განხილვას აქ არ შეუდგებით, თუ როგორ მოხდა ეს. ამხ ერქომაიშვილმა ეს კარგად იცის. მაგრამ მისი მტკიცება, რომ წარმოკავშირმა სამუდამოდ „**დაჰკარგა ძლიერი ორგანიზაცია „მწყემსი“**-ო, ეს სიმართლეს არ შეესაბამება. მე აქვე მოვიყვან რეზოლიუციას ტფილისის რაიონის მეცხვარეთა კრებისას, რომელიც შესდგა ა. წ. 28 იანვარს. იქ ნათქვამია: „**მიიღო რა მხედველობაში „მწყემსის“ წევრთა მაჩხაანის კრების დადგენილება ამხ. „მწყემსის“ „წარმოკავშირიდან“ გამოსვლის შესახებ, კრება აღიარებს საჭიროდ, რათა დაცული იქნას კოოპერატიული მშენებლობის მთლიანობა; მომავალ მორიგ ყრილობაზედ ეს საკითხი ხელმეორედ განხილული იქნას და მიღებული ყოველივე ზომა, რომ ამხ. „მწყემსი“ დარჩეს „წარმოკავშირში“ მის წევრად**“. (ხაზგასმულია ჩემ მიერ ვ. ც.). ვეკითხები ამხ. ერქომაიშვილს, სად არის აქ დაკარგვა „მწყემსისა“ „წარმოკავშირის“ მიერ. პირიქით, დადგენილება აშკარათ მიუთითებს, რომ საჭიროა კოოპერატიული მშენებლობის მთლიანობა, წინააღმდეგ ამხ. ერქომაიშვილის აზრისა, რომელიც ლაპარაკობს, რომ „უკეთესია მოაწყოთ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ადგილობრივ წარმოების ისეთ დარგებისათვის, როგორიც არის მეღვინეობა, მეთამბაქოობა, მეცხვარეობა და მებამბეობა. **ყველა ამ დარგისათვის შექმნილი უნდა იქნას დამოუკიდებელი კოოპერატივი... ასეთ კოოპერატივებს უნდა მიეცეს რუსეთის ბაზარზე თავისუფლად გასვლის უფლება**“ (ხაზგასმულია ჩემ მიერ ვ. ც.). მე ვფიქრობ, რომ ამ აზრს ყველა ინტეგრალისტები ალბათ არ გაიზიარებენ. რას ვხედავთ ჩვენ ზევით ნათქვამში. ამხ. ერქომაიშვილი მომხრეა კოოპერაციის გაერთიანების და ერთი ცენტრის შექმნის; მეორე მხრივ კი ვარდება წინააღმდეგობაში; ამბობს, რომ მსხვილ კოოპერატიულმა მეურნეობებმა ცალკე უნდა იარსებონო. მე ვეკითხები ამხ ერქომაიშვილს, დაცული იქნება თუ არა გეგმიანი მუშაობა როგორც ნაწარმოების დამზადებაში, ისე გასაღებაში და, შემდეგ, ყველა ცალკე ორგანიზაციებს ეყოლებათ თუ არა შტატი მოსამსახურეთა და აპარატი (უამისოთ არ შეიძლება), და ეს ხომ ზედნადებ ხარჯებათ დააწვება საქმეს?

რაც შეეხება სიმინდის დამზადებას, ეს დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს, ვინაიდან გლეხებს იმდენი სიმინდი აქვთ, რომ თავისუფლად შეისყიდის ყოველი ორგანიზაცია, თუ მას უფლება ექნება საზღვარ-გარეთ გატანის ისე, როგორც ეს მთავრობამ ცეკავშირს მიანიჭა. აბრეშუმის პარკის დამზადება მით უმეტეს ადვილი საქმეა, რადგან მონოპოლია ცეკავშირის ხელშია. მაგრამ აქაც შეი-

საქართველოს კოოპერაცია

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია საქართველოში ახასიათებს საკმარის კოოპერატიულ წევრთა სიმცირე. თუმცა საქართველოში მოსახლეობა უმთავრესად სასოფლო მეურნეობას მისდევს, მაგრამ ამ სახის კოოპერაციამ მაინც ვერ შესძლო გლეხთა ფართო წრეების ყურადღების მიქცევა. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა მოწყობას რაღაც შემთხვევითი ხასიათი აქვს. 1923 წლის იანვრის 1-სთვის ჩვენ გვაქვს 619 სამომხმარებლო დუქნები, რომელიც აერთიანებს 300,000-მდე წევრს, იმ დროს, როდესაც 1918 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა რიცხვი სულ შვიდია და ჰყავს 3,450 წევრი. უკანასკნელი ცნობებით კი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრი „წარმოკავშირი“ 1923 წელს აერთიანებს 14 კოოპერატივს 6,825 წევრით.

ეს ციფრები გვეუბნება, რომ მიუხედავათ იმ ინტერესისა, რომელიც სოფლის მოსახლეობამ გამოიჩინა კოოპერატიულ იდეისადმი საერთოდ, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ დღემდე ვერ მოახერხა ნდობის დამსახურება იმათ შორის, რომელნიც ყველაზე უფრო მეტად დაინტერესებულნი არიან თავიანთი შრომის ნაწარმოებთა გამსაღებელ საგანგებო კოოპერატივების მოწყობაში და სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო მასალის და საქონლის შეძენაში.

კოოპერატივთა დაარსების იდეა, განსაკუთრებით პროდუქტთა შეგროვებისა და გასაღების მიზნით, ჩვენში ხომ კარგა ხანია დაიბადა. ჯერ კიდევ 1896 წელს დაარსდა ამხანაგობა „კახეთი“ მევენახეობის პროდუქტთა შესაგროვებლად და გასასაღებლად. [illegible] სოფ. კუხში დაარსებულ იქნა ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა ამხანაგობა 2400 წევრით, რომელსაც [illegible] ჰქონდათ. ეს ამხანაგობა [illegible] მე-90 წლების [illegible] იწყებს თავის ოპერაციების განვითარებას, რაიც 1904 წლამდე გრძელდება.

აქედან ცხადია, რომ სასოფლო მეურნეობის მწარმოებელთათვის ახალი არ არის იდეა ბაზარზე გაერთიანებულად გამოსვლისა სასოფლო მეურნეობისათვის საჭირო მასალის ხელსაყრელ პირობებში შესაძენად და თავის ნაწარმოებთა გასასაღებლად.

ამის მიუხედავად სასურველ შედეგებს დღემდე მაინც ვერა ვხედავთ.

ამის მიზეზი უპირველესად იმაში უნდა ვეძიოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები საქართველოში არსდებოდა სოფლის მოსახლეობის უფრო შეძლებულ წრეების თაოსნობით, მეორე კი ის, რომ ეს კოოპერატივები არსდებოდა განსავითარებლად სამომხმარებლო კოოპერატივებისა და საკავშირო ერთეულების მთელის ქსელისა, რომელნიც აკმაყოფილებდნენ სოფლის მეურნეობის საჭიროებებს ადგილობრივ ნაწარმოებთა შეგროვების და გასაღების საქმეში.

პირველს შემთხვევაში ადგილი აქვს სოციალურს მომენტს, მეორეში—საორგანიზაციო საკითხს.

კოოპერატიული ორგანიზაცია მხოლოდ მაშინ იპყრობს სოფლის მწარმოებელთა უმრავლესობის ყურადღებას, როდესაც ამ ორგანიზაციის სათავეში მდგომნი ანხორციელებენ ყველა იმ პირთა გაერთიანების პრინციპს, რომელთაც სურთ გამოიყენონ კოოპერაცია კაპიტალისტურ წესების წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებად ქალაქსა და სოფლის შორის საქონლის გაცვლის საქმეში. სამწუხაროდ ამ მხრით ჩვენში საქმე კარგად არ არის დაყენებული. ის კოოპერატივები, რომლის მიზანიც არის მეცხვარეობისა, მევენახეობისა, მეხილეობისა და სასოფლო მეურნეობის სხვა დარგების პროდუქტთა გასაღება, შექმნილია—მოსახლეობის იმ წრეების მიერ, რომელნიც დაინტერესებულნი იყვნენ თავადურ-ბურჟუაზიულ წესწყობილების დაცვით და მისთვის ხელის შეწყობით. ამ კოოპერატივთა სათავეში მომეტებულ ნაწილად ისეთი ხალხი იყო ჩამდგარი, რომლის ეკონომიური ინტერესებიც არ ეთანხმებოდა წვრილ მწარმოებელთა უმრავლესობის ინტერესებს.

აქედან გამომდინარეობდა უნდობლობა იმათ მიმართ, ვის თაოსნობითაც არსდებოდა კოოპერატივები. გლეხები თანდათან რწმუნდებოდნენ, რომ კოოპერატივებს ჰქმნიდნენ მოსახლეობის იმ განსაზღვრულ წრეების ინტერესთა დასაცავად, რომელთაც არა სურდათ საზოგადოების წევრად მოსახლეობის ღარიბეს წრეების მიღება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა კარი მომეტებულ ნაწილად დაკეტილი იყო წვრილ მწარმოებელთათვის. მაგალითად, დიდი ხანი არ არის, მას შემდეგ, რაც „კახეთის“ საზოგადოება ისეთ კოოპერატიულ ორგანიზაციად გადაიქცა, სადაც წევრად შესვლა ღარიბებსაც შეუძლიათ. კოოპერატივების ხელმძღვანელნი ერიდებოდნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციაში ღარიბეს წრეების შეყვანას იმ აზრით, რომ გადაერჩინათ კოოპერაციის ეს სახე სოციალისტთა გავლენისაგან. ამ მოძრაობის სათავეში იმ თავითვე ისეთი პირნი იდგნენ, რომელთათვისაც უცხო იყო სოციალიზმის იდეა. კოოპერატივთა წევრების კრებებს, აგრეთვე მსხვილ სამეურნეო ერთეულთა წარმომადგენლების ყრილობებს ისინი იყენებდნენ თავის ანტი-სოციალისტურ შეხედულებათა დემონსტრაციისათვის.

ამ პირობებში ძნელი იყო გლეხობის ფართო წრეების ყურადღების მიზიდვა და მათი დაინტერესება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღმშენებლობით. ეს წრეები ერთიანდებოდნენ სამომხმარებლო კოოპერატივებში, რომლის წესდებაც მათ სრულს უფლებას აძლევდა, მონაწილეობა მიეღოთ საზოგადოების საქმეებში და გამოეჩინათ საკუთარი თაოსნობა კოოპერაციის აღმშენებლობაში.

ვინაიდან სოფლის მეურნენი ერთის მხრით ქალაქის მრეწველობის საქონლის მომხმარებლებს წარმოადგენდნენ, ხოლო მეორე მხრით სასოფლო მეურნეობის პროდუქტთა მწარმოებლებს, ამიტომ სამომხმარებლო დუქნების წევრნი სამომხმარებლო კოოპერაციას იყენებდნენ სასოფლო-სამეურნეო საჭიროებათა დასაკმაყოფილებლადაც. ეს შესაძლებელი გახდა განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც დაარსდა საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირი („ცეკავშირი“), რომელიც, ეყრდნობოდა რა დიდძალს კოოპერატივებს, ერთის მხრით—ადგილებში თავის წევრთა პროდუქტებს აგროვებდა გლეხთათვის უფრო ხელსაყრელ პირობებში გასასაღებლად და მეორე მხრით—სოფელს აწვდიდა მასალებს, რომელიც საჭიროა სასოფლო მეურნეობის გასაუმჯობესებლად. ამ გარემოებამ გლეხს საბოლოოდ დაუკარგა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში წევრად ჩაწერის ხალისი, მით უფრო, რომ არც ამ კოოპერატივთა ხელმძღვანელნი იღებდნენ მათ ხალისით.

აქედან ცხადია, თუ რისთვის ვერ მიიღო ჩვენში ფართო ხასიათი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ.

მაგალითად „კახეთი“ დაარსებულია 1896 წელს. უკანასკნელ დრომდე სათავეში მდგომნი ყოველ ღონისძიებას ღებულობდნენ, რომ არ გაედიდებინათ წევრთა რიცხვი, რათა მით კოოპერატივის მონაწილეთა კუთვნილი მოგება არ შემცირებულიყო.

მხოლოდ 1919 წელს იყო მიღებული წესდება, რომლითაც წევრად შესვლა შეუძლია ყველას, ვინც მევენახეობას მისდევს და ვენახი აქვს. წესდების მე-17 მუხლის თანახმად ახალ წევრებს იღებს საბჭო ორი ძველი წევრის რეკომენდაციით. არსად არ არის ნათქვამი, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც საბჭო ამა თუ იმ მოსაზრების გამო უარს იტყვის ვისმეს წევრად მიღებაზე, საკითხი გადატანილი უნდა იქნეს საზოგადო კრების განსახილველად. ამ ნიადაგზე კი ბევრი გაუგებრობანი იყო და საკითხი გადაუწყვეტი რჩებოდა.

ასეთსავე მოვლენას ვამჩნევთ სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებშიც. იმის ნაცვლად, რომ გლეხებს დაუმტკიცონ კოლექტიურ გზით პროდუქტების შეგროვების და გაყიდვის უპირატესობა, თვით მისდევენ უბრალო საბაზრო ვაჭრობას მოგების გასადიდებლად. ასეთი წესი კოოპერატიულ მუშაობისა წევრთა შორის ჩარჩულ სულს ბადებს, რაიც ეწინააღმდეგება ძირიან-ფესვიანად კოოპერაციის მთავარ პრინციპებს.

1918 წელს „წარმოკავშირში“ წევრად ეწერება საზოგადოება „ხორბალი“. ეს საზოგადოება აერთიანებს 16 წევრს, რომელნიც სრულიადაც არ არიან დაინტერესებულნი საერთოდ კოოპერაციის განვითარებით. მდაბიურად რომ ვთქვათ, ეს იყო ჯგუფი კერძო მწარმოებლებისა, რომელნიც მარცვლეულის შესყიდვას აწარმოებდნენ გორის მაზრაში. ეს ხდება კურთხეულ ძველ დროში. როდესაც ეს ჯგუფი ხედავს, რომ გლეხები თავის პურს ასაღებენ იმავე რაიონის კოოპერატიულ კავშირის საშუალებით, „ხორბალი“ თავის თავს კოოპერატივათ აცხადებს, ასრულებს ყველა ფორმალურ მხარეს და შედის წარმოკავშირში, რომელიც სიხარულით იღებს ასეთ წევრს იმ მიზნით, რომ მეტი გარეგნული ელფერი მიეცეს სასოფლო სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრს.

ცხადია და ადვილი წარმოსადგენი, თუ ვის ინტერესს იცავენ წარმოკავშირის წარმომადგენლები, იმ წარმოკავშირის, რომელშიაც ამგვარი ორგანიზაციები შედიოდენ და შედიან.

საქართველოში კოოპერატიული მოძრაობა ვითარდებოდა მხოლოდ და მხოლოდ ცეკავშირის ხელმძღვანელობით. ცეკავშირის ისტორია არის იგივე ისტორია საქართველოს კოოპერაციისა. ვისაც ამ მოძრაობაში ცოტათ თუ ბევრათ მონაწილეობა მიუღია, მისთვის აშკარა არის, რომ ცეკავშირის გარშემო იმ თავიდანვე იკრიბებოდა საქართველოს საუკეთესო კოოპერატიული და სოციალისტური ძალები, რომელთაც არაფერი საერთო არ ჰქონებია იმ კოოპერატივებთან, რომლებიც „ქართლის“ ან „ხორბალის“ ტიპის კოოპერატივებს ხელმძღვანელობდენ. დღეს მდგომარეობა იცვლება და სამწუხაროთ ჩვენდა წარმოკავშირს ექცევა ყურადღება ვითომცდა იგიც წარმოადგენდეს ისეთ ორგანიზაციას, რომელსაც შეეძლოს ერთი რომელიმე კოოპერატიული შტოის ხელმძღვანელობა. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი არის ის, რომ ჩვენ ჯერ ვერ შეგვიგნია და ვერ გადაგვიდვია საკმაო დრო საქართველოს კოოპერაციის ისტორიის გასაცნობათ. ის ორი-სამი ეკონომიური ჯგუფები, რომლებიც დღეს წარმოკავშირში წევრებათ შედიან, წარმოადგენენ გარეგნულათ ცოტა შეწითლებულ ეკონომიურ ორგანიზაციებს, რომლებშიაც მოთავსებული არიან სოციალისტურ მოძრაობისაგან მეტად შორს მდგომი პირები. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ ორგანიზაციებში თითო-ოროლა კომუნისტის გაგზავნა, თუგინდ პასუხისმგებლებისაც მათთვის ხელმძღვანელობის გასაწევად, არ ნიშნავს იქ დაბინავებულ არა-სოციალისტურ ელემენტების გარდაქმნას. როგორც ძველი ეკონომიური იდეოლოგიის მატარებელნი, ეს ელემენტები ყოველ ღონეს ხმარობენ, რათა თავისი დაღი დასვან მთელ კოოპერატიულ მოძრაობას ათასგვარი მახინაციების საშუალებით. ამიტომ მე, როგორც კოოპერატიულ დარგში ძველ მუშაკს, ვერ წარმომიდგენია ის გარემოება, რომ მათ გამოძახილს აყოლიან არა მხოლოდ ისეთი კომუნისტები, როგორიც არის ვლადიმერ ცაგარელი, არამედ დიდათ პატივცემული და ცნობილი ზოგიერთი პასუხისმგებელი კომუნისტებიც.

ცნობილია, რომ კომუნისტური პარტია სასტიკად და მედგრად იცავს მუშათა კლასის ინტერესებს. რაღა საერთო უნდა ჰქონდეს ასეთ პარტიის ზოგიერთ წევრებს იმ წრეებთან, რომლებიც გვეკამათებიან ჩვენ—ძველ კოოპერატიულ მუშაკთ წარმოკავშირის საშუალებით, იმ წარმოკავშირის, რომელსაც არ სცნობენ თავის ხელმძღვანელ ორგანიზაციათ არა თუ სოფლის არსებული კოოპერატივები, არამედ ისეთი ეკონომიური დარგის ორგანიზაციებიც, როგორიც არის „მწყემსი“, რომელიც უარს ამბობს წარმოკავშირში წევრად ჩაწერაზე.

საქართველოს კოოპერატიულ მოძრაობას უმთავრესად ის ახასიათებს, რომ ცალკე კოოპერატივთა შეკავშირებული წევრნი გამსჭვალულნი იყვნენ კერძო კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლის სურვილით და, მაშასადამე, სცდილობდნენ შეეცვალათ არსებული ეკონომიური უფლება-წყობილება. ამის გამო ამ მოძრაობას თითქმის თავიდანვე სათავეში უდგენენ სოციალ-დემოკრატები და სოციალისტ-ფედერალისტები. კოოპერაცია ჩვენში მუდამ იყო და არის ორგანიზაცია, რომელიც უმთავრესად შესდგება მოსახლეობის მშრომელ ელემენტებისაგან. მას შემდეგ, რაც დარწმუნდნენ, რომ მოძრაობის სათავეში მდგომმა პარტიებმა მშრომელთა ინტერესებს უღალატეს და ბრძოლა დაიწყეს საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ, რომელიც ყოველგვარ დახმარებას აძლევდა და აძლევს კოოპერაციას, შეთანხმებულმა პარტიებმა ნდობა დაკარგეს და კოოპერატიულ ასპარეზზე გამოვიდა მუშათა კლასი, კომუნისტური პარტია, რომელმაც ხელში აიღო მთლიან აღმშენებლობის საქმე.

ამ პარტიის წინაშე სდგას დიდათ მნიშვნელოვანი საკითხი საერთოდ მთელი კოოპერაციის გაჯანსაღების შესახებ. ამასთანავე მას არ შეუძლია გვერდი აუხვიოს ცალკე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს, რომელთა მნიშვნელობაც მეტად დიდია სასოფლო-მეურნეობის აღორძინების საქმეში.

საერთო საკითხების გარდა კოოპერატიულმა ცხოვრებამ წამოაყენა ერთი კონკრეტიული საკითხი, რომელიც დავას იწვევს კოოპერატორთა შორის და რომელიც დღემდე გადაუწყვეტელი არ არის. ეს არის საკითხი სხვადასხვა სახის კოოპერაციის ურთიერთობათა შესახებ. მისი თეორიულად გადაწყვეტა მეტად ადვილია, ვიდრე პრაქტიკულად გადაჭრა. სამომხმარებლო კოოპერაცია აერთიანებს მხოლოდ მომხმარებელს და მუშაობს სამომხმარებლო საჭიროებათა სფეროში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია კი მოქმედებს წარმოების სფეროში და თავის მოღვაწეობით გავლენას ახდენს წარმოების მოწყობის ფორმაზე. ადგილობრივ პირობათა მიხედვით ეს იმას ნიშნავს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ თავის წევრებს უნდა მიაწოდოს მხოლოდ მოსახმარებლად საჭირო საგნები, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა კი უნდა შეაგროვონ და გაასაღონ ადგილობრივი წარმოების პროდუქტები, ხოლო საჭიროების დროს კიდეც უნდა გადაამუშაონ ის და სხვა...

შეგვიძლია ჩვენ ამ გზით სიარული?

პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება—არა, არ შეგვიძლია.

არ შეგვიძლია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ჩვენმა სინამდვილემ კოოპერაციის აღმშენებლობის განსაკუთრებული ფორმა შეიმუშავა. საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციამ მთელი თავისი საკავშირო ერთეულობით თავის მოქმედების სფეროში შეათავსა სხვა სახის კოოპერაციის ფუნქციებიც. ეს მოხდა იმის გამო, რომ ამა თუ იმ სამომხმარებლო კოოპერატივის წევრნი მარტო მომხმარებელნი კი არ არიან, არამედ მწარმოებელნიც. და ამიტომ ახალ სახის კოოპერაციის შექმნის ნაცვლად უკეთესი არ არის უკვე არსებულ აპარატის გამოყენება სასოფლო-სამეურნეო მიზნებისთვისაც?

მეაბრეშუმეთა ამხანაგობა ჯერ კიდევ იმ დროს აწარმოებდა ბრძო-

ძლება ითქვას, რომ წმინდა კოოპერატიული არაფერი გაკეთებულა. მოწყობილია სადმე მეაბრეშუმეთა არტელი? შემოიღო ცეკავშირმა წამლობა ან საჭირო კულტურა ამ დარგში? ფაქტია, რომ არა. გლეხები ცალკე ამზადებენ აბრეშუმის პარკს ისე, როგორც წინეთ და მხოლოდ ცეკავშირი კი აგროვებს. ამითაც არ შეიძლება დამტკიცება ინტეგრაციის აუცილებლობის, რადგან, როგორც წინა წერილში აღვნიშნე, რუსეთის სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრი, „ცენტროსოიუზი" მილიონ ფუთობით ამზადებს ნედლეულობას, რაც სრულიად ხელს არ უშლის „სელსკოსოიუზის" არსებობას. „ინტეგრალისტებს" შევეკითხებოდი ამხ. ერქომაიშვილის სიტყვებით, „რა საჭიროა ეს პარალელური მუშაობა, ვისთვის მოაქვს მას სარგებლობა". აშკარაა, რომ არავისათვის. მომავალში, რომ პარალელური მუშაობა არ განმეორდეს და კოოპერაციის საქმეში წესიერი მუშაობა დაწესდეს, ამ მიზნით მე მიუთითებ ამხ. ინტეგრალისტებს შემდეგ ზომებზედ:

1. ჯერ, როდესაც კოოპერატიული მუშაობა ჩვენში მხოლოდ ჩანასახს წარმოდგენს, და ეხლა ეყრება საფუძველი მკვიდრ ორგანიზაციულ მშენებლობას, ყოვლად შეუძლებელია ამ ორი კიდევ დაულაგებელ ორგანიზაციის გაერთიანება ერთი ცენტრის ხელმძღვანელობის ქვეშ.

2. ცეკავშირმა უნდა მიატოვოს სასოფლო-სამეურნეო ორგანიზაციების დაარსება და გადავიდეს თავის პირდაპირ საქმეზე, რაც გამოიხატება ქსელის გადათვალიერებაში, დაბალ კოოპერატიულ უჯრედების დუქნების დაარსებაში, ზედმეტ საფეხურების მოსპობაში და საჭირო იაფ ფასიან საქონლის მიწოდებაში მომხმარებელთათვის.

3. მტკიცედ განსაზღვრული უნდა იქნეს ფუნქციები როგორც ერთი, ისე მეორე ორგანიზაციის. მოსპობილი უნდა იქნეს მომავალში როგორც ერთის, ისე მეორე ორგანიზაციის მიერ ერთმანეთის საქმეში ჩარევა, ან პარალელური მუშაობა წარმოებაში.

4. გაძლიერებული უნდა იქნეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აპარატი მოძრავი და კოოპერაციაში მუშათა გავლენის დამცველ მუშაკებით და ყოველ მხრივ ხელი უნდა შეეწყოს მას მეურნეობის ასაყვავებლად.

5. უნდა მიეცეს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრს გრძელვადიანი სესხი მეურნეობის გასაფართოებლად და მასში კულტურის შემოსაღებლად.

არა ცენტრებზედ დავა და დაწესებულების გაფართოვება, არამედ საჭიროა ისეთი ღონისძიებების გამონახვა, რომელიც გააჯანსაღებს ჩვენს კოოპერაციას დ̃ დააყენებს მას მკვიდრ ნიადაგზე.

ვ. ლ. ცაგარელი.

რა სახით შეგვიძლია აღვადგინოთ საკრედიტო კოოპერაცია საქართველოში?

ჩვენი სასოფლო მეურნეობის ასაღორძინებლად სხვა ღონისძიებებთან ერთად აუცილებლად საჭიროა სოფლად კრედიტის მოწყობა და მიწოდება. იმ დრომდე, ვიდრე სოფლის მეურნეს არ ექნება კრედიტით სარგებლობის საშუალება, სასოფლო მეურნეობას არ ექნება შესაძლებლობა გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღების ხმარებისა და არც შესაფერისი პირობები ნაწარმოების გასაღებისა. თანხების მოთხოვნილების გამო ჩვენს სოფლებში უკვე არის ნიშნები იმ არასასურველ მოვლენისა, რომ კერძო კაპიტალი ჩალის ფასად იძენს სოფლის ნაწარმოებს, ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ,—სოფლის მეურნე ვარდება კერძო მოვახშის ხელში. ამ გარემოებას ეხლავე უნდა მიექცეს დიდი ყურადღება და კრედიტის მოწყობით ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეთ, თორემ შემდეგში ძნელი იქნება სოფლიდან კერძო მევახშის გამოდევნა. კრედიტის საშუალებით შესაძლებელი გახდება სოფლად გაფანტული თავისუფალი თანხების დაგროვება, ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ, ამავე თანხების მიწოდება სოფლის მეურნეთათვის საჭიროების დროს. როგორ უნდა მოეწყოს კრედიტის საქმე სოფლად?

ერთად ერთი აპარატი, რომელიც აწყობს კრედიტის საქმეს, არის ბანკი. ბანკი ისეთი ნდობით აღჭურვილი დაწესებულებაა, რომელიც იზიდავს შესანახად თავისუფალ თანხებს და სესხის სახით ათავსებს ამავე თანხებს მეურნეობაში. ბანკის ოპერაციების შემწეობით ძალიან ადვილდება ფულის ტრიალის საქმე და ვითარდება ხალხის მეურნეობა. ამიტომ იქ, სადაც ვითარდება სავაჭრო-სამრეწველო ალებ-მიცემობა, უეჭველად უნდა იყვეს მოწყობილი ბანკის აპარატი. და აი, ამჟამად ჩვენში სავაჭრო-სამრეწველო ალებ-მიცემობის განვითარებასთან ერთად თანდათანობით ეწყობა სხვადასხვაგვარი ბანკები. მაგრამ ყველა ამ ბანკების დანიშნულება უმთავრესად გამოიხატება იმაში, რომ დაეხმაროს სავაჭრო-სამრეწველო მეურნეობას. ამავე დროს სოფელს-კი სრულიად არ მოეპოვება ასეთი რამ მზგავსი აპარატი და ამიტომაც სოფლის მეურნე საშინელ გაჭირვებას განიცდის. მაშ, სოფლის მეურნეობის ასაღორძინებლადაც საჭიროა კრედიტის მოსაწყობი აპარატი ანუ ბანკი. მაგრამ განა შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება, რომ სოფლად მოვაწყოთ განსაკუთრებული ბანკის აპარატი სოფლის პატარა ფარგლებში, ან ვასარგებლოთ კრედიტით სოფლის მეურნეობა რომელიმე დიდი ბანკის განყოფილებების შემწეობით? რომ სოფელს კრედიტით სარგებლობის საშუალება მივცეთ, ამისათვის საჭიროა საკრედიტო აპარატის დაახლოვება სოფლის მეურნეობასთან. ამიტომ ვერც-ერთი დიდი ბანკის განყოფილება ვერ შესძლებს სოფლისთვის ფართო კრედიტის მოწყობას, ვინაიდან ყველა სოფელში არც ერთს საბანკო ორგანიზაციას არ შეუძლიან მოაწყოს განყოფილებანი და რომ კიდევაც შესძლოს, ასეთ განყოფილებებს არ ექნებათ ფართო თვითმოქმედების უნარი დ̃, მაშასადამე, ვერც ხალხს დაუახლოვდებიან. კრედიტის განსავითარებლად საჭიროა, რომ ხალხმა თვით მიიღოს აქტიური მონაწილეობა საკრედიტო აპარატის მუშაობაში და ეს აპარატი ისე გამოიყენოს, რომ არამც თუ აწესრიგებდეს კრედიტის საქმეს, არამედ ხელსაც უწყობდეს კოლექტიური მეურნეობის შექმნას. ამიტომ სოფლის საკრედიტო აპარატი უნდა მოეწყოს ისე, რომ, ერთის მხრივ, გამოყენებული იყვეს საბანკო აპარატის წესები და მეორე მხრივ, ფართე ასპარეზი ქონდეს დათმობილი ხალხის თვითმოქმედებას. ამგვარად საქმის მოწყობა შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ უკვე არსებულ სოფლის კოოპერატივების აპარატით.

ამ ჟამად საქართველოს ყველა კუთხეში არსებობს სოფლის კოოპერატივი, რომლის მუშაობა დამყარებულია ხალხის თვითმოქმედებაზე და რომელიც ერთის მხრივ აწვდის სოფლის მეურნეთ მათთვის საჭირო სამომხმარებლო და საწარმოვო საგნებს და მეორე მხრივ—უსაღებს მათ სოფლის ნაწარმოებს. სოფლის ნაწარმოების გასაღება და სოფლისათვის საჭირო საგნების მიწოდება არ არის საკმარისი სოფლის მეურნესათვის. ამ ორ მხრივ მუშაობას აკლია ერთი უსაჭიროესი იარაღი მეურნეობის განვითარებისათვის. ეს იარაღი არის კრედიტი. ამ ჟამად უკრედიტობის გამო სოფლის მეურნე ვერც იძენს მისთვის ყველა საჭირო სამომხმარებლო და საწარმოვო საგნებს და ვერც ხელსაყრელ ფასებში ასაღებს თავის ნაწარმოებს. როდესაც სოფლის მეურნეს არა აქვს საკმარისი თანხა და ამავე დროს მას სჭირია შესაძენად სხვადასხვა საგნები, იგი იძულებულია დააჩქაროს თავის ნაწარმოების გასაღება და აღარ უცდის მისთვის ხელსაყრელ ფასებს. სულ სხვა მდგომარეობა იქნება, როდესაც სოფლის მეურნეს ექნება საჭირო თანხა, მაშინ იგი ამ თანხით შეიძენს მისთვის საჭირო საგნებს და ნაწარმოებს კი დააწყობს იმ დრომდე, ვიდრე მისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნება ბაზარზე. ამგვარად კრედიტი მოხმარება - წარმოებასთან ერთად უსაჭიროესი ნაწილია სოფლის მეურნეობისა. სად იკმაყოფილებს საწარმოვო და სამომხმარებლო მოთხოვნილებებს სოფლის მეურნე?—არსებულ კოოპერატივში. კრედიტის მოთხოვნილებაც სოფლის მეურნეს შეუძლიან დაიკმაყოფილოს კოოპერატივში. ამგვარად, კოოპერატივი შეიქმნება ისეთ კოლექტიურ ოჯახად, სადაც სოფლის მეურნე შოულობს სამომხმარებლო-საწარმოვო საგნებსაც, კრედიტსაც და თვის ნაწარმოებსაც ასაღებს. ამგვარი მუშაობით კოოპერატივი ხდება პატარა უჯრედათ კოლექტიური მეურნეობისა.

ამასთანავე ერთად არსებულ კოოპერატივების შემწეობით კრედიტის მოწყობა საოცრად აადვილებს ფულის ტრიალს და ამცირებს ფულის ნიშნების საჭიროებას. რომ ეს ნათელი იყვეს, წარმოვიდგინოთ შემდეგი მუშაობა კოოპერატივისა. გლეხს აქვს დამზადებული სიმინდი და მასვე უნდა იყიდოს რაიმე სოფლის მეურნეობისათვის საჭირო მანქანა და ფართალი ტანზე ჩასაცმელად, მაგრამ ამ დროს, როდესაც მას ეს საგნები სჭირდება, სიმინდის გაყიდვა მისთვის ხელსაყრელი არ არის. თუ კრედიტის საქმე იქნება მოწყობილი კოოპერატივთან, რომელიც ზრუნავს საჭირო საგნების მიწოდებაზე და სოფლის ნაწარმოების გასაღებაზე, ეს მოთხოვნილება გლეხისა შეიძლება დაკმაყოფილებულ იქნეს შემდეგნაირად. გლეხი თხოულობს კოოპერატივში კრედიტს უზრუნველყოფით სიმინდისა იმდენს, რამდენიც საკმარისი იქნება მისთვის საჭირო ფართლის და მანქანის შესაძენად. კოოპერატივი უხსნის მას კრედიტს, იტოვებს უზრუნველსაყოფად კრედიტისა სიმინდს და აძლევს გლეხს მანქანასაც და ფართალსაც. მიღებულ სესხის ვადის დადგომამდე გლეხი ავალებს კოოპერატივს, რომ გაუყიდოს მას სიმინდი ხელსაყრელ ფასებში და მიღებულ თანხიდან დაფაროს ვალი და თუ ზედმეტი იქნება დაუბრუნოს მას. შეიძლება გლეხს სრულიადაც არა აქვს ჯერჯერობით დამზადებული ნაწარმოები. ამ შემთხვევაშიაც კოოპერატივი უხსნის მას კრედიტს უკვე პირადი ნდობით და აძლევს გლეხს საშუალებას დაამზადოს თავის ნაწარმოები. როგორც ვხედავთ, აქ სრულიად საჭირო არ არის თანხის ერთი ჯიბიდან მეორე ჯიბეში გადასვლა და სრულიად შეუმჩნევლად მცირდება ფულის ტრიალი.

ყველა ზემოდაღნიშნული ჩვენ გვიკარნახებს იმას, რომ სოფლად კრედიტის მოსაწყობად არ არის საჭირო არც დიდი ბანკების განყოფილებანი და არც საგანგებო საკრედიტო აპარატის მოწყობა და ამ საქმისთვის უნდა გამოყენებული იქნეს არსებული კოოპერატიული ორგანიზაციები. მაგრამ კრედიტის საქმე ორპირიანი იარაღია. კრედიტს შეუძლიან დიდი სარგებლობის მოტანაც და ზიანისაც, თუ არ იქნება მოწყობილი ისე, როგორც მოითხოვს თანხის ტრიალის კანონები. უსაჭიროესი მოთხოვნილება კრედიტის განსავითარებლად არის ნდობა. თუ იმ აპარატს, რომელიც აწარმოებს კრედიტის საქმეს, არ ექნება ნდობა ხალხის და საკრედიტო დაწესებულებათა ორგანოების თვალში, იგი ვერ მიიღებს საჭირო თანხებს არც შესანახად და არც სესხის სახით. ამ ნდობის მოპოვება კი შეიძლება მაშინ, როდესაც საკრედიტო აპარატი იქნება დამყარებული ამ აპარატში მონაწილეთა მტკიცე პასუხისმგებლობაზე და ამ აპარატის მიერ გაცემულ თანხების თავის დროზე დაბრუნებაზე, ე. ი. ამ აპარატისთვის საჭიროა პასუხისმგებლობა ოპერაციებზე მონაწილეთა მიერ და სესხის გაცემა საიმედო ხელში. აი, ეს უმთავრესი მოთხოვნილება ხორციელდება საბანკო აპარატში და თუ ჩვენ შევავსებთ არსებულ კოოპერატიულ აპარატს ამ თვისებით, მაშინ სრულიად ადვილად შეუძლიანთ მათ საბანკო ოპერაციების წარმოება. ეს კი შესაძლებელია შემდეგი წესით. არსებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან ეწყობა საკრედიტო განყოფილებანი, რომელნიც იმოქმედებენ განსაკუთრებული დებულებით. ამ დებულებაში იქნება გამოხატული უმთავრესი პრინციპები ბანკის აპარატისა, ერთის მხრივ, და, მეორე მხრივ,—უფლება-მოვალეობანი განყოფილებისა, როგორც კოოპერატივის ავტონომიური ნაწილის.

თუ კრედიტის საქმე მოითხოვს დიდ სიფრთხილეს, ნდობას და განსაკუთრებულ ოპერაციების წარმოებას, უკეთესი არ იქნება მოვაწყოთ ამისთვის საგანგებო კოოპერატიული წვრილი კრედიტის აპარატი, ანუ სოფლის პატარა ბანკები, რომლებიც მხოლოდ და მხოლოდ კრედიტის საქმეს ემსახურებიან?—გვეტყვიან ჩვენ. მართალია, რევოლიუციამდე სოფლად წვრილი კრედიტის საქმეს ემსახურებოდნენ წვრილი საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობანი, რომელნიც ღებულობდნენ სახელმწიფოსაგან საბრუნავ თანხებს სესხის სახით და აწარმოებდნენ მუშაობას საბანკო პრინციპებით.

1917 წლამდე ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში არსებობდა სულ 305 ასეთი საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა და, მაშასადამე, შეიძლება ბევრმა იფიქროს—აღვადგინოთ ეს ამხანაგობანი და ამით წვრილი კრედიტის საქმეც სოფლად მოწესრიგდება. მაგრამ ვნახოთ, თუ რამდენად მიზანშეწონილი იქნება საკითხის ასე დაყენება.

ძველი სახით წვრილი კრედიტის მოწყობას დღევანდელ პირობებში შემდეგი უარყოფითი მოვლენები ექნება.

1. განცალკევებული საკრედიტო ამხანაგობის არსებობა მოითხოვს მეტ ფულის ტრიალს, ვინაიდან სოფლის მეურნეობა ჯერ საკრედიტო ამხანაგობიდან ფული უნდა მიიღოს და შემდეგ შეიძინოს საჭირო საგნები ან კოოპერატივში ან გარეშე პირისაგან. ამგვარად ფული ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადააქვს და ამ პროცესისათვის საჭირო ხდება ზედმეტი ფულის ტრიალი.

2. საკრედიტო ამხანაგობის ცალკე არსებობა ხელს შეუწყობს ცალკე ინდივიდუალური მეურნეობის განვითარებას, ვინაიდან ამხანაგობა, გარდა კრედიტის საქმისა, გლეხის სხვა საჭიროებებს ვერ მიაქცევს ყურადღებას და მის მოქმედებას ძალაუნებურად ცალცალკე დარგად ყოფს და ამგვარი მოქმედებით გლეხი ვერ ხედავს ვერსად კოლექტიური მუშაობის ნიმუშს.

3. საკრედიტო საქმის მოწყობა მოითხოვს განსაკუთრებულ მომუშავეთა ძალებს და თუ ჩვენ განცალკევებული ამხანაგობები შევქმენით, დაგვჭირდება ახალი მომუშავე ძალები, რომელთა რიცხვი (თუ მივიღებთ საკრედიტო ამხანაგობათა მხოლოდ ძველ რიცხვსაც კი და საშუალოდ თვითეულ ამხანაგობაში 3 პასუხისმგებელ მომუშავე პირთ) შეედრება ტფილისის და ქუთაისის გუბერნიაში 915 კაცს. ამასთანავე ამავე ამხანაგობების კონტროლის და ხელმძღვანელობის მოსაწყობად საჭირო იქნება კიდევ ახალი ძალები.

4. განცალკევებული საკრედიტო ამხანაგობების არსებობა უეჭველად გამოიწვევს დიდ ქიშპობას და ფუნქციების არევ-დარევას უკვე არსებულ კოოპერატიულ ორგანიზაციებთან და სრულიად უმიზნოთ დაიკარგება მომუშავეთა ენერგია ამ ქიშპობის პროცესში.

ამიტომ ერთად-ერთი გზა სოფლად წვრილი კრედიტის მოსაწყობად არის ის, რომ მოეწყოს უკვე არსებული კოოპერატივებთან საკრედიტო განყოფილებანი, რომლებიც დამყარებულნი იქნებიან განსაკუთრებულ დებულებაზე ბანკის პრინციპებზე აშენებით. ეს განყოფილებანი შეავსებენ დღევანდელ სოფლის მეურნეობის გაჭირვებას კრედიტის აღმოჩენით და თავისუფალი თანხების შენახვით. საკრედიტო ფუნქციების მოწყობის შემდეგ ჩვენი კოოპერატივი იქნება სოფლის ისეთი კოლექტიური ოჯახი, სადაც წევრებს შეუძლიანთ იშოვონ საჭირო საგნებიც და კრედიტიც და გაასაღონ თავიანთი ნაწარმოები. ამისათვის არ დაგვჭირდება არც განსაკუთრებული მომუშავე ძალები და არც ზედმეტი ენერგიის დახარჯვა ქიშპობაში.

უნდა აღვნიშნო, რომ რუსეთში ასეთი მაგალითი უკვე გვაქვს. იქ უკვე მრავალ სოფლის კოოპერატივებთან მოწყობილია და ეწყობა საკრედიტო განყოფილებანი.

ცეკავშირი უკვე აწარმოებს პრაქტიკულ მუშაობას ამ მხრივადაც. ცენტრში მოწყობილი არის საკრედიტო განყოფილება, რომელიც აწარმოებს არა მარტო ორგანიზაციულ მუშაობას ადგილობრივ კოოპერატივებში საკრედიტო განყოფილებების მოსაწყობათ, არამედ საკრედიტო ოპერაციებსაც იმ კოოპერატივებთან, სადაც ასეთი განყოფილებები უკვე მოწყობილია.

ცხადია, ცენტრალური კოოპერატიული კავშირი—ცეკავშირის სახით პრაქტიკულათ შეუდგა სხვადასხვა ტიპის კოოპერაციის გაერთიანებას არსებულ მთლიან კოოპერატივში სოფლათ ის არა თუ აწვდის სამომხმარებლო საგნებს, უსაღებს გლეხს მის ნაწარმოებს, არამედ იმავე კოოპერატივის ფარგლებში აარსებს საკრედიტო განყოფილებებს.

ვინც ამტკიცებს, რომ ცეკავშირმა უნდა შეასრულოს მხოლოდ სამომხმარებლო ფუნქციები, ის შეგნებულათ თუ შეუგნებლად (ეს ჩვენთვის სულ ერთია) ანგრევს არსებულ აპარატებს, რომლებიც აკავშირებენ ასი ათასობით წევრებს მხოლოდ იმისათვის, რომ გაამაგრონ უუნარო ორგანიზაცია წარმოკავშირის სახით, რომელიც მხოლოდ თორმეტი ათასზე ცოტა მეტ წევრს აკავშირებს. თუმცა ეს ციფრიც არ შეიძლება ჩაითვალოს რეალურ ციფრათ, ვინაიდან საზოგადოება „მწყემსი" წარმოკავშირიდან გამოვიდა, ხოლო მრავალი ამხანაგობები კი მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

ზ. გ.

ლას მევახშე—ექსპორტერების წინააღმდეგ, რომელთაც ერთმანეთ შორის ხელშეკრულება დასდეს ფასის დაწევის შესახებ 10—11 მანეთამდე. ფასების დაცემა იწვევს აბრეშუმის პარკის დამზადების შემცირებას და, მაშასადამე, მეაბრეშუმეობის მდგომარეობის დაქვეითებას. ამის წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლიან მხოლოდ კოოპერატიულ საზოგადოებას, რომლის შემადგენლობაშიაც იქნებიან თვით მეაბრეშუმენი. მაგრამ საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირის გამგეობის მოღვაწეობიდან ვიცით, რომ ამ საქმეს მშვენივრად უძღვება სამომხმარებლო კოოპერაცია, რომელიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში განაგებს აბრეშუმის პარკის შეგროვების საქმეს და რომელმაც თითო ფუთის ნედლი პარკის ფასი 28 მანეთამდე (ოქროთი) აიყვანა. ახლა ვიკითხოთ, არის თუ არა საჭირო საგანგებო ამხანაგობის დაარსება აბრეშუმის პარკის შესაგროვებლად და გასასაღებლად?

რასაკვირველია, არა.

ყველაფერი დამოკიდებულია კოოპერაციის წევრთა ნდობაზე იმ ორგანოსადმი, რომელიც ამ საქმეს განაგებს და მწარმოებელთათვის ხელსაყრელად ანხორციელებს.

არის აგრეთვე სხვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებიც, რომელნიც აგროვებენ და ასაღებენ მეხილეობის პროდუქტებს. ქალაქ გორში ჯერ კიდევ 1914 წელს დაარსდა კოოპერატივი „ქართლი". საზოგადოების მიზანია ხელი შეუწყოს მწარმოებელთ მეხილეობის გაუმჯობესებაში, აგრეთვე მეხილეობის პროდუქტების შეგროვებასა და გასაღებაში.

ამავე ქალაქში ცეკავშირს მოწყობილი აქვს ქარხანა, რომელიც დღეში 3,000 კოლოფს სხვადასხვა კონსერვს ამზადებს. ქარხნის სათავეში მდგომ სპეციალისტის აზრით ამ ქარხანას შეუძლიან წელიწადში 100,000-მდე ფუთი მეხილეობის პროდუქტები გადაამუშაოს. აქედან ცხადია, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის „ქართლისა" და ცენტრალურ კოოპერატიული კავშირის შორის უნდა არსებობდეს განსაზღვრული კავშირი, ვინაიდან უამისოდ კოოპერატიულ მუშაობაში მთლიანობა ვერ იქნება დაცული.

ახლა ვიკითხოთ აქვს რაიმე აზრი თუ არა „ქართლის" წევრად შესვლას „წარმოკავშირში", რომელსაც არ შეუძლიან და არც ექნება არასოდეს ისეთი აპარატი, როგორიც აქვს სამომხმარებლო კოოპერაციას? უკეთესი არ არის იგი წევრად შევიდეს ცეკავშირში?

ყოფ. ქუთაისის გუბერნიაში საჭიროა სიმინდის დამზადება საზღვარგარეთ გასატანად და გასასაღებლად. ერთ-ერთს კრებაზე, სადაც ამ სიმინდის დამზადების საკითხი ირჩეოდა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მათ არავითარი აპარატი არა აქვთ ქუთაისის გუბერნიაში. და ეს იმიტომ კი არ არის ასე, რომ მწარმოებელთ არ სჭირდებათ სიმინდის გამსაღებელ კოოპერატივების დაარსება, არამედ იმიტომ, რომ ცეკავშირი ამ საქმესაც მშვენივრად უძღვება. ამის შემდეგ უნდა აეკრძალოს თუ არა სამომხმარებლო კოოპერაციას სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ფუნქციების ასრულება და საჭიროა თუ არა ამის გვერდით სხვა ორგანიზაციების შექმნაც?

ჩვენ ამით სრულიადაც არ გვინდა იმის თქმა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები არ უნდა აღმოცენდნენ და მათ ხელი არ შევუწყოთ. პირიქით—ასეთი კოოპერატივები დაარსებულ უნდა იქნან იმ რაიონებში, სადაც ამის საჭიროებაა, ვინაიდან მთელი ამ საკითხის სიმწვავის ცენტრი ამაში როდია. **ძირითადი საკითხი იმაში მდგომარეობს, რომ როგორც უკვე აღმოცენებულ, ისე მომავალ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა მოღვაწეობა შეკავშირებული იქნას უფრო მძლავრ, სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრის მოღვაწეობასთან, თუ ამის თანხმობას განაცხადებენ თვით წევრნი.** ასეთი მუშაობა სრულიადაც არ დაუკარგავს მნიშვნელობას ცალკე კოოპერატივთა მუშაობას, ხოლო სამაგიეროთ ზედმეტად გახდის თვით სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრის—„წარმოკავშირის" არსებობას.

და მართლაც, რაღა მნიშვნელობა ექნება „წარმოკავშირს" წევრთათვის, თუ ისინი შევლენ ცეკავშირში, რომელსაც ექნება საგანგებო განყოფილება სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების საქმის გასაძღოლად? ცეკავშირი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლაც აწარმოებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შეგროვებას, გასაღებას და მის გადამუშავებას საკონსერვო ქარხანაში, ყიდულობს და ასაღებს მატყლს, პარკს და სხვა... ამ დროს ყველა ამ პროდუქტის მწარმოებელნი სამომხმარებლო კოოპერატივების წევრნი არიან.

და ბოლოს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს თავისი ისტორია აქვთ. ბევრი მათგანი დიდი ხანია დაარსებულია, მაგრამ დღემდე არ აქვთ ისეთი ძლიერი ცენტრი, რომლის გარშემოც შეკავშირება ხელსაყრელი იყოს მათთვის. „წარმოკავშირი" 1918 წლიდან არსებობს და იურიდიულად აერთიანებს თითქმის ყველა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს. მისი ბალანსის მიხედვით შეიძლება ითქვას, რომ ეს კოოპერატივთა ცენტრი კი არ არის, რომელიც პროდუქტების შეგროვებას და გასაღებას აწარმოებს, არამედ უბრალო კოოპერატივია, რომელიც მხოლოდ ახლა იწყებს მუშაობას.

1920 წლის იანვრის პირველისათვის აქტივი უდრის 36,265 მ. (ოქროთი), ხოლო 1921 წლის იანვრის 1-სათვის ეს ჯამი ჩამოდის 25,203 მანეთამდე, ანუ მცირდება 30,58 პროცენტით. 1920 წელთან შედარებით 1922 წლის აქტივი მცირდება 77,23 პროცენტით (იყო 36,265 მან. ჩამოვიდა 8,257 მან.). 1923 წლის ივლისისათვის აქტივი იზრდება 99738 მანეთამდე, ესე იგი 175 პროცენტით 1920 წელთან შედარებით.

ცხადია, რომ წარსულთან შედარებით მდგომარეობა უმჯობესდება, მაგრამ საკითხი ის არის, შეუძლია თუ არა „წარმოკავშირს" მწარმოებელთა ინტერესების სამსახური იმ დროს, როდესაც მისი აქტივი სულ 100,000 მანეთს შეადგენს.

მიზანშეწონილი არ იქნება, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრის მთელი მუშაობა გადასულიყო სამომხმარებლო ცენტრის ხელში, რომელსაც უკეთ შეუძლიან ცალკე კოოპერატივთა ინტერესების დაცვა?

ამის მიხედვით მიიღო კიდეც რეზოლიუცია ამიერ-კავკასიის ეკონომიურმა თათბირმა (1923 წლის მარტის 1—6) სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ. რეზოლიუციაში, სხვათა შორის, ნათქვამია:

„სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მთლიანად გაერთიანება ნაკარნახევია სასოფლო მეურნეობის ხელის შეწყობის ყველა ფორმის ორგანიზაციულ კავშირით და კულტურულ ელემენტების მხრით ღარიბ სოფლის ძალების ეკონომიის საჭიროებით.

„კოოპერატიულ მოძრაობის პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ სოფლად კოოპერაცია წინადაც ვითარდებოდა ინტეგრალის მიხედვით (საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა მიერ მომარაგებისა და გასაღების ოპერაციების ფართო განვითარება, სამომხმარებლო დუქნების დაარსება ერბოს გამომხდელ არტელებთან) და ამის წყალობით იზრდებოდა იგი და მტკიცდებოდა. პირიქით ამა თუ იმ სახის კოოპერაციის სრული განცალკევება ხშირად ხდებოდა მისი დაღუპვის მიზეზად...

„ინტეგრალის სათავეში სამომხმარებლო კოოპერაციის ჩაყენებას ამართლებს თვით სამომხმარებლო კოოპერაციის მდგომარეობა, ვინაიდან იგი კოოპერატიულ მოძრაობის უფრო ძლიერი და განვითარებული შტოა, აქვს შედარებით მძლავრი აპარატი, ფართო საქმიანობას და უნარიანობას იჩენს მომარაგებისა და გასაღების ოპერაციებში და მიკუთვნებული აქვს დიდი როლი საბჭოთა რესპუბლიკების საქონლის ტრიალში"...

ძველი კოოპერატორი.

ინტეგრაცია თუ სპეციალიზაცია კოოპერატიულ აღმშენებლობაში

სასოფლო-სამეურნეო და მომხმარებელი კოოპერაციის საკითხი ამიერ-კავკასიაში, ადგილობრივ კოოპერატორებისათვის, ყოველთვის სადაო და ყოველნაირ გაუგებრობის საგანი იყო, მეტადრე საქართველოსთვის, სადაც ამ ორ სახის კოოპერაციას უხდება პარალელურად მუშაობა. საქართველოში ეს საკითხი იღებდა უფრო მწვავე ხასიათს, ვიდრე აზერბეიჯანსა და სომხეთში, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ჯერ სათანადოთ არ არის განვითარებული და, მაშასადამე, კოოპერატიულ აღმშენებლობის დარგში რაიმე პარალელიზმზე ლაპარაკი სულ ზედმეტია. იქ ერთადერთი მომხმარებელი კოოპერაცია ეწევა მუშაობას კოოპერატიულ აღმშენებლობაში და არა აქვს საქმე იმ კონკურენციასთან, რასაც ჩვენ ვხედავთ საქართველოში.

აქ საქართველოში სასოფლო-მეურნეობის პროდუქტების დამზადებასა და გასაღებას ეწევა მომხმარებელი კოოპერაცია და ამავე დროს ამის გვერდზედ ასეთსავე პროდუქტების დამზადებასა და გასაღებას ეწევა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია, რომელიც ამ ბოლო დროს ჯეროვნად განმტკიცდა და ღრმად გაიდგა ფესვები სოფლის მეურნეობაში. თუმცა გასაკვირალია, მაგრამ სამომხმარებლო კოოპერაციას, როგორღაც არ ეჭაშნიკა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარება და განმტკიცება, ამ საშიშ კონკურენტისა სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადებასა და გასაღებაში და ორ მონათესავე ორგანიზაციის შორის დაიწყო ბრძოლა. იქ, სადაც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთა ცენტრი „წარმოკავშირი" აწყობს სასოფლო-სამეურნეო ტიპის კოოპერატივებს, როგორიც არის „ქართლი", „ატამი", „სვირი" და სხვ., მომხმარებელ კოოპერატივთა ცენტრი „ცეკავშირი" აწყობს, გვერდითვე, სასოფლო-სამეურნეო ტიპისავე კოოპერატივებს, როგორიც არის „წითელი ქართლი", „წითელი ლაგოდეხი" და სხვ., ერთის სიტყვით „ცეკავშირი" აწყობს ისეთსავე ორგანიზაციებს და ისეთსავე მიზნებით და ამოცანებით, როგორსაც აწყობს „წარმოკავშირი", მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ ორგანიზაციების სახელებს „ცეკავშირი" უმატებს ერთ სიტყვას—„წითელი". ამას შედეგად მოსდევს ამ კოოპერატივთა შორის კონკურენცია, დავა და ყოველნაირი დაუშვებელი მოვლენა, რითაც, ეჭვს გარეშეა, ოსტატურად სარგებლობს კერძო ვაჭარი—სპეკულიანტი და ორმაგ ტყავს აძრობს ისედაც გატყავებულ გლეხს.

ასეთი პარალელიზმი მუშაობაში განსაკუთრებულ მავნე გავლენას ახდენს კოოპერატიულ აღმშენებლობის საქმეში, რადგან ამ შემთხვევაში აღარ აქვს ადგილი იმ ინიციატივას და თვითმოქმედებას გლეხურ მასსებში, რომელიც უნდა იქნეს თავდები კოოპერატიულ პრინციპების განვითარების და განმტკიცებისა სოფლის მეურნეობაში.

აღნიშნულ არანორმალურ მოვლენათა თავიდან აცილების საკითხი ამჟამად ბევრ კოოპერატიულ წრეების და პარტიულ ცენტრების მსჯელობის საგნად გახდა. ზოგი წინადადებას იძლევა ყველა სახის კოოპერატივების გაერთიანებას „ცეკავშირის" გარშემო, და ზოგი კი ორივე სახის კოოპერაციის დამოუკიდებლად არსებობას აუცილებელ საჭიროებადა სთვლის. ამასთანავე პირველნი, ე. ი., ინტეგრაციის მომხრენი თავის შეხედულებას იმაზედ ამყარებენ, რომ ასეთი გაერთიანება გააჯანსაღებს მომხმარებელ კოოპერაციას, რომელიც ამ ბოლო დროს დიდ კრიზისს განიცდის საქართველოში—ეს ერთის მხრით და მეორეს მხრით, მოსპობს პარალელიზმს კოოპერატიულ აღმშენებლობის საქმეში მეორენი კი, იმ აზრით, რომ მოსპონ ყოველივე ანორმალობა და დაამყარონ სწორი ურთი-ერთობა ამ ორი სახის კოოპერაციის შორის, სთვლიან საჭიროდ ამ სხვადასხვა სახის კოოპერატივთა ფუნქციების გამიჯვნას, როგორც კოოპერატიულ აღმშენებლობის საქმეში, ისე სამეურნეო საქმიანობაში.

მე მგონია, რომ ასეთი რთული საკითხების ასე იოლად გადაჭრა, როგორც ესა სწადიათ ინტეგრაციის მომხრეთ, შეუძლებელია. ასეთ შემთხვევებში საჭიროა კოოპერაციის ყველა მთავარ მომენტების დეტალური შესწავლა,—შესწავლა კოოპერაციის ძირითად პრინციპების, მისი მნიშვნელობისა და როლისა სახალხო მეურნეობის საქმეში და სხვ. და ცხოვრებაში გავატაროთ მოქმედების ისეთი ხაზი, რომელიც მას არ ეწინააღმდეგებოდეს. წარმოუდგენელია კოოპერაციის შექმნა მარტო კოოპერაციისთვის. რამდენადაც ამიერ-კავკასიაში კოოპერატიულ აღმშენებლობას საფუძვლად უდება ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობა, იმდენად, ეკონომიურ ხასიათის საკითხების გადაჭრა განყენებულ სოციალურ სამართლიანობის თვალსაზრისით ან რომელიმე არსებულ კოოპერატიულ ცენტრის ინტერესის მიხედვით შეუძლებელია. მეტადრე როცა დანგრეულ სახალხო მეურნეობის აღდგენა ყველა მის დარგებში საბჭოთა ხელისუფლებისთვის საარსებო საკითხს წარმოადგენს, როცა ქალაქის მრეწველობის აღდგენა სავსებით დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის აღდგენასა და განვითარებაზე,—აუცილებელია, უკანასკნელის საკითხის გადაჭრაში ვხელმძღვანელობდეთ მისი ინტერესების თვალსაზრისით.

მომხმარებელი კოოპერაცია, როგორიც არის „ცეკავშირი", თავისი მიზნებისა და დანიშნულების მიხედვით, მოწოდებულია ემსახუროს სოფლისა და ქალაქის მოსახლეობას **ფართო მოთხოვნილების საგნებით მომარაგებაში**· ე. ი., სამომხმარებლო ხასიათის საქონლით მომარაგებაში. ამ მიმართულებით მუშაობა მომხმარებელ კოოპერაციისა მაშინ იქნება გამართლებული, თუ მისგან დამზადებული საქონლის ფასები ბაზრის საქონლის ფასებზე დაბლა იქნებიან. მაშასადამე, იგი უნდა ყოველ ღონისძიებას ხმარობდეს, რომ გააიაფოს ის საქონელი, რომელიც მომხმარებელს უნდა მიაწოდოს. ამ მოსაზრებით იგი სცდილობს მოაწყოს საკუთარი წარმოება და ამრიგად, ამავე მოსაზრებით, დაქირავებული შრომა არამც თუ დასაშვებია და შესაძლებელია, არამედ ბუნებრივი საშუალებაა მომხმარებელ კოოპერაციის ყველა საქმეებში. იგი სცდილობს, რაც შეიძლება, მეტი წევრი შეიძინოს, რათა ამით გააფართოვოს საქმე და გააუმჯობესოს მისი მოქმედების პირობები. წევრთა პასუხისმგებლობა მეტად შეზღუდულია. მომხმარებელი კოოპერაცია მეურნეობის მხრივ მთელ თავის მოღვაწეობას მითი განსაზღვრავს, რომ მოამარაგოს თავის წევრები იაფ საყოველთაო მოთხოვნილების საგნებით და სრულიად არ ერევა თავის წევრის,—გლეხის ინდივიდუალურ მეურნეობაში.

აი არსებითად ის ამოცანები, რომლებსაც შეიცავს მომხმარებელი კოოპერაციის მოქმედება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია (მწარმოებელი, ნახევრად-მწარმოებელი და საკრედიტო ხასიათისა) ძლიერ განირჩევა მომხმარებელ კოოპერაციისაგან, როგორც თავის ძირითად მიზნებითა და დანიშნულებებით, ისე შინაგან ბუნებით და თავისი სტრუქტურით. იგი უყურებს გლეხს, უპირველეს ყოვლისა, როგორც მწარმოებელს და არა როგორც მომხმარებელს. გლეხ-მწარმოებლის და მისი მეურნეობის კეთილდღეობა მთლიანად დამოკიდებულია სხვადასხვა პირობებზე და უმთავრესად იმაზე, თუ რამდენად სასარგებლოდ გაასაღებს იგი თავისი შრომის პროდუქტებს. რამდენადაც მაღალ ფასში გავა სოფლას მეურნეობის პროდუქტი, იმდენად ეს მეურნეობა უფრო ვითარდება და ფართოვდება. მაშასადამე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია ყველა ღონისძიებით უნდა სცდილობდეს პროდუქტების ფასის აწევას. ვენახის, თამბაქოს, აბრეშუმის და სხვ. კულტურა რჩება სასოფ.-სამეურნეო კოოპერაციის წევრის ხელში, მაგრამ კოოპერატივი, თავის ძირითად მიზნების მიხედვით ვალდებულია ჩაერიოს ყოველთვის წევრის ინდივიდუალურ მეურნეობაში, რათა მისცეს დარიგება და რჩევა და აღმოუჩინოს ყოველმხრივი დახმარება ნიადაგის რაციონალურ შეკეთებაში, განოყიერებაში და სხვ. საქმეში, რომ მიიღოს მაღალი ღირსების პროდუქცია. ამას შედეგად მოყვება თვალსაჩინო წარმატება ტეხნიკისა და სოფლის მეურნეობის დონეც მაღლა დადგება. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისათვის საგულისხმოა თავის წევრთა განუსაზღვრელი პასუხისმგებლობა, რომ მათი ინდივიდუალური მეურნეობა მუდამ ხელთ ეპყრას, რათა ამით საქონლით რეგულიარულად მომარაგების და იაფ კრედიტის საქმე, რაც სოფლის მეურნეობაში აუცილებელია, ყოველთვის ღირსეულ სიმაღლეზე იქონიოს. ასეთი კოოპერაცია, უმეტეს შემთხვევაში, სხვადასხვა ცნობილ თავისებურობის გამო ატარებს კარჩაკეტილ ხასიათს და თავის წევრთა რიცხვს საზღვრავს და ამასთანავე დაქირავებული შრომა მისთვის მიუღებელია. ამხანაგობის ყოველი წევრი ვალდებულია მონაწილეობას იღებდეს მუშაობაში თავისი პირადი შრომით და სხ.

ეს არის ძირითადი მიზნები და ამოცანები სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა.

როგორც ზემოაღნიშნულიდან სჩანს ამ ორ სხვადასხვა სახის კოოპერაციის ინტერესები დაპირისპირებული ყოფილა. ის, რაც მომხმარებელ კოოპერაციისათვის მიზანშეწონილად და აუცილებლად არის მიჩნეული, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისთვის მავნე და გადაჭრით უარსაყოფია. ის, რაც გლეხისთვის შეადგენს საარსებო მნიშვნელობას მის მეურნეობის განვითარებასა და გაფართოვებაში, მომხმარებელ კოოპერაციისათვის დაუშვებელია.

ამრიგად, ეს ორი სახის კოოპერაცია თავის შინაგანი სტრუქტურით, ძირითადი მიზნებით და დანიშნულებებით, მეტადრე ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში და იმ გარდამავალ ხანაში, რომელშიაც იმყოფება ჩვენი ქვეყანა, ერთმანეთისთვის უცხონი არიან და მათი ინტერესების შეთავსება შეუძლებლად უნდა იყოს მიჩნეული.

საქართველოში კოოპერაციის ინტეგრალურ აღმშენებლობის ზოგიერთი მომხრენი იმასაც კი ამბობენ, რომ ვითომ კოოპერაციის ინტეგრალურ აღმშენებლობას ჰქონდეს გასამართლებელი საბუთი პრაქტიკაში და ხელს უწყობდეს მას ქართული სოფლის სტრუქტურა. ჩემთვის ასეთი დასაბუთება ცოტა არ იყოს გაუგებარია. როგორია ისეთი პრაქტიკა, რომელსაც შეუძლიან შეაერთოს შეუერთებელი თავისი შინაგანი ბუნებით? დასავლეთ ევროპის კოოპერატიულ მშენებლობის პრაქტიკას არ ახსოვს ასეთი შემთხვევა. შეიძლება სახეში აქვთ რუსეთის კოოპერაციის პრაქტიკა. სწორედ რუსეთის კოოპერაციაში მოხდა ასეთი ცდა (იქაც მომხმარებელ კოოპერაციის ინიციატივით) და ცდა [illegible] და საბედისწერო გამოდგა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისთვის. მაგრამ საბედნიეროდ ეს შეცდომა დროზედ იყო შეგნებული. დეკრეტი ამ ორი სახის კოოპერაციის გაერთიანების შესახებ საჩქაროთ იქნა გაუქმებული და მაშინვე გამოიცა ახალი დეკრეტი სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის დამოუკიდებელ და თავისუფალ განვითარებისა დ̃ გაფართოვების შესახებ; სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია გადარჩა განადგურებას. **ეს იცის ყველა კოოპერატორმა და, მაშასადამე, ინტეგრაციის მომხრეებმაც უნდა იცოდნენ.**

შემდეგ რაში მდგომარეობს ეს ამიერ-კავკასიის სოფლის სტრუქტურის თავისებურობა, რომ ვითომ იგი ამართლებდეს ინტეგრაციის საჭიროებას? განა ქართველი გლეხი ისეთივე მწარმოებელი არ არის, როგორც რუსი? მე მგონია, რომ ამ საკითხზე მხოლოდ დადებითი პასუხი გაიცემა და ეგრედწოდებული „ამიერ-კავკასიის სოფლის სტრუქტურის თავისებურობა" მეტად სახიფათო ნიადაგი იქნება ინტეგრალურ კოოპერაციის მოწყობისათვის ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში.

პარტიის ცეკამ, ეჭვს გარეშეა, სწორი შეფასება მისცა კოოპერაციის როლსა და მნიშვნელობას სამეურნეო აღმშენებლობაში და საკითხი დასვა არა მათ შედუღებასა და შეერთებაზე, არამედ ფუნქციათა გამიჯვნაზე. „ცეკავშირის" (როგორც მომხმარებელ კოოპერაციის)—ერთის მხრით, და „წარმოკავშირის" (როგორც სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის) შორის—მეორეს მხრით.

ამ ორ ორგანიზაციათა შორის ფუნქციათა გამიჯვნის საკითხი მოითხოვს დაჩქარებას, როგორც ყურადსაღებ მნიშვნელობის საკითხი. მით უმეტეს, რომ იგი ამ ბოლო დროს მწვავე ხასიათს ღებულობს და ეს გარემოება თვალსაჩინოდ უშლის ხელს საქართველოში კოოპერატიულ აღმშენებლობის საქმეს.

ინტეგრაციის ზოგიერთი მომხრენი შეშინებულან იმ გარემოებით, ვითომ, თუ „ცეკავშირმა" ხელი აიღო სასოფლო-სამეურნეო მწარმოებელ მუშაობაზე, იგი წინდაწინვე დამარცხებულად შეიძლება ჩაითვალოს.

ჩემის აზრით ასეთი შიშიანობა უნიადაგოა. ჩვენ ვიცით, რომ სოფლის მოთხოვნილება ფართო მოხმარების საქონლებში 5 პროც.-თაც არ არის დაკმაყოფილებული და ამ მხრივ სოფელი სპეკულიაციის ფართო ასპარეზად არის გადაქცეული. სოფლის მთლიან მომხმარებელ საზოგადოებათა (ეპო) დუქნები ცარიელები არიან და თქვენ შეგიძლიათ იპოვოთ იქ მხოლოდ ქალის „ბროშკები", პუდრა, ხელის საპონი, ღილები, მცირე ასორტიმენტი ფართალისა და სხვ., მაგრამ გლეხისათვის გამოსადეგ საგნებსა და საქონელს თქვენ იქ ვერ ნახავთ. ამისათვის იგი იძულებულია მიმართოს კერძო ვაჭარს და უკანასკნელიც უარს არ ეტყვის ათასნაირად ტყავის გაძრობაზედ. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა ჩვენი სოფლისა და ამის თქმა, რომ „ცეკავშირს" აღარა რჩება სამოქმედო ასპარეზი, უადგილო იქნება.

მით უმეტეს ამ ხანად, როცა მომხმარებელ კოოპერაციის მშენებლობაში უნდა იყოს გატარებული პრინციპი ნებაყოფლობითი წევრობისა, „ცეკავშირი"-ს მუშაობა, როგორც სამეურნეო, ისე საორგანიზაციო დარგში გაათკეცდება და ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვუსურვოთ მას შეიძლოს თავისი დანიშნულების შესრულება ამ საქმიანობაში.

კოოპერატიულ აღმშენებლობის პრაქტიკამ თითონ გამოიმუშავა და გამიჯნა ფუნქციები ამა თუ იმ სახის კოოპერატივისა და ჩვენ, ქართველ კოოპერატორებმა, რომელნიც ისახავენ მიზნად შექმნან მტკიცე და ძლიერი ორგანიზაციები, დაფუძნებულნი ხალხურ მასსათა ინიციატივასა და თვითმოქმედებაზე, უნდა მივმართოთ ნაცად გზებსა და მეთოდებს და არა იმ გზებს, რომელზეც გვითითებენ გაერთიანების მომხრენი.

ალ. მეტეხელი.

„კოოპერატიული მშენებლობის შესახებ საქართველოში"

ასეთი სათაურით მოთავსებულია ვინმე „ე. დ."-ს წერილი, ცეკავშირის ჟურნალ „კავშირი"-ს მე-2 ნომერში. ავტორი ეხება ფრიად მნიშვნელოვან საკითხს, საქართველოს კოოპერაციის მშენებლობისას. ის სცნობს არანორმალურად არსებულ მდგომარეობას, იმას, რომ კოოპერატიული მშენებლობა სწარმოებს ორი მიმართულებით: სამომხმარებლო და სასოფლო-სამეურნეო. ბოლოს სვამს კითხვას: „ინტეგრალური უნდა იყოს კოოპერატიული მშენებლობა თუ დანაწილებულიო".

საჭიროა გამოვარკვიოთ ამიტომ, მართლა ასეთი „დანაწილებულია" საქართველოს კოოპერაცია თუ არა?

ეს მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც სამომხმარებლო, აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციამ დიდი ხანი არაა რაც გამოაცოცხლეს მუშაობა. ისინი ჯერ კიდევ ორგანიზაციულ მუშაობას ეწევიან და ალბათ კიდევ დიდი ხანი დასჭირდებათ მის დასამთავრებლათ. რათა „ე. დ."-ს მიერ წამოყენებულმა ინტეგრაციამ კოოპერაციის უკვე დაწყებულ ორგანიზაციულ მუშაობაში არ შეიტანოს ტეხვა და საქმის გაუმჯობესების მაგიერ არ მოგვცეს წინააღმდეგი შედეგები, საჭიროთ მიმაჩნია გავერკვეთ საქართველოს კოოპერაციის არსებულ მდგომარეობაში და შემდეგ ვსთქვათ შესაძლოა თუ არა დღევანდელ პირობებში ინტეგრაციის ცხოვრებაში გატარება.

სანამ არსებითად ავტორის მიერ აღძრულ კითხვების განხილვას შევუდგებოდეთ, საჭიროა მოკლედ გადავათვალიეროთ ჩვენი კოოპერაციის მდგომარეობა, გავიგოთ როდის დაიწყო მუშაობა და რა გააკეთა მან.

საბჭოთა მთავრობამ სულ მეორე წელია რაც შესძლო ყურადღება მიექცია კოოპერაციისათვის და გაეწია რეალური დახმარება. მანამდე მთავრობა საბჭოთა აპარატის მოწესრიგებას და უფრო საჭირბოროტო საკითხების მოგვარებას უნდებოდა. როდესაც მან დაინახა, რომ კოოპერაცია მკვდარია საქართველოში

და მის გამოცოცხლება სჭირდება, მან გამოჰყო მუშაკები, გახსნა სესხი და მისცა წინადადება აღედგინათ კოოპერაცია, რადგან კოოპერაცია მუშების და გლეხების დამხმარე ორგანიზაციაა. მხოლოდ მუშურ-გლეხური მთავრობას შეეძლო სესხის მიცემა და დახმარების აღმოჩენა, ვინაიდან ის მუდმივ მშრომელი კლასის მდგომარეობის გაუმჯობესების ცდაშია და არ ახსოვს კოოპერაციის მოძრაობის ისტორიას, რომ სხვა რომელიმე მთავრობა კოოპერაციას დახმარებოდეს. პირიქით ძველი მთავრობები იმის ცდაში იყვნენ, როგორმე ხელი შეეშალათ კოოპერაციის მუშაობისთვის და არ მიეცათ გაფართოების საშუალება. აქედან სჩანს რომ კოოპერაციამ საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრების შემდეგ მეორე წელია რაც დაიწყო მუშაობა.

თუ როგორ მდგომარეობაში იყო კოოპერაცია მაშინ, როდესაც საბჭოთა ხელისუფლებამ მას ყურადღება მიაქცია ამაზე დიდი განმარტების მიცემა ზედმეტათ მიმაჩნია, ვინაიდან ყოველ მუშამ და გლეხმა, რომელიც მაშინ საქართველოში ცხოვრობდა, იცის, რომ კოოპერაცია ნამდვილად არ არსებობდა. და თუ იყო გადარჩენილი აქა-იქ უმნიშვნელო რაოდენობა, ისიც სულს ღაფავდა.

ასეთ მდგომარეობაში დაიწყეს მუშაობა ცეკავშირმა და ცოტა უფრო დაგვიანებით წარმოკავშირმა. ვინაიდან მე მაინტერესებს „ე. დ.“-ს მიერ აღძრული საკითხის გადაჭრის საშუალებანი, მე უნდა შევჩერდე ორივე კოოპერატიული ცენტრების მდგომარეობაზე, რომელთა შორის ერთი, „ცეკავშირი“, თუ ეხლა ვერ ხელმძღვანელობს, უნდა ხელმძღვანელობდეს მაინც სამომხმარებლო კოოპერაციის მშენებლობას და მეორე—„წარმოკავშირი“, საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას.

ისმება კითხვა, როგორაა სამომხმარებლო კოოპერაციის საქმე ჩვენში, დაყენებულია ის სასურველად, და აკმაყოფილებს მომხმარებელთ ყოველ მხრივ თუ არა? რომ გამოჩნდეს ვინმე ისეთი გამბედავი და განაცხადოს, რომ სამომხმარებლო კოოპერაციამ დაამთავრა თავისი მისია, ის ყოველმხრივ აკმაყოფილებს მომხმარებელთ და მას ეხლა სხვა საქმეს შეუძლია მოჰკიდოს ხელი—ეს იქნებოდა სამომხმარებლო კოოპერაციის არსებული მდგომარეობის სრული უცოდინარობა ან ცარიელი სიტყვების გადმოსროლა. აი რას ამბობს კოოპერაციაზე რუსეთის კომუნისტური პარტიის მე-13-ე კონფერენციაზე მიღებული რეზოლიუცია ეკონომიური პოლიტიკის მორიგი ამოცანების შესახებ (იხ. გაზ. „კომუნისტი“ 8 თებერვლის № 28): „ამავე დროს კრიზისმა გამოააშკარავა, რომ კოოპერაცია და სახელმწიფო ვაჭრობა არ ხდებიან ან [illegible] დეზე, რომლებიც დახმულია მათ წინაშე: სახელმწიფო მრეწველობისა და მასიურ მომხმარებელს შორის უშუალო კავშირის დამყარება“. აქედან სჩანს, რომ საბჭოთა რუსეთში, სადაც კოოპერაციის მშენებლობა რამოდენიმე წელია ენერგიულად სწარმოებს, იქ კოოპერაცია ვერ სდგას სათანადო დონეზე და ამას კიდევ დიდი ხნის მუშაობა დასჭირდება. და ნუ თუ შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში, სადაც კოოპერაციის მოძრაობასაც გაცილებით უფრო მოკლე ისტორია აქვს, და ცეკავშირი ფაქტიურათ ერთი წელია რაც ამუშავდა,—მან შესძლო ყველაფერის გაკეთება? რასაკვირველია არა. მაგრამ არც იმის თქმა შეიძლება, რომ ცეკავშირს ამ ერთი წლის განმავლობაში არაფერი გაეკეთებია, მან გააკეთა ის, რისი გაკეთებაც ერთი წლის განმავლობაში შეიძლებოდა, მაგრამ რაც მომავალ მუშაობასთან შედარებით წვეთია ზღვაში. აშკარაა, რომ ცეკავშირმა ბევრი უნდა იმუშაოს, რომ სამომხმარებლო კოოპერაცია დააყენოს სათანადო დონეზედ. აშკარაა, რომ მარტო „ეპო“-ების დაარსებით არ განისაზღვრება სამომხმარებლო კოოპერაციის მუშაობა. ათეული წლებით სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს მისი მშენებლობა ევროპაში, სადაც კოოპერაციას ნიადაგი გაცილებით უფრო მომზადებული აქვს, ვიდრე ჩვენში.

ჩვენი „ინტეგრალისტები“ გაიძახიან, რომ საქართველო გლეხური ქვეყანაა და გლეხი ხომ ერთი და იმავე დროს მომხმარებელიცაა და მწარმოებელიც, შეუძლებელია ამ ორი საქმის ერთმანეთისგან დაცილება. მაგრამ, ვეკითხები „ე. დ.“-ს, როგორც „ინტეგრალისტს“, რომელიც ალბათ ცეკავშირის მომუშავეა, დააკმაყოფილა ცეკავშირმა გლეხის სამომხმარებლო ინტერესები თუ არა? მისცა მან გლეხს, რაც ესაჭიროება თუ არა.

აი რას უნდა მიაქციოს ცეკავშირმა ყურადღება. ცეკავშირი უპირველესად ყოვლისა სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრია, ვინაიდან მისი ადგილობრივი უჯრედები „ეპო“-ებია, რაც მთლიან სამომხმარებლო საზოგადოებას ნიშნავს 1923 წ. 24 იანვრის დეკრეტით და ასეთი სამომხმარებლო უჯრედები კი ადგენენ სამომხმარებლო კოოპერაციის ცენტრს ე. ი. ცეკავშირს.

შეიძლება სთქვან, რომ ცეკავშირი სამომხმარებლოს გარდა სხვა ფუნქციებსაც ასრულებს, მაგრამ სამწუხაროდ ის ამავე დროს აცდენილია თავის პირდაპირ საქმეს, სამომხმარებლო კოოპერაციის აღდგენას.

მეორე კოოპერატიული ცენტრი წარმოკავშირია, რომელიც ხელმძღვანელობს საქართველოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის მშენებლობის საქმეს. ამ ორგანიზაციამაც ერთი წელია, რაც გააცხოველა მუშაობა და როგორც აღნიშნული სტატიის ავტორი „ე. დ.“ სწერს „წარმოკავშირი **საკმარისი ინტენსიობით ქმნის სხვადასხვა ამხანაგობებს და კოოპერატიულ საზოგადოებებს**“ (ხაზი ჩემია ვ. ც.) მართალია, რომ წარმოკავშირი ინტენსიურად შეუდგა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის აღდგენის საქმეს. მიუხედავად ამისა, განა შეიძლება ითქვას, რომ წარმოკავშირმა ყველაფერი გააკეთა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისთვის? აშკარაა, რომ არა. წარმოკავშირმა კიდევ ხანგრძლივი ორგანიზაციული მუშაობა უნდა აწარმოოს, რომ დააყენოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაცია სათანადო რელსებზე.

ეხლა გადავიდეთ იმ მოტივების გარჩევაზედ, რომლებითაც „ე. დ.“ ასაბუთებს ინტეგრალის აუცილებლობას საქართველოს კოოპერაციაში.

ავტორი სწერს: „თუ ცხრა მეათედი გლეხის შემოსავლისა ემყარება მისი მეურნეობის ერთ განსაზღვრულ დარგს, ცხადია, რომ მთელი მისი ყურადღება სწორედ ამ დარგისკენ იქნება მიქცეული“ და სხვა. აქ ავტორს შესაძლებლად მიაჩნია მეურნეობის კოლექტიურად მოწყობა კოოპერატიულ ამხანაგობებში. მეურნეობის ასეთ დარგათ, ის სთვლის მეცხვარეობას, მევენახეობას და საერთოთ მათ, რომელნიც „ტერიტორიალურ-ეკონომიურ უჯრედებში გაერთიანდებიან“. ე. ი., ავტორის აზრით, სოფლის მეურნეობა შეიძლება მოეწყოს ისეთ რაიონებში, სადაც მეურნეობის რომელიმე დარგი შეადგენს მწარმოებლის მთავარ საყურადღებო საგანს და ფიქრობს, რომ ასეთი კოოპერატიული ამხანაგობა შეუძლია მოაწყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ცენტრმა. მაგრამ ის უფიქრდება და იღებს ისეთ მეურნეობას, სადაც გლეხი ერთ და იმავე დროს ეწევა სიმინდს, ლობიოს, ბოსტნეულობას, ცოტა ღვინოს და ქათამს ღორის მოშენებას. როგორ უნდა მოეწყოს კოოპერატიულად ასეთი მეურნეობანი. ავტორს აშინებს ის აზრი, რომ ასეთი მეურნე, რომელსაც არა აქვს მეურნეობაში მთავარი საყურადღებო დარგი, შესაძლოა გახდეს მრავალი კოოპერატიული საზოგადოების წევრი. მაგალითად მას ჰყავს 5 ქათამი, ის გახდება კვერცხის-დამამზადებელი ამხანაგობის წევრი, თუ მას ჰყავს 3 ღორი, ის გახდება მეღორეთა ამხანაგობის წევრი და სხვ ასე, რომ გლეხი შეიქნა რამდენიმე ორგანიზაციის წევრი და მას შეუძლია ამდენი ორგანიზაციის შენახვა?—ვეკითხება ავტორი.

უდავოა, რომ ავტორი მართალი იქნება, თუ ჩვენ კოოპერატიული მშენებლობა, რომელიც ეხლა ორგანიზაციულ სტადიას განიცდის, დაიწყებთ ისეთი გლეხებისაგან, რომელთაც 5 ქათამი და 3 ღორი ჰყავთ. მაგრამ, ჩემი აზრით, კოოპერატიული მუშაობა იმდენათ არ გაღრმავებულა ჩვენში, რომ აქედან მუშაობის დაწყება დაგვჭირდეს. ჩვენს მხარეში მეურნეობის იმდენი მსხვილი დარგია (9 მეათედი და 8 მეათედი) კოოპერატიულად შეუკავშირებელი რომ 5 ქათამიდან დაწყება ჯერ არ დაგვჭირდება და ეს არც ახლო მომავალში. ამისათვის ინტეგრაციაც საჭირო არ არის.

ავიღოთ ავტორის კონკრეტიული მაგალითი, სადაც ნათქვამია: „სიმინდის მომყვანთა საზოგადოება მოითხოვს სიმინდის თესვის გაფართოებას, რადგან იგი გახდა შემოსავლიანი საექსპორტო საგანი. მეღორეთა საზოგადოება ყოველ ღონისძიებას ხმარობს ხელი შეუშალოს ასეთ ექსპორტს, რადგანაც სიმინდი საჭიროა ღორების გამოსაკვებათ, მეაბრეშუმეთა ამხანაგობა კი მოინდომებს საყანე მინდვრებზე დარგოს თუთის ხეები და სხვა. აქ ავტორს მხედველობაში აქვს მეურნეობის ცალკე დარგების ინტერესთა შეჯახება. თუ ამით ასაბუთებს კიდევ ავტორი ინტეგრაციის საჭიროებას, მაშინ მე ვიტყოდი, რომ ინტეგრაცია სულ არარაობა ყოფილა. განა დასაშვებია ასეთი შემთხვევები კოოპერატიულად შეკავშირებულ ამხანაგობებში, სადაც, ავტორის სიტყვით, „მეურნეობაში დამყარდება კულტურა“ და „კოოპერაციამ უნდა აღზარდოს შეგნებული მოქალაქეები, საზოგადოებრივი მოღვაწეები, კულტურული მეურნენი“. თუ კულტურის ჩანასახი მაინც იქნება მეურნეობაში, ნუ თუ კოლექტიური ამხანაგობა ვერ ამოარჩევს ამა თუ იმ რაიონისათვის მეურნეობის უკეთეს დარგს, და სადაც მეღორეობა გავრცელებულია, იქ სიმინდს არ გააყიდვინებს გლეხებს (რომლებიც ისედაც არ გაყიდიან თუ სჭირდებათ) ან მეაბრეშუმეები გლეხებს საყანე ადგილს ჩამოართმევენ თუთის ხის გასაშენებლათ. ვინ არიან მეაბრეშუმენი, განა ისინიც გლეხები არ არიან? თუ ასეთი შემთხვევები შესაძლოთ მიაჩნია ავტორს, მაშინ მას ავიწყდება ის კულტურა, რომლის შემოღებას მეურნეობაში ის ფიქრობს.

მეურნეობაში კულტურის შემოღებაზე ჩვენ იმისათვის ვლაპარაკობთ და დღიურ ამოცანათ ვსვამთ მას, რომ ამან უნდა მოსპოს გაუგებრობა, რომელიც აქამდე იყო მეურნეობაში. კოოპერატიულ, კოლექტიურმა თანამშრომლობამ უნდა აცილოს გლეხობას ის საშიშროება, რომელიც მოსალოდნელად მიაჩნია „ე. დ“-ს ამისათვის არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს დღევანდელ ჩვენს სინამდვილეში კოოპერაციის ინტეგრაციის შემოღება.

თუ ავტორს ოდნავათ მაინც აინტერესებს საქართველოს მეურნეობის ზედა და მშრომელი გლეხების მდგომარეობა, მან უნდა მიმართოს ცეკავშირს და უთხრას: „**დღეს საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობა მოითხოვს, რომ თქვენ აღადგინოთ სამომხმარებლო კოოპერაცია, და გაღვიძებული ხართ მთელი ძალებით გაილაშქროთ ამ საქმისაკენ, თუ ახლა არ მოიქეცით, თქვენი აშენებული კოოპერაცია ხუხული და უღღეური იქნება**“. ამასთანავე მან უნდა მიაქციოს წარმოკავშირის ყურადღება არსებულ მდგომარეობას და უნდა უთხრას მას: „**თქვენ გალათ გაწევთ საქართველოს სოფლის მეურნეობის აღდგენა, სოფელსა და ქალაქს შორის ძაფის გაბმა და თქვენ ეს უნდა შეასრულოთ**“.

აი როგორ შეიძლება მოეწყოს საერთოდ კოოპერატიული მუშაობა ჩვენში.

ვიმეორებ, სანამ ჩვენი კოოპერაციის მშენებლობა კიდევ ორგანიზაციულ სტადიას განიცდის, ინტეგრაციის გატარება შორეულ მომავალს უნდა ჩავაბაროთ.

ვ. ც.

მეცნიერება და ტექნიკა

272 გრად. ნულს ქვევით და 20.000 გრადუსი ნულს ზევით.

სითბო—ეს არის მოლეკულების მოძრაობა. რამდენადაც ნელა მოძრაობენ მოლეკულები, მით უფრო დაბალია ტემპერატურა.

აბსოლუტურ უძრაობის გამომხატველი არის ტემპერატურის აბსოლუტური ნული, რომელიც უდრის 273 გრადუსს ცელსით.

ვინაიდან, სიცივის გამოსაწვევად საჭიროა მოლეკულების მოძრაობის სიჩქარის შესუსტება, ამიტომ აშკარაა, რომ სხეულის გასაცივებლად საჭიროა განსაზღვრული ენერგიის დახარჯვა. საჭიროა მით უფრო მეტი ენერგიის დახარჯვა, რამდენადაც უფრო დაბალია გასაცივებელი სხეულის ტემპერატურა.

პროფესორმა კამერლინგმა 1910 წ. შესძლო—217 და ერთი მეოთხედი გრადუსის მიღწევა, 12 წლის მუშაობის შემდეგ იმავე პროფესორმა შესძლო—272 და ერთი მეოთხედი გრადუსის მიღწევა. შეიძლება თეორეტიულად იმის დამტკიცება, რომ—273 გრადუსის (ცელსით) მისაღწევად საჭიროა ბევრათ უფრო მეტი ენერგიის დახარჯვა.

მზის სივრცის ტემპერატურა უდრის 6.000 გრადუსს ცელსით.

ამას წინათ ამერიკელმა მეცნიერმა ანდერსენმა მიაღწია ზღაპრულ ტემპერატურას—20.000 გრადუს ცელსით. ყველაზე ძნელად გასადნობი ლითონი ვოლფრამი ამ ტემპერატურის დროს თვალის დახამხამებაში დნება და იქცევა გაზათ. მისი ატომები ნაწილობრივ გელიის ატომებათ იქცევიან.

ქრონიკა

— **საღერბო გადასახადი.** საქ. სახ კომისართა საბჭომ დაადგინა: შუამდგომლობით მიმართოს ა. | კ. ცაკს, რომ მშრომელი გლეხების მიერ სახელმწიფო დაწესებულებებში შესატანი თხოვნები, საჩივრები და სხ. განცხადებები განთავისუფლებული იქნენ საღერბო გადასახადიდან.

— **დაზღვევის საქმეთა საბჭოში.** სახ. კომ. საბჭომ წარმომადგენლად ა. | კ. დამზღვევ საქმეთა საბჭოში დანიშნულ იქნა ამხანაგი ბ. ბიბინეიშვილი.

— **პროლეტკულტის ტეხნიკუმი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ პროლეტკულტის ტეხნიკუმი ჩარიცხა პოლიტიკურ განათლების მთავარ მმართველობის ქსელში.

— **ინვალიდთა შრომის არტელი.** სახ. კომისართა საბჭომ ინვალიდთა შრომის არტელების მოსაწყობად გადასდო 2000 მან. ჩერვონეცით.

— **პროფესორ რაზმაძის მივლინება.** ტფ. სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი რაზმაძე მივლინებულ იქნა საფრანგეთში მათემატიკის საერთაშორისო კონგრესზე დასასწრებლათ.

— **მშრომელ ქალთა დღესასწაულისათვის.** ა. | კ. ცენტრ. აღმასრ. კომიტეტმა წინადადებით მიმართა ა. | კ. ფინანსთა კომისარიატს მშრომელ ქალთა დღესასწაულის გამო (8 მარტი), უპატრონო ბავშვთა თავშესაფარის ფონდის შესაქმნელად დახმარების სახით გადასდოს—აზერბეიჯანისათვის—12,000 მან., საქართველოსათვის—10.000 მ. და სომხეთისათვის—8,000 მ.

— **სულით ავადმყოფთა ახალშენი.** ჯანმრთელობის კომისარიატმა დაადგინა სულით ავადმყოფთა ახალშენი დარჩეს სურამში.

— **თეთრეული და ჭურჭელი საავადმყოფოებისათვის.** ჯანმრთელობის კომისარიატის სამკურნალო განყოფილებამ თავის განკარგულებაში მყოფი 4000 მანეთიდან გამოჰყო 3222 მან. საავადმყოფოებისათვის თეთრეულის და ჭურჭლის შესაძენად.

— **დამბების შესაკეთებლათ.** ა. კ. წყლთა სამმართველომ გადასდო 6000 მ. ჩერ. მდ. რიონის დამბების შესაკეთებლათ.

— **ღვინის გატანა.** საბჭოთა რუსეთის ღვინის ტრესტის წარმომადგენელმა საქართველოში, მიწათმოქმედების კომისარიატისაგან შეიძინა 8.00 ვედრო ღვინო.

— **სასოფლო-სამეურნეო იარაღები.** მიწათმოქმედების კომისარიატმა მოსკოვში შეისყიდა დიდძალი სასოფლო-სამეურნეო იარაღები, რომლებიც განაწილებული იქნება სოფლის მეურნე გლეხებს შორის.

— **სასახლის ქუჩა.** ტფ. მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა აიკრძალოს სასახლის ქუჩაზე სასადილოების, საჩაიების, საყასბოების, საკონდიტროების და გასტრონომიულ მაღაზიების გახსნა. წინადადება მიეცეს „უქს“ აღნიშნული ტიპის საწარმოები სასახლის ქუჩიდან გადაიტანოს სხვა ქუჩებზე.

— **მეწყერი ქიათურის ხაზზე.** 1 მარტს ქიათურის ხაზზე ქიათურიდან 17 ვერსის დაშორებით მესამედ ჩამოწვა მეწყერი და დააზიანა გზა 50 მეტრის სიგრძეზე.

— **წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად.** მიმდინარე წელს, წერა-კითხვის უცოდინარობის მოსასპობად, განზრახულია გაიხსნას 900 პუნქტი, 1 თებერვლამდე მთ. პოლიტგანათლების განყოფილებამ გახსნა 517 პუნქტი, სადაც სწავლობს წერა-კითხვას 16,000 მუშა და გლეხი.

— **ჯარში გასაწვევთა წერა-კითხვის შესასწავლად.** მთ. პოლიტგანათლების განკარგულებით ჯარში გასაწვევთა წერა-კითხვის უცოდინარობის მოსპობა უნდა დასრულდეს 1 აგვისტომდე.

— **შრომის ბირჟების დათვალიერება.** შრ. კომისარიატმა პროვინციაში მიავლინა ინსტრუქტორი-ხელმძღვანელი ადგილობრივ შრ. ბირჟების და საკორესპონდენტო პუნქტების დასათვალიერებლად.

— **შრომის ბირჟა.** 5 მარტს შრ. ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა 180 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—154. მოთხოვნილება იყო—41. სამუშაოზე გაიგზავნა—49.

— **„კატორღა და ციმბირი“.** რედაქციამ მიიღო ყოფილ პოლიტიკურ კატორღელთა და გადასახლებულთა საზოგადოების მიერ გამოცემული წიგნი „კატორღა და ციმბირი“. წიგნი ლამაზადაა გამოცემული, კარგ ქაღალდზე.

— **სწავლა-განათლების სახ. კომ. სალიტერატურო განყოფილება.** მთავარ სალიტერატურო განყოფილების გამგეთ დაინიშნა ამხ. პეტრე სამსონიძე (ქუთათელაძე).

შემთხვევები.

— **მოურიდებელი შოფერი.** ორშაბათს, 3 მარტს, ავტომობილი № 104 (შოფერი სოლიკო ნაზარიევი) მოურიდებლობის გამო დაეჯახა 15 წლის ბავშვს გიორგი ელიაშვილს, რომელიც ძლიერ დაზიანდა.

— **ქურდობა.** 4 მარტს, საღამოს 8 საათზე, ლენინის ქუჩა № 26 გაქურდული იქნა ნინო წილანიშვილის ბინა, წაღებულია 171 ჩერვ. ნივთები.

— 4 მარტს, საღამოს 7 საათზე კამოს ქ. № 93, მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდული იქნა მოქ. ხოზენ სიმონის ძე მარკოზოვის ბინა, სადაც წაიღეს 85 მან. ჩერვ. ნივთები.

— 3 მარტს, ღამით თომას ქუჩა № 30 გაქურდული იქნა მოქ. ევა ბილანიშვილის ბინა, საიდანაც წაღებულია სხვადასხვა ნივთები ღირებული 150 ჩერვ. მან.

— **აფერისტული გზით.** 3 მარტს, პავქვაძის ქ. № 13, მოქ. პავლე ვიქტოროვს ვინმე აფერისტმა ცოტა ავეტისიანმა გამოსტყუა ბრილიანტის ბეჭედი.

ხელოვნება

დისკუსია თანამედროვე თეატრზე.

(პროლეტარულ მწერალთა კავშირის წევრის შ. დუდუჩავას მოხსენება).

ოთხშაბათს ხელოვნების სასახლეში გაიმართა ხელმეორე დისკუსია თანამედროვე თეატრის შესახებ. წინა დისკუსია ეხებოდა მხოლოდ ქართულ თეატრის და განსაკუთრებით კორპორაცია „დურუჯის“—საკითხს. ამ დისკუსიის დანიშნულება კი უფრო ფართო და პრინციპიალური იყო, ამიტომაც კამათს არ მიუღია ისეთი სახე, როგორიც პირველ დისკუსიაზე.

ვრცელი მოხსენებით „თანამედროვე თეატრის პრობლემებზე“ გამოვიდა პროლეტარულ მწერალთა კავშირის წევრი ამხ. შურა დუდუჩავა. პირველად მომხსენებელი შეეხო ზოგადთეორეტიულ მოსაზრებებს თეატრზე და აღნიშნა, რომ ეხება თეატრის ისტორიას, და აგრეთვე თეატრის კავშირს სოციალურ რევოლიუციასთან.

თეატრის კრიზისის ერთ მიზეზად მომხსენებელი აღიარებს დისჰარმონიას დრამატურგიასა და თეატრის ფორმებს შორის.

ის ამბობს, რომ პროლეტარიატისათვის მისაღებია ისეთი თეატრი, რომელიც ხელს შეუწყობს მშრომელ მასის რევოლიუციონურ ფსიქოლოგიის დადებითად შემუშავებას, აქედან მისაღებია ისეთი პიესები და რეპერტუარი, რომელშიაც იდეა მისაღებია და განხორციელებულია სცენაზე ფორმასთან ჰარმონიით.

გადადის რა თანამედროვე რეპერტუარის საკითხზე, მომხსენებელი სცნობს, რომ იგი მიუღებელია ქართველი მშრომელი მასისათვის.

მოხსენების შემდეგ იმართება კამათი. ამხ. რ. კალაძე აკრიტიკებს თანამედროვე ქართულ მწერლობის აზრს თეატრზე.

ბ. ძლენტი როგორც ფუტურისტი, სცნობს აუცილებლობას ფორმის ძლევისას შინაარსზე, იწონებს მეერხოლდის თეატრს (რადგან იგი უახლოვდება ცირკს) და აყენებს საკითხს სცენის და აუდიტორიის გაერთიანების შესახებ.

შემდეგ სიტყვით გამოდის კ. გამსახურდია, რომელიც აყენებს „თეორიას“ ხელოვნების ზეკლასიურობის და „საშინდისას“.

შემდეგ ილაპარაკეს კ. კაპანელმა, გრიშაშვილმა და მეტრეველმა.

მომხსენებელმა ვრცელ საპასუხო სიტყვაში გასცა პასუხი ყველა ოპონენტებს.

დისკუსიას დიდძალი ხალხი დაესწრო.

დ.

მოწაფეთა სიმფონიური კონცერტები სახელმწიფო კონსერვატორიაში.

სახელმწიფო კონსერვატორიაში მოწაფეთა საკონცერტო სეზონი ისევ განახლდა.

იპოლიტოვ-ივანოვის ხელმძღვანელობით შესდგა სამი კონცერტი. კონცერტებში მონაწილეობა მიიღო მოწაფეთა ორკესტრმა.

შესრულებული იყო გაიდნის და ბეთხოვენის სიმფონიები და მენდელსონის სიმფონიური ნაწარმოებები. სკრიპკის კლასიდან სოლისტათ გამოვიდა მოწაფე იაკობ ბროდსკი (პროფ. ლუდნიკის კლასი), რომელმაც შესრულა ბეთხოვენის ძნელი კონცერტი. ბროდსკი ნიჭიერი მოწაფეა. სჩანს კარგი სკოლაც. შესრულება სრულიად დამთავრებულია.

ფორტეპიანოს კლასიდან გამოვიდა მოწაფე როსტომბეკოვი (პროფ. ტრუსკოვსკის კლასი), რომელმაც შეასრულა ლისტის კონცერტი. შემსრულებელი მეტად ნიჭიერი ახალგაზრდაა: მან გვაჩვენა განვითარებული ტეხნიკა და მუსიკალური გემოვნება. შესრულებას რამოდენიმეთ აკლია ტემპერამენტი.

მოწაფე კაზარიანმა (პროფ. ტერ-სტეფანოვის კლასი). შეასრულა რახმანინოვის მშვენიერი კონცერტი. კაზარიანმა გვაჩვენა დიდი გემოვნება მუსიკალურ მოტივების და განვითარებული ტეხნიკა.

ვიოლინოს კლასიდან გამოვიდა მოწაფე მალუნცევი (პროფ. ცოვიანოვის კლასი, წინეთ პროფ. მინიართან იყო), რომელმაც შეასრულა ჩაიკოვსკის „როკოკოს“ ვარიაციები. მოწაფეს ეტყობა უტყუარი ნიჭი.

სკრიპკის კლასიდან გამოვიდა აგრეთვე მოწაფე რეიმეროვი (პროფ. ვილშაუს კლასი). რეიმეროვმა გამოიჩინა მუსიკალობა, ლამაზი (თუმცა პატარა) ტონი და განვითარებული ტეხნიკა.

მოწაფე ჯანუმოვმა (პროფ. ცოვიანოვის კლასი) შეასრულა დვორჟაკის ვიოლინოს კონცერტი. მოწაფეს ახასიათებს დიდი მუსიკალობა.

სიმღერის კლასიდან გამოვიდა მოწაფე ქალი მამამთავრიშვილი (მასწავლებელ ქალის რეზნიკოვას კლასი). ის თითქმის უკვე ნამდვილი მომღერალია, მას ლირიულ-დრამატიული, ხმოვანი და ფართო დიაპაზონის სოპრანო აქვს. სჩანს მუსიკალობა და ხმის ტეხნიკა. კარგია სკოლაც.

ჰ. ზეზუთოვი.

მარო მდივანის იუბილე ბათუმში

კვირას, 2 მარტს, აკადემიურ თეატრში გაიმართა დამსახურებულ მსახიობის მარო მდივანის იუბილე. საიუბილეოთ მსახიობმა აირჩია ვ. შალიკაშვილის კომედია „ბიუროკრატები“. პიესა მეტად მხიარული და დამახასიათებელია თვითმპყრობელობის დროის უმაღლეს მოხელეთა გარყვნილი ცხოვრებისა.

იუბილიარმა კოკოტკას როლი მშვენივრად შეასრულა, რაშიც ანსამბლი ხელს უწყობდა.

პიესის დასრულების შემდეგ გაიმართა საიუბილეო კომიტეტის სხდომა ამხ. ა. ქავთარაძის თავმჯდომარეობით.

დამსახურებულმა მსახიობებმა ალ იმედაშვილმა და ვ. რონელმა გამოიყვანეს იუბილიარი.

სახკომსაბჭოს სახელით ამხ. ა. ქავთარაძემ მიულოცა 25 წლის სცენაზე მოღვაწეობის დღესასწაული და მიართვა აჭარისტანის რესპუბლიკის სახალხო მსახიობის წოდება. შემდეგ მიულოცა განათლების კომ. სახელით ამხ. ი. ასკურავამ, რომელმაც მოკლე სიტყვაში დაახასიათა იუბილიარის მოღვაწეობა. პროფკავშირთა საბჭოს სახელით ადრესი მიართვა ამხ. გრ. გარაყანიძემ. მილოცვები იყო აჭარისტანის ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან.

დასასრულ საიუბილეო სხდომის თავმჯდომარემ საპასუხო სიტყვა მისცა თვით იუბილიარს მარო მდივანს, რომელმაც ღელვებით შედგენილ სიტყვაში გულწრფელად უამბო საზოგადოებას, თუ როგორ უყვარდა ბავშვობიდან სცენა და როგორ განხორციელდა მისი იდეალი. მან მადლობა გადაუხადა საზოგადოებას და აღუთქვა სამსახური ქართულ სცენის ასაყვავებლათ სანამ ძალა შესწევს.

იუბილიარს დიდძალი საჩუქრები მიართვეს.

— **მთავარი სახელოვნო კომიტეტი.** საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა მთავარი სახელოვნო კომიტეტის შემადგენლობა: დ. კანდელაკი (თავმჯდომარე), გრ. რობაქიძე (თავმჯდ. მოადგილე), წევრებად: იგნატიევი, ს. ქურიძე, ა. მიქაძე, კასიანი, ი. გედევანიშვილი, მ. ბალანჩივაძე, კ. მარჯანიშვილი, კ. მაყაშვილი და ვ. სვიმონიშვილი.

— **სარეპერტუარო კომისია.** სრ. საქ. სახ. კომისართა საბჭომ დაამტკიცა სარეპერტუარო კომისია ამხ. მურმანიშვილის, გრ. რობაქიძის, კახიანის, არ. მიქაძის და გედევანიშვილის შემადგენლობით.

— **ან. ერისთავი-ხოშტარიას იუბილე.** ან. ერისთავი-ხოშტარიას იუბილეს მომწყობი კომიტეტი აცხადებს იმ კულტ-დაწესებულებების საყურადღებოთ, რომლებსაც სურთ იუბილეში მონაწილეობის მიღება, წინასწარ განაცხადონ ამის შესახებ საიუბილეო კომიტეტში.

— **ლ. სუხიშვილის სახელობის კლუბში.** დღეს, 7 მარტს ლ. სუხიშვილის სახელობის წყალსადენის მუშათა კლუბში მსახიობ ნიკო გოცირიძის მონაწილეობით გაიმართება ფასიანი წარმოდგენა კლუბის მოწყობის ფონდის გასაძლიერებლათ.

— **სამხატვრო სტუდია.** 10 მარტს პლეხანოვის სახელობის კლუბთან გაიხსნება სამხატვრო სტუდია მუშებისათვის. სტუდიაში დაახლოებით იმეცადინებს 40 მუშა.

— **სამუსიკო მუშათა ფაკულტეტი.** ლენინის რაიონში არსებული სამუსიკო მუშათა ფაკულტეტი მიმაგრებული იქნა პლეხანოვის თეატრზე ყველა კლასებით.

— **კ. მარქსის სახელობის კლუბი ალავერდში.** ალავერდში კ. მარქსის სახელობის კლუბთან მოეწყო სამხედრო ორკესტრი. ამავე კლუბში ახლო ხანში მოეწყობა კინო-ლექციები და წარმოდგენები გაიმართება სისტემატიურად.

— **ლენინის ოთახი.** პლეხანოვის სახელობის კლუბის გამგეობამ გადასწყვიტა აღნიშნულ კლუბთან მოაწყოს „ლენინის ოთახი“.

— **წარმოდგენის განთავისუფლება საპროცენტო გადასახადისაგან.** ქ. აღმასკომმა გაანთავისუფლა ქალაქის სასარგებლოდ 10 პროცენტიან გადასახადისაგან საბჭოთა მუშაკების კავშირის მიერ 27 თებერვალს გამართული წარმოდგენა პატარა თეატრში.

— **ქართული არქიტექტურის გამოფენა.** საქართველოს მუზეუმის დარბაზში გაიხსნა ქართული ძველი არქიტექტურული ძეგლების გამოფენა. გამოფენა ღია იქნება 16 მარტამდე. შესვლა უფასოა.

— **ნ. მანშტეინის უკანასკნელი კონცერტი.** დღეს, სახ. კონსერვატორიაში გაიმართება უკანასკნელი კონცერტი სკრიპკაზე დამკვრელის ნ. მანშტეინის.

— **სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის ტრადიციული საღამო.** ორშაბათს, მარტის 10 ს, რუსთაველის თეატრში და მის ყველა დარბაზში გაიმართება დიდი საღამო-კაბარე სახელმწიფო სათეატრო ინსტიტუტის მსმენელთა სასარგებლოთ.

სამხატვრო ნაწილს განაგებენ: კ. მარჯანიშვილი, ალ. ახმეტელი, აკ. ფალავა, მ. ჟორელი და კ. ანდრონიკაშვილი.

დღეს თეატრებში.

— **ოპერა**—„გუგენოტები“.

— **დრამა.** თურქული წარმოდგენა.

— **სახალხო სახლი.** ქართული წარმოდგენა.

ქალთა საერთაშორისო დღისათვის

მიტინგების და წარმოდგენების ჩატარების წესი.

1 ლი რაიონი:

1. კომკავშირის კლუბი (მუშტაიდი) — მომხს. ბრომიკერი.
2. მეოცდაერთე სკოლა, საღამოს 6 ს.—მომხს. ამხ. ს. ორჯონიკიძე.
3. რკინისგზელთა კლუბი — მომხს. ამხ. ლებედევა.
4. ნაძალადევის თეატრი — მომხს. ამხ. ულიავა.
5. ორჯონიკიძის სახელობის კლუბი — „ „ ელიაბედაშვილი.

მეორე რაიონი:

1. კოლოფების ქარხანა — „ „ ივანიანი.
2. როზა ლიუქსემბურგის სახ ქარხანა — „ „ კოგანი.
3. კომკავშირის კლუბი — „ „ ნაზაროვა.
4. ხაზინის კლუბი — „ „ ქაცარავა.
5. ცენტრალური მუშათა კლუბი — „ „ ლომინაძე.
6. ჯანმრთელობის კომისარიატი — „ „ კაშალოვა.
7. ჩოდრიშვილის სახელობის კლუბი— „ „ მაშა ორახელაშვილი.

მესამე რაიონი:

1. ავლაბრის კლუბი — მომხსენებლები: ვართაპეტიანი, ფირალოვა, ეხიანი.
2. მეცხრე პოლკის კლუბი. — მომხს. ამხ. ივანიანი.
3. ქალაქის საავადმყოფოს კლუბი — „ „ გარგალაჯევა.
4. ნავთლუღის რაიონის კლუბი — „ „ მაგილევსკა.
5. ლენინის სახელობის კლუბი — „ „ ალექსელოვა.
6. ნარიმანოვის სახელობის კლუბი (თურქულ ენაზე) მომხს. ამხ. გუსეინოვა.
7. პირველი ცხენოსანი რაზმის — „ „ მამულიაშვილი.
8. პირველი ქვეითა რაზმის — „ „ ტალახაძე.
9. გამასწორებელი სახლი — „ „ ზაკარიანი.
10. მეტეხი — „ „ რუხაძე.

მეოთხე რაიონი:

1. მშენებელთა კლუბი — „ „ კოსტანიანი.
2. ლენინის სახელობის ქარხანა — „ „ ოკუჯავა.
3. ცეცხლის მქრობელთა კლუბი — „ „ ლეინ.
4. მუშფაკის კლუბი (რუსულ ენაზე)— „ „ ნოვიკოვა.
5. მზრუნველთა კლუბი — „ „ კახიანი.
6. ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს თანამშრ. კლუბი— „ „ ბახტაძე.
7. სახალხო კავშირის კლუბი (კინო „სოლეი“) „ ათარბეკოვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები გაწვეული არიან მოხსენებების გასაკეთებლათ ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის მიერ და პარტიული დისციპლინის ძალით ვალდებული არიან ცალკე გაუფრთხილებლათ წავიდენ დანიშნულ ადგილებზე.

მიტინგ-წარმოდგენების დასაწყისი 8 საათზე.

ტფილისის კომიტეტის მდივანი: **რუხაძე.**

8 მარტს, საღამოს 7 საათზე, რუსთაველის თეატრში შესდგება ქალ. ტფილისის მუშა-ქალთა, მუშათა ორგანიზაციების, ახალგაზრდობის კომკავშირის და წითელი არმიის წარმომადგენელთა **საზეიმო სხდომა.**

დღის წესრიგი:

1. მისალმებები: ცაკის, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცეკას. ახალგაზრდობის კომკავშირის ტფილისის კომიტეტის, საქართველოს პროფკავშირთას აბჭოსი, წითელი არმიის, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილების, საქართველოს კომპარტიის ცეკას და ტფილისის კომიტეტის.
2. ამხ. მარიამ ორახელაშვილის მოხსენება მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის შესახებ.
3. წითელი დროშის გადაცემა ქართული დივიზიისათვის.

საზეიმო სხდომის შემდეგ შესდგება წარმოდგენა და კონცერტი.

კომისია.

კავშირების ყველა ცენტრალურ გამგეობებს

ამხ. ლენინის ერთ-ერთ ანდერძს, რომელიც მან დაუტოვა პროლეტარიატს, წარმოადგენს ზრუნვა უპატრონო ბავშვებზე.

8 მარტს (4 საათზე) რუსთაველის თეატრში გაიმართება უპატრონო ბავშვთა დამხმარე საზოგადოების წევრთა საერთო დამფუძნებელი კრება; საზოგადოება მიზნად ისახავს:

1) ბრძოლას ბავშვთა უპატრონობასთან, სიღარიბესთან, და დეფექტიანობასთან, საშუალებების შეგროვების და განათლების სახალხო კომისარიატისათვის დახმარების გზით სათანადო ორგანიზაციების მოწყობაში.

2) იმ ბავშვთა მდგომარეობის გაუმჯობესებას, რომლებიც ცხოვრობენ მშობლებთან, რომელთაც არ ძალუძთ მათი გამოკვება.

3) დახმარებას უპატრონო მცირეწლოვანთათვის მათთვის მუდმივი და უზრუნველყოფილი სამუშაოს გამოძებნის საქმეში, შრომის სასოფლო-სამეურნეო კომუნების, სახელოსნოების და სხვ. შექმნას.

4) დახმარებას იმ დედებისათვის, რომელთაც ჰყავთ ძუძუ-მწოვარა ბავშვები.

საზოგადოება ეწყობა საქართველოს კომპარტიის ცეკასთან არსებულ კომისიასთან, რომელიც მიზნათ ისახავს ბავშვთა ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებას. საზოგადოების გამგეობაში შევლენ ცაკის კომისიის, ქალთა განყოფილების წარმომადგენლები და იმ პირთა ერთი მესამედი, რომლებიც არჩეული იქნებიან წევრთა საერთო კრებაზე.

პროფკავშირები [illegible] დაინტერესებული არიან ასეთი საზოგადოების მოწყობით [illegible], მათ უნდა გამოიჩინონ მაქსიმუმი ენერგიისა ამხ. ლენინის ანდერძის განსახორციელებლად ამ მიმართულებით.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს საორგანიზაციო განყოფილება წინადადებას გაძლევს თქვენ თავის დროზე აცნობოთ ყველა საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებს-ადგილკომებს საზოგადოების ამოცანები და მოუწოდოთ მათ მიიღონ აქტიური მონაწილეობა საზოგადოების მოწყობაში, წარმოებების და დაწესებულებების მუშა მოსამსახურეების წევრებათ ჩაწერის ჩატარების გზით.

საზოგადოების წევრების ჩაწერა მოხდება 8 მარტს.

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოს მდივანი: ატოევი.
საორგანიზაციო განყოფილების გამგის მოადგილე: მაიტაროვი.

კოოპერატიული სექციის გახსნა

მუშა-ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, საქ. კომპარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება და ტფილისის მთლიანი მუშათა კოოპერატივი მუშა-ქალთა დელეგატების ყრილობასთან ხსნიან კოოპერატიულ სექციას.

სექციის გახსნა მოხდება პარასკევს, 7 მარტს, საღ. 7 საათზე, მთლიან მუშათა კოოპერატივის შენობაში (კირკის ქ. № 7).

დღის წესრიგი:

1) მისალმებანი, 2) მოხსენება სექციის ამოცანების შესახებ, 3) სექციის დებულების დამტკიცება, 4) ბიუროს არჩევნები.

სექციის გახსნაზე მოწვეული არიან: საქ. პროფკავშირთა საბჭო, კომპარტიის ტფილისის კომიტეტი, ცეკას ქალთა განყოფილება, ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტი, ქალთა განყოფილებები, რაიონების ქალთა განყოფილებების გამგეები და ქ. ტფილისის დელეგატი ქალები, რწმუნებული ქალები, რაიონთა საჭიროების კომისიების წევრები და მუშკოოპის გამგეობის კანდიდატი ქალები (ამხ.: მიხაილოვა, ბაქრაძე, ამერიძე, ეფიმოვა, ბოიკო, იაროვსკაია, ქედიტოვა, ფარსადანოვა, ჩიხლაძე, ართიდიოვა, გრიდინბერგი, სურკოვა, გოიდიანა, ბექთაბეგოვა, ორლოვსკაია, კაჯირაშვილი, სტანიშევსკაია, გავრილენკო, ტრევსკაია, იარალოვა, ლუნკინა, კაზაროვა, გოლუბევა, ლობაჩევა, ტანტოვა, შავერდოვა, კატანიანი, ბუდინსკაია, ცქიტიშვილი, ხარებოვა, კალაძე, მოდებაძე, ხაჩატურიანი, გოლუბევა, შამათოვა, რასსოხინა, სუდაკოვა, მორიცი, შიუკოვა, ივლიევა, შამაროვა, კომრაკოვა, ცატუროვა, პანტიუხოვა, დოლიჩვა (ლიუქსემბურგის სახ. ქარხანა), გრეისი, მესხიოვა, ულიკოვა, ყაზახოვა, ზებეცკა, კოზლოვა, ეფიმოვა, კაჭარავა).

დასახელებულ ამხანაგების გამოცხადება სავალდებულოა. გარდა ამისა მოწვეულნი არიან სხვა კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ არჩეული ქალები და კოოპერატივთა თანამშრომელი ქალები.

მისაბაძი მაგალითი

სტამბა „წითელი მხედარი“-ს მუშა-მოსამსახურეებმა ლენინის სახელობის დედათა და ბავშვთა № 1 სახლის, „კომუნიზმის ყვავილის“, როგორც თვით მუშებმა უწოდეს ამ სახლს, ყოფა ცხოვრების გასაუმჯობესებლად გადასდვეს ნახევარი დღის ნამუშევარი 27,247,000,000 მან.

აღნიშნული თანხა ჯან. სახ. კომისარიატის დედათა და ბავშვთა ჯან. დაცვის განყოფილებამ მიიღო და გადასცა დანიშნულებისამებრ.

თვის წვლილით „წითელი მხედარი“-ს მუშა-მოსამსახურეებმა ნათლად გვიჩვენეს, თუ რამდენათ ცხადია და გასაგებარი, რომ დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს შეუძლია იარსებოს და განვითარდეს მხოლოდ თვით მუშების აქტიური მონაწილეობით.

ჯან. სახ. კომისარიატის დედათა და ბავშვთა ჯან. დაცვის განყოფილება სთვლის თავის ზნეობრივ მოვალეობათ გამოუცხადოს გულწრფელი მადლობა სტამბა „წითელი მხედარი“-ს მუშა-მოსამსახურეთ

ჯან. სახ. კომისარიატის დედათა და ბავშვთა ჯან. განყოფილების გამგე ნ. მარკოზოვი.

კინო

ცოლქმრობის ჰიგიენა და სქესობრივი საკითხი

პროლეტარიატი ისახავს მიზნათ კლასობრივი ჩაგვრის მოსპობას, ახალი წყობილების დამყარებას. მაგრამ ახალ წყობილებას ესაჭიროება ახალი ადამიანი, ფიზიკურად განახლებული კაცობრიობა. ბურჟუაზია ფიზიკურათ ისევე დამპალია, დაავადმყოფებულია როგორც კაპიტალისტური მეურნეობა.

როდესაც პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდში ეს წყობილება სამუდამოთ ჩაბარდება ისტორიის არქივს, ამავე პერიოდში უნდა მომზადდეს ფიზიკურად განახლებული კაცობრიობა. ის უნდა მოამზადოს პროლეტარიატმა, მუშათა კლასმა.

ამ მხრივ პროლეტარული სახელმწიფოს ჯანმრთელობის კომისარიატი არის მომავალი კაცობრიობის ლაბორატორია.

პროლეტარული სახელმწიფო იბრძვის პროფესიულ ავადმყოფობათ მუშათა კლასში, ჰქმნის ისეთ პირობებს (სანატორიუმების, საავადმყოფოების, დასასვენებელი სახლების გახსნით), რომ მუშათა კლასი ფიზიკურად ძლიერი და ჯანსაღი იყოს. პროლეტარული სახელმწიფო ზრუნავს ბავშვებზე, მსოფლიოს მომავალ მოქალაქეებზე, ცდილობს, რომ ისინი ფიზიკურად და სულიერად ავადმყოფები არ გამოვიდნენ.

მაგრამ იმისთვის, რომ შეიქნეს ფიზიკურად ჯანსაღი თაობა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ცოლქმრობის ჰიგიენას. ცოლმა და ქმარმა უნდა იციოდნენ, თუ რა არის სქესობრივი ცხოვრება, მათ უნდა იცოდნენ სქესობრივი ორგანოების აგებულება. ჩვენს პროლეტარულ სახელმწიფოში ამ საკითხს დიდი ყურადღება ექცევა: მუშათა კლუბებში და აუდიტორიებში იკითხება ლექციები და მოხსენებები.

მაგრამ ვერც ერთი ლექცია და მოხსენება ვერ შეედრება ცოცხალ მაგალითს.

ამ მხრივ პირდაპირ შეუდარებელია სურათი „ცოლ-ქმრობის ჰიგიენა და სქესობრივი საკითხი“, რომელსაც უჩვენებენ „კინო პალასში“.

1) ქორწინების დროს ავადმყოფობის დამალვა—დანაშაულია, 2) მხოლოდ ჯანსაღებს აქვთ ქორწინების უფლება, 3) სქესობრივი საკითხი არ უნდა შეადგენდეს საიდუმლოებას, 4) ფეხმძიმობა და ბავშვის დაბადება—ბუნების უმნიშვნელოვანესი მოვლენებია, 5) ცოლ-ქმარის ბედნიერება—ჯანსაღი ბავშვი,—ასეთია ცოლქმრობის ჰიგიენის 5 მთავარი მცნება და ეს არის დამტკიცებული თავიდან ბოლომდე ხსენებული სურათში.

სურათი შესრულებულია ბერლინისა და ვენის ცნობილი პროფესორების: რუზენსკა (საბებიო კლინიკა), ვაგნერი (ქალთა სნეულების უნივერსიტეტის კლინიკა), ფრანკლი (პატალოგ-ანატომი), მოლლი (ქალთა დაცვის განყოფილება), ტანდლერი (ქორწინების რჩევა-დარიგებათა ბიურო ვენაში) მონაწილეობით.

სურათს ფართო საზოგადოებრივი ინტერესი აქვს. თითოეული ნაწილი ყველასათვის გასაგებია.

ეს სურათი უნდა ნახონ ტფილისის ყველა მშრომელებმა.

ამ სურათის მეორე სერიას: „ბავშვის მოვლა, სქესობრივი ავადმყოფობანი“, ტფილისში ახლო ხანში უჩვენებენ.

N.

მუშათა ცხოვრება

ბეჭდვითი სიტყვის ექსპედიციის საყურადღებოთ.

უკანასკნელ დღეებში „კომუნისტის" ხელისმომწერნი (პუშკინის ქუჩაზედ მცხოვრებნი) გაზეთს ვღებულობთ არა უადრეს 10—11 საათისა. წინეთ კი ვღებულობდით არა უადრეს 9—10 საათისა. მუშა-მოსამსახურისათვის, ეს დრო გაზეთის მიღებისათვის უდრის მთელი დღის განმავლობაში გაზეთის წაუკითხველობას. სამ საათზე სამსახურიდან შინ დაბრუნებულს მხოლოდ 5-6 საათზე თუ შეგვეძლება გაზეთის ხელში აღება, რაც უდრის უკვე თითქმის მეორე დღის ცნობების კითხვას. კერძოთ გასაყიდათ კი გაზეთი დილით ადრე ყოველთვის ხელმისაწვდომია. ამიტომ გაზეთის გამოწერას აზრი ეკარგება. კიდევ კარგი, თუ ეს მარტო ჩვენს უბანში ხდება. საჭიროა ამას მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და გაზეთის მიღება შეგვეძლოს დილის 8 საათზე მაინც, რომ სამსახურში წასვლამდე შევძლოთ ცნობების გადათვალიერება.

ხელისმომწერი. *)

---

*) ჩვენ ვიღებთ მხედველობაში ამხ. ხელისმომწერის სამართლიან მოთხოვნას. ექსპედიცია ცდილობს და შეეცდება მომავალშიაც, რამდენადაც ამის საშუალებას მოგვცემს გაზეთის ბეჭდვის ტეხნიკური პირობები, რათა ქალაქის ხელისმომწერთ გაზეთი მივაწოდოთ რაც შეიძლება ადრე სამსახურში წასვლამდი.

რედაქცია.

უნდა გამოსწორდეს.

სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის და მეორე რაიონის მეტყევეთა ადგილკომის საყურადღებოდ.

შვიდი თვეა, რაც არსებობს ტფილისში ინვალიდების ფეხსაცმელების სახელოსნო „კომუნა". ეს სახელოსნო სოც. უზრუნველყოფის კომისარიატის ხელმძღვანელობით გაიხსნა, რომელსაც სათანადო თანხაც კი მისცა აღნიშნულ კომისარიატმა. ამ სახელოსნოს მიზანი ის იყო, რომ იმ ინვალიდებს, რომელთაც სურვილი ჰქონდათ ხელობა ესწავლათ (მეჩექმეობა), მიეცათ საშუალება ამისა. ის ინვალიდები, რომელნიც დაინტერესებული იყვნენ ამაში, კიდევაც ისწავლეს, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო მათთვის. ეს სახელოსნო უფრო კარგად მოეწყობოდა, რომ მას სათავეში მეტყევეთა კავშირი ჩასდგომოდა. სახელოსნოს ყავს ინსტრუქტორი და გამგეც. პირველი ასრულებს თავის მოვალეობას, რამდენადაც ეს მას შეუძლია. ის ასწავლის ინვალიდებს, რაც თვითონ იცის. მას აქვს დაკისრებული მეორე მოვალეობაც (ფეხსაცმელების) ზომის აღება და კალაპოტის გაზომვა, ამით, უკმაყოფილო არიან მუშტრებიც, რომლებსაც დროზე არ ბარდებათ შეკვეთა. რაც შეეხება გამგეს, ის სრულებითაც ვერ ასრულებს თავის მოვალეობას მიუხედავათ იმისა, რომ მას ყოველმხრივ ხელს უწყობს სოც. უზრუნველყოფის კომისარიატი კრედიტების და სხვა მრავალ საშუალებით, რომლითაც ის სარგებლობს. სახელოსნოში მაინც არ არის დასამუშავებელი საქონელი და არავინ იცის, რას ხმარდება ეს კრედიტები.

საჭიროა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება თვით სოც. უზრუნველყოფის კომისარიატმა. ამავე სახელოსნოში მუშაობენ არა ინვალიდი მუშები სხვა კავშირის წევრები; ამათი მუშაობიდანაც ინვალიდები სწავლობენ ხელობას. ეს მუშები აქ იყვნენ გამოგზავნილი კავშირისაგან იმ პირობით, რომ შედარებით ნაკლებ ფასებში უნდა ემუშავათ, ინვალიდთათვის ეს ზნეობრივი დახმარება იყო კავშირისაგან მათდამი, მაგრამ გავიდა აგერ 7 თვე და გამგე ეხლაც უარზე დგას. ამ მუშებს არა აქვთ ალარც ხელფასი და არც დაზღვეული არიან ისინი. ასე უპატრონოდ ვართ მიტოვებული. ჯერ ისედაც შედარებით მცირე ხელფასზე მუშაობა და მეორედ, რასაც ვმუშაობთ. იმასაც ვერ ვიღებთ თავის დროზე; ასე გაწვალებით ვმუშაობთ. მუშას, რომელსაც ერგება 6 მან, ბ. გამგე გადაუგდებს მხოლოდ 1 მან. საჭიროა ყოველივე ამის გამოსწორება.

მუშკორი ა. ხირაძე.

გარყვნილების პრიტონები უნდა მოისპოს.

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

სადგურის პირდაპირ, საბაჟოს ქუჩაზე, ყოვლად შეუძლებელია სალამოთი მაინც, პატიოსან ქალის გავლა, ვინაიდან ეს ადგილი გადაქცეულია როსკიპ ქალების ბირჟად. მათი ამყოლი გახრწნილი კაცები სხვასაც აყენებენ სიტყვიერ შეურაცხყოფას. აქვე უხდებათ მოწაფე ბავშვებს სიარული და ისინი ხშირად ხდებიან ამ საზიზღარ სურათების მოწმენი.

აქვე მდგომი მოდარაჯე მილიციელიც უეჭველია ხედავს ყოველივე ამას, მაგრამ არავითარ ზომებს არ ღებულობს მის ალსაკვეთად. შეუძლებელია მან არ დაინახოს ის სურათი, როდესაც იქვე, რომელიმე რესტორანში, არყით გამომთვრალი ქალები—„კავალერებით" უშვერი სიტყვებით უმასპინძლდებიან ქუჩის ერთი მხრიდან მეორე მხარეზე ერთმანეთს.

აქვე ვაგზლის ქუჩაზე, ანდრეევის კუთხეში არის სასტუმრო „ოდესა", რომელიც აშკარა საროსკიპო სახლს წარმოადგენს. პროვინციიდან ჩამოსული, დაღლილი, ღამე ნატეხი პირი ვერასდროს ვერ იშოვნის იქ ბინას, გარყვნილებისათვის კი მუდამ ღიაა ამ „სასტუმროს" კარები—მგონია, ისეთ უმუშევრობის დროს, რომელიც ლოდად აწევს ჩვენს რესპუბლიკას, სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, დანაშაულობა იქნებოდა, რომ ისეთი პირები, როგორიც ამ სასტუმროების მოიჯარადრეები არიან და განცხრომით სცხოვრობენ, დაუსჯელად განაგრძობდნენ თავიანთ საზიზღარ საქმეებს მაშინ, როდესაც შრომის და ომის ინვალიდები და საზოგადოდ უმუშევრები სიმშილობენ. ეს მართლაც, რომ დაუშვებელია.

საჭიროა ამ გარემოებას ყურადღება მიაქციოს ქალაქის აღმასკომმა და ასეთი გარყვნილების პრიტონ-რესტორნები და „სასტუმროები" ჩამოართვას პატრონებს მათი სასტიკ პასუხისგებაში მიცემით და სასტუმროები გადაცემულ იქნეს სხვადასხვა შრომის არტელებზე. ამას მოითხოვს სამართლიანობა. ვფიქრობთ, რომ ესეც მოხდება.

ინფორმატ. დ. მ.—ძე.

ჭიათურის მუშები მოითხოვენ ქალაქის სისუფთავეს.

(ჩვენი ჭიათურელი მუშკორისაგან).

ვისაც ამ ბოლო ხანებში უნახავს ჭიათურა,—ის აუცილებლად დამეთანხმება იმაში, რომ დღეს ჭიათურა უპატრონოდ არის მიტოვებული. ყოველ ფეხის გადადგმაზე შეხვდებით უსუფთაობას. ანტისანიტარული მდგომარეობა უმაღლეს წერტილს აღწევს. თუ ამას ბოლო არ მოეღო და არ გასუფთავდა ქალაქი—ხოლერა აუცილებელია. ქ. ჭიათურას იმდენი შემოსავალი მაინც აქვს, რომ მას ჰქონდეს აბანო და ჰყავდეს 20-მდე მეეზოვე, რომლებიც ყურადღებას მიაქცევენ ქალ. სისუფთავეს. საჩქაროდ უნდა დამთავრდეს დაწყებული აბანო. ჭიათურა უაბანოდ წარმოუდგენელია. დიდი ხანია, რაც წყალდიდობამ წალეკა დამბები და ხიდები. მან ბევრი სახლებიც დააზიანა. მათ შეკეთებაზე საჭიროა საჩქარო ზომების მიღება.

ჭიათურას დიდი შემოსავალი აქვს და საჭიროა ერთი მეოთხედი მაინც იხარჯებოდეს მის გასამშვენიერებლად; ჭიათურაში თავმოყრილია დიდძალი მუშა ხელი. ჩვენი მუშები სანიტარულ მხრით უნდა იქნენ უზრუნველყოფილნი. ყველა ამას დიდი ყურადღება უნდა მიექცეს. ადგილობრივი კომუნალური მეურნეობის განყოფილების მიერ. საჭიროა ადგილკომის ჩარევა ამ საქმეში, რომ ყველაფერი სასურველად მოგვარდეს.

მუშკორი იხარი.

პლეხანოვის სახელობის თეატრში

3 მარტს პლეხანოვის თეატრში შესდგა ლენინის რაიონის მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთა და ღარიბ მოსახლეობათა კრება. კრების მიზანი იყო ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე მუშაობის და მდგომარეობის გაცნობა. კრება გაიხსნა სალამოს 6 საათზე. კრებაზე ამხ. ჭიჭინაძემ გააკეთა მოხსენება. მომხსენებელმა ვრცლად გააცნო კრებას მთელი რიგი მუშაობისა, რომელიც სწარმოებს სადგურის მოსაწყობად. მან აგრეთვე აგვიხსნა, თუ რა პირობებში უხდებათ მუშებს მუშაობა, გვაჩვენა აგრეთვე პლანი სამუშაოსი. ამხ. ჭიჭინაძის შემდეგ იქაურმა მუშამ ამხ. ჩიჩირაშვილმა წარმოსთქვა სიტყვა, სადაც გამოსთქვა ის აზრი, რომ იქაური მუშები ბინის სივიწროვის და სიძვირის გამო აუტანელ მდგომარეობაში არიან და რომ მცხეთის ადმინისტრაცია სრულიად ანგარიშს არ აქცევს ამ გარემოებას, რის გამო რკ. გზის უფროსთან სწარმოებს მოლაპარაკება ყოველ დღე მუშა მატარებლის დანიშვნის შესახებ, რაც ერთმხრივ შეძლებას მოგვცემს ამ საკითხის მოგვარებისათვის, ხოლო მეორე მხრით კი შეძლება გვექნება უკეთესი მოხელეები შევძინოთ. ავჭალაში გვაქვს „მუშკოოპი", რომელიც შესაფერ ფასებში უშვებს საქონელს.

ამხ. ჭიჭინაძის მოხსენების გამო მიღებული იქნა შესაფერი რეზოლიუცია, სადაც კომზაჰესის მუშაობა ცნობილია დამაკმაყოფილებლად. კრება დაიხურა სალამოს 10 საათზე.

მუშკორი ჟაკ.

მუშათა ქრონიკა

— **უფასო კინო მუშებისათვის.** 3 მარტს პლეხანოვის თეატრში მოწყობილი იქნა უფასოდ ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე მუშაობის სურათების ჩვენება ეკრანზე. მუშები ბლომად დაესწრნენ.

— **მატარებელი მუშებისათვის.** რკინის გზის ადმინისტრაციასთან სწარმოებს მოლაპარაკება, რათა დანიშნული იქნეს „მუშა მატარებელი" ზემო-ავჭალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურზე მუშებისათვის.

— **ორკესტრი მუშებისათვის.** პლეხანოვის თეატრთან არსებობს სიმებიანი ორკესტრი. მსურველ მუშებს და მათ ოჯახის წევრებს შეუძლიათ ჩაეწერონ. ორკესტრს ჰყავს შესაფერისი ხელმძღვანელი.

— **მუშათა სამკითხველო.** ამ დღეებში მოწესრიგდება სტალინის კლუბთან არსებული სამკითხველო და დაიწყებს მუშებისათვის წიგნების მიღებას და გაცემას.

ხელი შეუწყოთ

დღეს, 7 მარტს, წყალსადენის მუშათა „ლადო სუხიშვილის სახელობის" კლუბში **დამსახურებულ მსახიობის ნიკო გოცირიძის** მონაწილეობით ადგილობრივ მუშა-მოსამსახურეთათვის დადგმულ იქნება ორი პიესა: 1 „ახირებული გენერალი" და 2 „ჭკუისა მჭირს"—ბილეთები გაიყიდება კლუბის სალაროში ხელმისაწვდომ (10 კ.,—50.) ფასებში. წარმოდგენის წმინდა შემოსავალი გადაიდება ხსენებულ კლუბის მოწყობის ფონდის გასაძლიერებლათ.

მუშკორი ათანასე განიძე.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

მელითონე მუშას.

თქვენ გვწერთ, რომ თქვენი ქვრივი და, რომელიც უსახსრობის გამო დიდ გაჭირვებას განიცდიდა, იძულებული გახდა ემუშავნა დაქირავებული შრომით და კიდეც გამონახა ასეთი სამსახური ერთ სახლში ბავშვთა მოსავლელად—შრომის ბირჟის გარეშე. ეხლა ჩვენ გვეკითხებით თქვენ, თუ არა შრომის ბირჟას უფლება მოხსნას თქვენი და სამსახურიდან.

პასუხი:

თანახმად შრომის სახ. კომისარიატის და სრ. რუსეთის პროფ.-კავშ. ცენტ. საბჭოს დადგენილებისა № 86—26.

(იხ. „კომუნისტი" № 62—1923 წ.) ყველა ის პირნი (მათთან თქვენი დაც), რომელნიც მიწვეულნი არიან სახლში მუდმივ სამსახურისათვის ბავშვთა მოსავლელად, როგორც მაგალითად—მზარეული ქალი, საპირფარეშო ქალი, ძიძა და მომვლელი, სამსახურში მიიღებიან შრომის ბირჟის გარეშე მათდამი პირადი ნდობით, მხოლოდ შემდეგში ისინი მაინც უნდა იქნენ რეგისტრაციაში გატარებულნი შრომის ბირჟაში.

ამხ. უმუშევარს.

თქვენ გვწერთ, რომ უკვე შესრულდა შვიდი თვე, რაც უმუშევრად ხართ; იყავით ჩაწერილი შრომის ბირჟაში უმუშევართა პირველ ჯგუფში; იყავით ბირჟიდან სამუშაოზე გაგზავნილი ორჯერ, მაგრამ თქვენ იმ სამუშაოებზე უარი განაცხადეთ, რის გამო შრომის ბირჟამ თქვენ გადაგრიცხათ უმუშევართა მეორე კატეგორიაში (ჯგუფში); ამით თქვენ რიგიც დაგეკარგათ და სამუშაოს გამონახვის ყოველივე იმედიც. ეხლა ჩვენ გვეკითხებით, ჰქონდა თუ არა შრომის ბირჟას უფლება, რომ დაეშვა თქვენ მიმართ ასეთი უსამართლობა.

პასუხი:

თანახმად სრულ. საქ. შრომის კომისარიატის ცირკულიარისა № 18—1924 წ 11 თებერვ.

(„კომუნისტი"—№ 42—1924 წ. 20 თებერ.)

თქვენ უნდა იცოდეთ ამხანაგო, რომ უმუშევართა პირველ კატეგორიიდან გადაირიცხებიან მეორე ჯგუფში ყველა ის უმუშევრები, რომლებიც არა საპატიო მიზეზებით (როგორიცაა მაგალ. სამუშაოსი არ ცოდნა, ავადმყოფობა და ასეთები) ორჯერ უარს განაცხადებენ მიწოდებულ სამუშაოზე. თუ კი ასეთ შემთხვევას თქვენ მაგალითში ადგილი არ ჰქონდა, თქვენ უფლება გაქვთ შეიტანოთ ბირჟაში სათანადო განცხადება თქვენი საქმის ხელმეორედ გადასარჩევად.

პროვინციაში

სოფ. სამწერისი (გორის მაზრა)

გორის მაზრის ქარელის თემში არის პატარა სოფ. სამწერისი. მცხოვრებთა რიცხვი სულ 40—50 მეკომურისაგან შესდგება. რევოლიუციის ხანამდე ეს სოფელი ძალიან მიყრუებულ ადგილს წარმოადგენდა. იქ არ არსებობდა არც სკოლა, არც ქოხ-სამკითხველო. რევოლიუციის შემდეგ სულ სხვა ელფერი მიეცა ამ სოფელს. აქ 1921 წლიდან დაარსდა პირველი საფეხურის სკოლა, რომლისათვისაც სოფლად განსაკუთრებული შენობა არ მოიპოვებოდა და ხან ერთსა და ხან მეორე ოთახში უხდებოდა სკოლის მოთავსება, მაგრამ ზოგიერთ მასწავლებელთა მეოხებით ეს სკოლა დღის ფეხზე დგას და მეცადინეობა გაჩაღებულია. სოფელმა განიზრახა ახალი შენობის აგება და კიდევაც დაიწყეს მუშაობა. აშენება მალე დამთავრდება და მომავალი წლისათვის შიგ მეცადინეობა დაიწყება. ამას გარდა ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციის სამაგალითო მუშაობით ბევრი რამე გაკეთდა ამ სოფლად 1921 წლის შემდეგ. დაარსებულ იქნა ქოხ-სამკითხველო, რომელსაც დიდი სარგებლობა მოაქვს მცხოვრებთათვის. მოდის სხვადასხვა ბროშურები და ჟურნალ-გაზეთები, როგორც კომკავშირის ისე კომპარტიის უჯრედებში, რაც გადადის ქოხ-სამკითხველოში. ამას გარდა სოფელმა თავისი ძალით გამოიწერა გაზეთი „კომუნისტი". სხვა მუშაობასთან ერთად მათ დიდი ღვაწლი მიუძღვით რელიგიურ ცრუმორწმუნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში. მათი აგიტაციის საშუალებით 1923 წლის მარტის თვეში მცხოვრებლებმა დაითხოვეს სამუდამოთ ღვდელი და დაცალეს ეკლესია, რომელიც კლუბათ უნდა გარდაექმნათ. 1924 წლის თებერვალში, დიდი შრომის შემდეგ, ყოფილი ეკლესიის შენობაში მოაწყვეს კლუბი. 23 თებერვალს ადგილობრივმა ძალებმა კლუბში მოაწყვეს სალამო—წარმოდგენა. წარმოდგენის შინაარსი იყო შემდეგი: „ენრიკო" სამ სურათიანი აგიტ-პიესა; „პროლეტარი ქალი"-დრ. ესკ, 1 მოქ. და „პარტია-პურტია" 1 მოქ. კომედია. სალამოს ამშვენებდა ზურნა, რომელიც შეაწყეს ს. კეხიჯვრის პარტამხანაგებმა და ადგილობრივი მუსიკა „გარმონი" დოლით. სალამოს დაესწრო თითქმის მთელი ახალგაზრდობა, როგორც ქალები ისე კაცები; დაესწრო აგრეთვე სოფ. კეხიჯვრიდან პარტიული და უპარტიო ახალგაზრდობა. წარმოდგენის დაწყებამდე მოქალაქე ბატკუაშვილმა გააცნო დამსწრეთ სარწმუნოების წარმოშობის მიზეზები, აგრეთვე გააცნო კლუბის მნიშვნელობა. შემდეგ შეეხო ამხ. ლენინის მოღვაწეობას და პიროვნებას. პარტიულ ამხანაგებმა იმღერეს სამგლოვიარო ჰიმნი. მოქმედების დამთავრების შემდეგ გაიმართა ცეკვა-თამაში. ეს სალამო დიდ მნიშვნელოვანი იყო როგორც პირველი მაგალითი ეკლესიაში წარმოდგენის მოწყობისა.

შალვა ჩრდილელი.

საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავი ჩოხატაურში

25 თებერვალს დაბა ჩოხატაურში მოწვეული იყო მიტინგი საქართველოს გასაბჭოების სამი წლის თავის აღსანიშნავათ.

მიუხედავათ იმისა, რომ წვიმიანი და ცივი ამინდი იყო, ხალხმა ბლომათ მოიყარა თავი.

მიტინგი შესდგა სახალხო სახლის დარბაზში. მიტინგს ხსნის რაიონული კომიტეტის სახელით ამხ. ფ. ცინცაძე და მოკლეთ აცნობს დამსწრეთ დღესასწაულის მნიშვნელობას.

ამხ. პროკოპე ელენტის წინადადებით მიტინგი ფეხზე ადგომით პატივს ცემს მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის ბელადის, დღეს უკვე გარდაცვალებულის ამხ. ლენინის ხსოვნას.

მომხსენებლათ გამოდის მაზრიდან გადმოგზავნილი ამხ. გრიშა ელენტი ის ვრცლათ ეხება და გასაგები ენით უხსნის დამსწრეთ, თუ რა იყო საქართველო სამი წლის წინათ და რა ხდებოდა საქართველოში მენშევიკების ბატონობის დროს.

შემდეგ ის დაწვრილებით მოუთხრობს ხალხს საბჭოთა ხელისუფლების აღმშენებლობითი მუშაობას სამი წლის განმავლობაში.

სალაპარაკოთ გამოდის ამხ. დ. კომახიძე. ის ეხება წითელი არმიის ღვაწლს რევოლიუციის წინაშე, მისი ექვსი წლის გმირულ ბრძოლას მშრომელთა დიქტატურის დასაცავად.

მიტინგმა მოხსენების შემდეგ გამოიტანა შესაფერი რეზოლიუცია.

ხეფე ცინცაძე.

საგლეხო კომიტეტების მოქმედება ოზურგეთის მაზრაში

მიუხედავად იმისა, რომ ახალი საქმეა გლეხთა საურთიერთო დამხმარე კომიტეტების დაარსება მთელ საქართველოში და ოზურგეთის მაზრაშიც, მათი მუშაობა ძლიერ დიდ ნაყოფს იძლევა. თვით სამაზრო საგლეხო კომიტეტმა ორი თვეა, რაც მოაწყო დიდი მანუფაქტურის და საწვრიმალო მაღაზია, რომლიდანაც ულარიბესი გლეხობა და საბჭოთა მოსამსახურეები იძენენ საქონელს შეღავათიან პირობებში, ვინემ კერძო სავაჭროებში. ამავე კომიტეტმა გახსნა სახარაზო სახელოსნო, სადაც მუშაობს ოცდა ხუთი მუშა ყოველდღიურათ, როგორც არტელი, რომლის საშუალებითაც შევსძლით შედარებით იაფ ფასებში მივაწოდოთ წაღები ულარიბეს გლეხკაცობას. ამავე სამაზრო კომიტეტმა აილო იჯარით ტყავის ქარხანა, სადაც უკვე ორ კვირაზე მეტია მუშაობა სწარმოებს. უნდა აღინიშნოს როდესაც ჩვენ მივიღებთ ჩვენივე ქარხნიდან დამზადებულ მასალას, ლაპარაკიც მეტია, რომ საშუალება მოგვეცემა დაკლებულ ფასებში მივცეთ გლეხობას ტყავეულობა. კომიტეტმა გახსნა თავისი განყოფილებები შემდეგ რაიონში და თემებში: ჩოხატაურში, სურებში, ასკანაში, ბახვში, ლესაურში და სამხეთოში, სადაც განყოფილების გახსნას აქვს დიდი მნიშვნელობა. დასახელებულ რაიონში და თემებში განსაკუთრებით სურები და ასკანა სავსებით მოწყვეტილი იყვნენ მაზრისაგან და ამავე დროს არავითარი სავაჭრო მათში არ არსებობდა, ამასთან მათ ნაწარმოებს არ ჰქონდა არავითარი გასავალი ანუ ბაზარი, კერძო მაწანწალა წვრილფეხა სპეკულიანტები ჩალის ფასად იგდებდენ ხელში გლეხის ნამუშევარს. მაგრამ დღიდან ჩვენი განყოფილებების დაარსებისა, ამ ჩარჩ-ბაკალეებს ესპობათ პარპაშის საშუალება, ვინაიდან გლეხობა დიდის სიხარულით შეხვდა თავის ორგანოს მიერ მიწოდებულ საქონელს, რომელსაც იძენენ შედარებით კარგ პირობებში, ამავე დროს მათ ნაწარმოებს იძენენ ჩვენი განყოფილებები, გლეხკომები,—თხილს, ლობიოს, კაკალს, ღვინოს და სხვას. ამრიგად გაცვლა-გამოცვლის აპარატი უკვე შექმნილია. ამავე კომიტეტმა აილო არაყის ქარხანა, რომელსაც ამუშავებს. სანამ დაიწყებოდა ჩვენი და კოოპერაციის მიერ არაყის წარმოება, მანამდე სრულებით მას ფასი არ ჰქონდა, ჩარჩები აძლევდენ ვედროში ორ-სამ კაპეიკს, ჩვენ ის გავხადეთ 9 კაპიკათ, რაც საგრძნობი დახმარებაა გლეხებისათვის.

ოზურგეთის მაზრის ყველა თემებში არსებობენ გლეხთა კომიტეტები, რომელთაც, ზოგიერთის გამონაკლისით აქვთ საგრძნობი ფონდი, რომლის პირდაპირი დანიშნულებაა დახმარება აღმოუჩინოს ადგილობრივ თემის უკიდურეს ღარიბ-ლატაკს, ქვრივ-ობოლს და ყოველგვარ გაჭირვებულთ. ეს ასეც ხდება. თითქმის ყველა თემგლეხკომებს აქვთ გაცემული საგრძნობი თანხა თავიანთ ფონდიდან დასახელებულ პირთათვის, რომლებსაც ეძლევათ მუდმივი და ერთდროული დახმარება. თავის მხრივ სამაზრო გლეხკომს ჰყავს აყვანილი ოთხასამდის ინვალიდი ომის და შრომის, ქვრივ-ობოლი, უპატრონო ბავშვები და ყველა უკიდურესი გაჭირვებული, რომლებსაც აქვთ დანიშნული პენსია, ან ეძლევათ სხვადასხვა სახის დახმარებები, ამავე კომიტეტს აქვს სამაზრო საავადმყოფოში ათი ლოგინი უკიდურეს გაჭირვებულ ავადმყოფების მოსათავსებლად. ამათგან ხუთს ლოგინს ინახავს სამაღმასკომი და ხუთს კი თვით საგლეხო კომიტეტი—თავისი ფონდიდან.

ი. ხურგულაძე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 6

ს. ს. ს. რ. შრომის სახკომისარიატისა

ინდივიდუალური მოწაფეობის შესახებ.

მრეწველობის ყველა დარგში ინდივიდუალური მოწაფეობის საქმის წესიერად დაყენების მიზნით, ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარიატის მიერ შემუშავებულია დებულება ინდივიდუალური მოწაფეობის შესახებ, სავალდებულო ყველა სახელმწიფო, კერძო და სხვა წარმოებათათვის. შრომის სახალხო კომისარიატი ავალებს შრომის ინსპექციას თვალყური ადევნოს დებულებათა შესრულებას და პასუხისგებაში მისცეს ამ დადგენილების დამრღვევლნი.

ს. ს. ს. რ. შრომის სახალხო კომისარი:
მიქაძე.
შრომის დაც. გან. გამგის მოადგილე:—
გოლდმანი.
საქართ. პროფკავ. საბჭოს მდივანი:—
ყურულაშვილი.
საქართველოს კომ. ახალგაზ. კავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი—
დევდარიანი.

დებულება

ინდივიდუალური მოწაფეობის შესახებ.

1. ამა თუ იმ წარმოებაში ინდივიდუალური მოწაფეობის წესიერ ნიადაგზე დასაყენებლად, ყოველ სასწავლო წლისათვის და ყოველ ცალკე სპეციალობისათვის უნდა იქნეს გამომუშავებული ინდივიდუალური მოწაფეობის პროგრამა. ცალკე სპეციალობებზე პროგრამების გამომუშავებისათვის წარმოებაში არსდება კომისიები და პროფკავშირებში ცენტრალური კომისიები, რომლებშიაც შედიან წარმომადგენლები საქ. კ. ახ. კავ. პროფკავშ. და ქარხნის მმართველობიდან. ცენტრალური კომისიები ამტკიცებენ ადგილობრივ კომისიების დადგენილებებს, რის შემდეგაც ისინი შედიან ძალაში.

2. ყოველი მოწაფე უნდა მუშაობდეს განსაზღვრულ ამქარში; ერთი ამქრიდან მეორეში გადაყვანა სრულიად დაუშვებელია, თუ ამისათვის არ არსებობს რაიმე სერიოზული მიზეზი.

3. მრეწველობის ყოველი დარგისათვის არსებობს მოწაფის ერთი ამქრიდან მეორეში გადაყვანის განსაზღვრული წესი. მასთან ასეთი გადაყვანა ხდება მხოლოდ შემდეგ. საკონ. კომისიის და საქ. ახ. კომ. კავშ. თანხმობის შემდეგ.

4. ყოველი მოწაფე ასრულებს მხოლოდ იმ სამუშაოს, რომელიც შეეხება მის მიერ შესასწავლ ხელობას. სხვა სამუშაოსათვის მოწაფის გამოყენება სრულიად დაუშვებელია.

5. მოწაფე ეცნობა ფაბრიკა-ქარხნის წესებს მრეწველობის ცალკე დარგებისათვის განსაზღვრულ ვადის განმავლობაში, რომელიც ყოველ შემთხვევაში არ უნდა იყოს ერთ თვეზე მეტი.

6. ყოველი მოწაფე უნდა იყოს მიმაგრებული ერთ რომელიმე მაღალი კვალიფიკაციის ოსტატთან, რომელსაც ეკისრება სრული პასუხისმგებლობა ამ მოწაფის მიერ ხელობის შესწავლისათვის. მასთან, თუ ეს ოსტატი ნარდათ მუშაობს, მასზე მიმაგრებულ მოწაფეს ინახავს უწყებული წარმოება.

7. ის მოწაფენი, რომელნიც თავის ხნოვანებით უკვე აღარ ეკუთვნიან მოზარდებს, მაგრამ სხვადასხვა გარემოების გამო არ გაუვლიათ მოწაფეობის კურსი განსაზღვრული დროის განმავლობაში, უნდა იყვნენ გადაყვანილნი ისეთ სამუშაოზე, რომელიც შეძლებას მისცემს მათ შეავსონ დანაკლისი. გადაყვანის წესს და ვადებს ადგენენ შემდეგ. საკონ. კომის. და საქ. კომ. ახ. კავშ.

8. პროფკავშ. სრ. რუსეთის ცენტრ. საბჭოს მიერ დაწესებული მოწაფეთა ტარიფის მომატების წესი მტკიცედ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში.

სრ. რუსეთის პროფ. კავშ. ცენტრ. საბჭოს დადგენილების თანახმად, მოწაფეებს უნდა მიეცეს უფლება დანიშნულ ვადამდე ჩააბარონ გამოსაცდელი სამუშაო.

9. პროფკავშირები, ქარხნის სამმართველოები და საქ. კომ. ახ. კავშ. ადგენენ საკვალიფიკაციო დახასიათებებს ყოველ სპეციალობისათვის, რათა ამით გაადვილებული იქნეს მოწაფეების ერთი ხარისხიდან მეორეში გადაყვანა.

10. კერძო და შინამრეწველობის წარმოებებში მოწაფეობის მოსაწესრიგებლად პროფკავშირებს შეაქვთ სათანადო პუნქტები პატრონებთან დადებულ შრომის ხელშეკრულებებში.

ს. ს. ს. რ. შრომის სახ. კომისარი—
ა. მიქაძე.
შრომის დაცვის გან. გამგ. მოადგილ
ი. გოლდმანი.
საქ. პროფკავშირთა საბჭოს მდივანი—
გ. ყურულაშვილი.
საქ. კომ. ახალგ. კავ. ცენტ. კომიტეტის მდივანი დევდარიანი.

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

1924 წ. მარტის 3.

მატყლნარევი ჯუთისა და ვიგონის ნართის სააქციზო განაკვეთის რაოდენობის შესახებ.

საფეიქრო მრეწველობის ნაწარმოებთათვის მტკიცე საქციზო განაკვეთის შემოღების შესახებ—ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გამოცემული დადგენილების (ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. კანონთა და განკარგულებათა კრებული 1923 წ. მე-11 №-რი, მუხლი 208) 1-ლი დანართის მე-5 მუხ. და იმავე დანართის 1-ლი შენიშვნის შესაცვლელად—**ამიერ - კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:**

1. ზემოაღნიშნული დანართის მე-5 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით: 5. ჯუთის ნართი ა., საბაგირო 4,4 კაპ. გირვანქაზე ან 10,7 კაპ. კილოგრამზე. ბ., სატომრე 1,8 კაპ. გირვანქაზე ან 4,5 კაპ. კილოგრამზე.

2. ზემოაღნიშნული დანართის პირველი შენიშვნა მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1-ლი: ვიგონის ნართი, რომელსაც ურევია მატყლი არა უმეტეს 15 პროცენტისა, დაიბეგრება აქციზის იმ განაკვეთით, რაც დადგენილია ვიგონის ნართისათვის; ხოლო მატყლნარევი 15 პროც. უმეტეს—დაიბეგრება მატყლის საპარატო ნართისათვის დაწესებული განაკვეთით.

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე
აგამალი-ოღლი.
ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭ. თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.
ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ —
ა. შავერდოვი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ცენტრალურ **კულტშეფობის ბიუროს მორიგი სხდომა**, დანიშნული 3 მარტს, **გადატანილია** შაბათისათვის 8 მარტს, დღის 12 საათზე, საგიტ. საპროპაგანდო განყოფილებაში დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კომ. უჯრედის ბიურო აცხადებს წევრებისა და კანდიდატების საყურადღებოდ, რომ პარასკევს 7 მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე დანიშნულია კომუჯრედის კრება. საკითხების მნიშვნელობის გამო ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

დღეს 11 საათზე ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში დანიშნულია სხდომა ცენტროპარტსკოლის სასწავლო გეგმის განსახილველად. სხდომაზე მოწვეული არიან: ამხ. ხაჭაპურიძე, ბუაჩიძე, ბრონიკერ, მეგრელიძე და გრიშენკო.

ც. კ. საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

შაბათს, 8 მარტს, სალამოს 6 საათზე, ცენტრალურ პარტიულ კლუბში შესდგება **ლენინიზმის შემსწავლელი წრის (დაბალი ტიპის) ორგანიზაციული კრება.**

სავალდებულოა ყველა იმ ამხანაგების გამოცხადება, რომლებიც ჩაწერილი არიან ამ წრეში.

მოწვეული არიან აგრეთვე ის პარტიული ამხანაგები, რომელთაც სურთ მონაწილეობის მიღება წრის მუშაობაში.

პარტიული კლუბის გამგეობა.

საინჟინრო და სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტების კომპარტიის და ახკომკავშირის იაჩეიკების დახურული სხდომა გაიმართება პარასკევს 7 მარტს, სალამოს 6 საათზე საინჟინრო ფაკულტეტის 3-ე კურსის სახაზავ აუდიტორიაში.

კომპარტიის და ახკომკავშირის წევრთა დასწრება სავალდებულოა.

იაჩეიკების ბიურო.

კვირას 9 მარტს, დილის 11 საათზე საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში მოწვეულია თათბირი კომპარტიის და საქართველოს ახალგაზრდათა კომკავშირის ყველა იმ ბერძენ წევრების და კანდიდატების, რომელნიც ტფილისში სცხოვრობენ.

საქართველოს კომპარტიის ცეკას საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

პროფესიული.

ყველა რაიადგილკომებს.

ც. ბ. ხამდეპნო ამით გაცნობებთ, რომ შაბათს, 8 მარტს, სალამოს 8 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში გაიმართება **ახალი ყოფა-ცხოვრების სალამო.**

შემდეგი წესრიგით: 1. მოხსენება ახალი ყოფა-ცხოვრების შესახებ. 2. ც. ბ. მიერ ეფობის მიღება კავშირის წევრის ბავშვზე (პროლეტარული ნათლობა) 3. კონცერტი.

განათლების მუშაკთა სახლში.

— პარასკევს, 7 მარტს, სალამოს 6 საათზე, შესდგება არა ქართულ სკოლების ქართულ ენის მასწავლებელთა კრება.

— ამავე დღეს, სალამოს 7 საათზე, შესდგება რიგ გარეშე მათემატიკური წრის (სომხ. ენაზე) სხდომა. 1) ახლო მომავალ მუშაობის გეგმა, 2) შახბაზიანის მოხსენება: ფარდითი რიცხვებზე დიაგრამების საშუალებით ოთხი მოქმედება მე 5 ჯგუფში.

— კვირას, 9 მარტს, სალ. 7 ნახ. საათზე მუსულმან-პედაგოგების წრის სხდომა. 1) კაჯარის მოხსენება „შრომა სკოლაში", 2) მომავალ მუშაობის გეგმა, 3) მიმდინარე საქმეები.

— პარასკევს, 7 მარტს, სალ. 6 საათზე საბჭოთა აღმშენებლობის შესწავლის საორგანიზაციო წრის სხდომა დ. კ. გურგენიძის ხელმძღვანელობით (ქართულ ენაზე).

ამინდი ამიერ-კავკასიაში

5 მარტი დილის 7 საათი

ტემპერატურა (ცელსიით): სოხუმი... 4 გრ., ფოთი... 2 გრ., ბათომი... 3 გრ., სამტრედია... 3 გრ., აჯამეთი... 0 გრ., ჭიათურა... 0 გრ., წიფა... 2 გრ., ბორჯომი... 3 გრ., სურამი... 0 გრ. მუხრანი... 2 გრ., ტფილისი... 2 გრ., მუკუზანი... 2 გრ., ერევანი... 0 გრ. ბაქო... 1 გრადუსი.

ღრუბლიანობა: ბათომში და ჭიათურაში—მცირე. სოხუმში და ბაქოში—საგრძნობი. ფოთში, აჯამეთში—მეტად მნიშვნელოვანი. დანარჩენ ადგილებში—სრული.

ქარის ქროლა: ბაქოში—ჩრდილოეთის, დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ არ ქრის.

ნალექი: ბათომში უმნიშვნელო წვიმა ღამით. სამტრედიაში წ. ამავე დროს. ტფილისში წვიმა დღ სალამოს, ღამით, დილის 7 საა ერევანში—[illegible] ღამით.

ჩრდილოეთ-კავკასია.

6 მარტი დილის 7 საათი.

კავკაზი. ტემპერატურა:— 6 მოღრუბლულია, ქრის დასავლ ნელი ქარი, თოვლი დღით.

კიზლიარი. ტემპერატურა:—4 მოღრუბლულია, ქრის ჩრდილო აღმოსავლეთის ნელი ქარი.

ტფილისი

6 მარტი. დილის 7 საათი.

ტემპერატურა: 5 გრ., მოღრუბლია, ქრის სამხრეთ-აღმოსავლ ნელი ქარი.

განცხადებები

ვ. ი. ლენინის სახელობ.
საოპერო თეატრი

დღეს, პარასკევს, 7 მარტს
გუგენოტები
შაბათს, 8 მარტს წარმოდგენა
პროფკავშირების წევრთათვის
კვირას, 9 მარტს
სოფლის პატიოსნება
ბალეტი

კრ. 936 3—2

საქართველოს ცენტრალური კოოპერატიული კავშირის
„ცეკავშირის"
სამტრედიის განყოფილება

ა. წ. 9 მარტს, დღით კვირას, დილის 9 საათზე, ქ. სამტრედია იწვევს სრულიად საქართველოს საბრეშუმო პუნქტების წარმომ გენელთა თათბირს მომავალი პარკის ოპერაციების ჩატარების გეგმის შესამუშავებლ

ნ. 940 2—1 ცეკავშირის სამტრედიის განყოფილება.

ს. მ. შ. ს.
ცენტროტრამოტი
იყიდება

1. ეტლები დაბერილ სალტებზედ ცხენებით და ყოველივე მორთულობით;
2. ლინეიკა დახურული, პროლიოტკები და ძველი ეტლები;
3. ცხენები.

ყოველივე ცნობების მიღება შეიძლება ცენტროტრამოტის სამმართველოში კამოს ქ. № 55, ტელეფ. 14—34 და 3—83.

კრ. 929 2—2

ქ. ტფილისის გაწვევის უბნებზე მისაწერ მოქალაქეთა გასაწვევ სიებში შეტანის რიგის

დამწესებელი კომისიის სხდომები სწარმოებს აღმასკომის შენობაში ყოველდღიურად 5—7 საათამდე (ოთახი № 55). ხავალი ველიამინოვის ქ. № 3-დან. იქვე მიიღება მოქალაქე ოჯახურ და ქონებრივ მდგომარეობის გამო შეღავათით ს გებლობის შესახებ განცხადებანი—სათანადო საბუთებით.

ნ. 935 3—2 კომისიის თავმჯდომარე გ. ბაზ

ელექტრონის და სინათლის
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი
მიხეილ გედევანიშვილის სახელობის
ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
სამკურნალო სწარმოებს ექ. სვიმონ ყიფშიძის ხელმძღ ნელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 126—25—3

ექიმი
კ. გ. ვართანოვი

სიფილისი, კანისა და ვენერიული სნეულებანი. ავადმყოფებს ღებულობს დილის 10—12 საათამდე და სალამოს 5—7 საათამდე.
მისამართი: სურამის ქ. № 9. ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს მახლობლად. 499—25—11

წინადადება ეძლევა მოქ. ვიქტორ ვარლამის ძე ხარაბაძეს, რათა მან გაასწოროს თავისი ანგარიში ქალ. ქუთ. მინა ტყაპლაძის მაღაზიის, ან ტფილისის ბეჭდვით ექსპედიციაში ან აქვე ქუთაისში ერთი კვირის ვადაში დღიდან გამოცხადებისა. ამას გარდა გაუქმებულად ითვლება მისი პირადი მანდატი, რომელიც არის ჩემს მიერ მიცემული.
სახ. გამომც. „ზარია ვოსტოკა"-სი, ბეჭდვითი ექსპედიციის გაზ. „მუშას" კონტრაგენტი მ. ტყაპლაძე. ნის. 3—2 933

დაიკარგა პირადობის მოწმობა ქ. სიღნაღში მიღებული თეოდოსია ხანბეგოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 628 1—1

დაიკარგა მელითონეთა კავშირის საკავშირო წიგნაკი № 596, ერვანდ გულაზოვის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 629 1—1

დაიკარგა წიგნაკი მოცემული სამხედრო კომისარიატიდან № 2786 თეოფილე ცხისელის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. № 630 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო ბარათი № 7540 ვანო ალტუნაშვილის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 625 1—1

„ზარია ვოსტოკა" სტამბა, სანა წულუკიძის ქუჩა № 4.